პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
15 იანვარი **ოთხშაბათი** 2014
№007 (14 228) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## SOS! დოპინგი ბავშვებში?

↳2

## ფიგურული ევროპა

### დღეს ბუდაპეშტში ევროპაზე ჩვენებიც ისრიალებენ



↳10

ელენე გედევანიშვილი



## ჟორდანიამ ტორპედოზე ილაპარაკა



↳2

## ძოძუაშვილი ფეხბურთელებს ითვლის



## რონალდო ყურადღების ცენტრში, მესი ყველასგან მიტოვებული



ფრანკ რიბერი

## მეტი რაღა უნდა მექნა

↳9

ტორპედო

# ძოძუაშვილი ითვლის: ადამია, გენაძე, ლექვთაძე...

## ჟორდანია ტორპედოს ყიდვას უარყოფს


რევაზ გენაძე

საქართველოს ჩემპიონატი ის ამღვრეული წყალია, სადაც ბევრი საინტერესო ტრანსფერის „დაჭერა" შეიძლება. ამ მხრივ, „ზესტაფონთან" ერთად „ტორპედოც" აქტიურობს. ბოლო ინფორმაციით, ქუთაისელებმა რუსთავის „მეტალურგიდან" მისი ერთ-ერთი ლიდერი, შემტევი ნახევარმცველი **რევაზ გენაძე** დაიმატეს.

ინფორმაცია კლუბის გენერალურმა დირექტორმა **გია ხურციძემ** დაგვიდასტურა და სხვა, არანაკლებ საინტერესო სიახლეებიც გაგვიმხილა:

*„გენაძე? დიახ, ის ჩვენთან მოდის. მის გარდა, „ტორპედოში" ითამაშებენ სევასტი თოდუა, ზაალ ელიავა, ზურაბ მენთეშაშვილი, თბილისის „დინამოს" შემტევი ნახევარმცველი ირაკლი ლექვთაძე, „ზესტაფონის" ყოფილი თავდამსხმელი გიორგი ადამია და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ექსმოთამაშე გიორგი ჭედია, ასევე, „ზესტაფონის" ყოფილი ფორვარდი ოთარ კვერნაძე. ვალერი აბრამიძის ჩამოყვანაც გვსურდა, მაგრამ პირობებზე ვერ შევთანხმდით. საგაზაფხულო ეტაპზე ძალიან რთული ამოცანების გადაჭრა მოგვიწევს და გამოცდილ ფეხბურთელებს ამიტომაც ვიწვევთ".*

ხურციძის თქმით, ფინანსური საკითხები მოგვარების პროცესშია და, შესაძლოა, კლუბი მოსკოვში მცხოვრებმა ერთ-ერთმა ქართველმა ბიზნესმენმა დააფინანსოს. „ტორპედოს" პრეზიდენტი **გიორგი დემეტრაძე** კი იმედოვნებს, რომ საჭირო ბიუჯეტს სამთავრობო სტრუქტურებიც გამოყოფენ.

აქვე ვიტყვით, რომ ბოლო დღეებში გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს, არნემის „ვიტესისა" და თბილისის „დინამოს" ყოფილ მეპატრონე **მერაბ ჟორდანიას** სურდა ქუთაისის „ტორპედოს" ყიდვა, არ დადასტურდა. ჩვენმა კოლეგა **ელენე ბილიხოძემ** ჟორდანიასთან დაკავშირებით ეს გვითხრა:

*„ბოლო პერიოდში ქუთაისის „ტორპედოში" განვითარებული მოვლენების შემდეგ ბევრმა მთხოვა, მერაბ ჟორდანიას შესახებ გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით მისი პოზიციაც ყოფილიყო საზოგადოებისთვის ცნობილი. ჩვენი სატელეფონო საუბრის შემდეგ მაქვს უფლება მოგახსენოთ, რომ ბატონი მერაბ ჟორდანია ფეხბურთში გიორგი დემეტრაძის დაბრუნებას და „ტორპედოს" მთავარ მწვრთნელად რევაზ ძოძუაშვილის დანიშვნას მიესალმება. ის მზად არის, კონსულტაციის სახით მათ ნებისმიერი პრობლემის მოგვარებაში დაეხმაროს. ამასთან, ბატონმა მერაბმა თქვა, რომ გავრცელებული ინფორმაცია მის მიერ ქუთაისის „ტორპედოს" შეძენის შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება".*

**მერაბ მამულაშვილი**

მერანი

# შეროზია ვიტ ჯორჯიაში ითამაშებს

ზამთრის შესვენების დროს „მერანში" მნიშვნელოვანი ცვლილებები რომ განხორციელდა, არახალია. შეგახსენებთ, რომ ურთიერთშეთანხების საფუძველზე გუნდი დატოვეს: მეკარეებმა - **ჯონი შეროზიამ** და **მიხეილ ხარშილაძემ**, მცველებმა - **გივი ქარქუზაშვილმა, თემურ ფარულავამ, ირაკლი ციცხვაიამ** და **ლაშა ლონლაძემ**, ნახევარმცველებმა - **გიორგი მელქაძემ** და **ირაკლი ქათამაძემ**, თავდასხმელებმა - **კრისი ბანებამ** და **სანტოსმა.** ყველაზე დიდი მოულოდნელობა იყო გუნდიდან 24 წლის შეროზიას წასვლა.

„მერანის" დაარსების დღიდან შეროზია გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე იყო. მან მარტვილური კლუბის მაისურა ყველაზე მეტჯერ მოირგო და ადგილობრივი ქომაგების საყვარელი ფეხბურთელიც გახდა. ის სანდო და პერსპექტიულ მეკარედ ითვლებოდა, რისი წყალობითაც გასულ წლებში არა ერთხელ მოხვდა „ლელოს" სიმბოლურ ნაკრებში. ბოლო დროს შეროზია გუნდის კაპიტანიც იყო. ცხადია, დავინტერესდით, სად აპირებს ის კარიერის გაგრძელებას:

- წარმოშობით სენაკიდან ვარ, თუმცა ფეხბურთის თამაში „მერანში" დავიწყე და 7 წელია, აქ ვარ. ყველაფერი, რაც გამაჩნია, ამ გუნდმა მომცა, ამიტომ, ყოველთვის ტკბილად გამახსენდება მარტვილში გატარებული პერიოდი. მინდა მადლობა გადავუხადო კლუბის ხელმძღვანელობასა და გულშემატკივრებს, „მერანს" კი წარმატებებს ვუსურვებ. კარიერას „ვიტ ჯორჯიაში" გავაგრძელებ. თბილისურ კლუბთან 3-წლიანი ხელშეკრულება გავაფორმე. მომავალს იმედიანად ვუყურებ და ვეცდები, მწვრთნელის ნდობა გავამართლო.

**- სხვა გუნდებიდან თუ გქონდათ შემოთავაზება?**

- იყო რამდენიმე ვარიანტი, თუმცა შემდგომი წინსვლისთვის უმაღლესი ლიგა ვარჩიე. „ვიტ ჯორჯია" კარგი გუნდია, თან პირველ ექვსეულში მოხვედრის შანსიც აქვს.


ჯონი შეროზია

**- როგორც გავიგეთ, თქვენით „დინამოც" იყო დაინტერესებული...**

- ჩემთვის ასეთი კლუბისგან უბრალო დაინტერესებაც კი სასიხარულოა. „დინამო" ტრადიციული გუნდია, ყოველთვის უმაღლესი მიზნებისთვის იბრძვის. „დინამო" ოცნებისკენ მიმავალი გზაა, რომელიც ნიჭიერებითა და თავდაუზოგავი შრომით მიიღწევა.

შეროზიას ახალ კლუბთან დაკავშირებით დავძენთ, რომ „ვეტერინარებს" ამ მომენტისთვის 25 ქულა აქვთ და გასავარდნ ზონამდე 11 ქულა, ხოლო ზედა ექვსეულთან სულ რაღაც ერთი ქულა აშორებთ. სიახლეა ისიც, რომ ამ გუნდთან ერთად ვარჯიშობს კიდევ ერთი ექსმერანელი **ლაშა ლონლაძე,** რომელიც, სავარაუდოდ, კონტრაქტს დღედღეზე გააფორმებს.

**ბესიკ გვაზავა**

ტრანსფერი


კახა ალადაშვილი

# ალადაშვილი? მხოლოდ მეორე შეკრებაზე...

რუსულმა მედიამ გაავრცელა ინფორმაცია და „ლელოშიც" ვწერდით, რომ გორის „დილას" მარჯვენაფლანგელი **კახა ალადაშვილი** ხაბაროვსკის „სკა ენერგიაში" ჩაირიცხა. თუმცა ხაბაროვსკში არ დასტურდება „ამურ პრესის" ინფორმაცია, თითქოს, 30 წლის ქართველი „სკა ენერგიასთან" ერთად შეკრებაზე ისრაელში იმყოფება.

მას გუშინ თბილისში დავუკავშირდით. აღმოჩნდა, რომ ალადაშვილს კლუბთან კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია, მიუხედავად იმისა, რომ მისი საკითხი გადაწყვეტილია. საქმე ისაა, რომ ალადაშვილს რუსეთში სათამაშოდ შრომის ვიზის აღება სჭირდება და ამ საკითხის მოგვარებას ელოდება. ეს კი, მოგეხსენებათ, საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცედურაა.

„სკა ენერგიამ" ისრაელში მოსამზადებელი შეკრება 11 იანვარს დაიწყო. ამიტომ, ალადაშვილი იძულებულია, დროებით საქართველოში მოემზადოს. სავარაუდოდ, „დილას" ყოფილი ფეხბურთელი ხაბაროვსკელებს მეორე შეკრებაზე შეუერთდება.

**მერაბ მამულაშვილი**

აქტუალური თემა


თენგიზ სულაქველიძე

# თენგიზ სულაქველიძე: ახლა უკეთესი თაობებია, ვიდრე ჩვენს დროს, მაგრამ რად გინდა...

**როგორც ცნობილია, დეკემბრიდან მოყოლებული, უმაღლესი ლიგის კლუბები ფეხბურთის ფედერაციასა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრთან კონსულტაციებს მართავენ, რათა სახელმწიფოსგან დახმარება მიიღონ.**

**ამ პროცესს ქართული ფეხბურთის ყოფილი ვარსკვლავი თენგიზ სულაქველიძე გამოეხმაურა. დღევანდელი გაჭირვების თავი და თავი ბავშვთა ფეხბურთია. წლების წინათ, ბატონმა თენგიზმა საფეხბურთო აკადემია ჩამოაყალიბა და ამ სფეროს სატკივარს კარგად იცნობს:**

- უმაღლესი ლიგის კლუბებს არა ერთი პრობლემა აქვთ. მაგრამ არანაკლები გაჭირვება, თუ მეტი არა, საფეხბურთო სკოლებშია. 4 დიდი და 3 მცირე ზომის მოედანი გვაქვს, მორწყვა ყველას სჭირდება. ზაფხულში ნორმალური მოვლა რომ დავიწყოთ, თვეში 20-25 ათას ლარს მაინც გადაგვახდევინებენ. ამდენი თანხა არ არის და კვირაში ერთხელ თუ ვრწყავთ. ამიტომ, იძულებულები ვართ, ბავშვებს გადასახადები გავუზარდოთ. სხვაგვარად აკადემია ვერ იარსებებს. არადა, ეს არავის გვსურს, რადგან ფეხბურთის მასობრიობას უშლის ხელს და ამის გამო ბევრი ნიჭიერი ბავშვი იკარგება. თბილისის მასშტაბით ჩვენთან ყველაზე დაბალი გადასახადია - თვეში 50 ლარი და ამის მოტანაც უჭირთ. ჩვენ ფული არ გვჭირდება, წყლის გადასახადისგან მაინც გაგვათავისუფლონ, ან მიწის გადასახადი შეამცირონ და თუ სახელმწიფო პროგრამის განხორციელება დაიწყება, ყველა საფეხბურთო სკოლას ხელოვნურსაფარიანი მოედანი დაგვიგონ. ეს იქნება სწორედ რეალური დახმარება და ქართული ფეხბურთის აღორძინებისკენ გადადგმული ნაბიჯი. მე მხოლოდ ჩემს სატკივარზე არ ვლაპარაკობ. ბევრი არასწორად ფიქრობს, რომ მორწყვას მარტო ბუნებრივი საფარი საჭიროებს. სინამდვილეში, ეს ხელოვნურ საფარსაც სჭირდება. ბოლო წლებში კარგი მოედნები კი დაიგო, მაგრამ წყლის დიდი გადასახადების გამო, შესაძლოა, ბევრი მათგანი გაფუჭდეს და სახელმწიფოსა თუ კერძო ინვესტორების მიერ გაღებული სახსრები წყალში ჩაიყაროს.

**- ამ ყველაფრის მოგვარება როგორ წარმოგიდგენიათ?**

- უპირველესი პრობლემა მაინც წყლის გადასახადია. დაანესონ ფიქსირებული თანხა, სახელმწიფო გვერდში დაგვიდგეს დ ამით სამ კურდღელს დაიჭერს - ბავშვთა ფეხბურთში გადასახადებს შეამცირებს, მასობრიობას გაზრდის და ინფრასტრუქტურის მდგომარეობას გააუმჯობესებს. სახელმწიფოს ნების გარეშე ფეხბურთი ვერ განვითარდება. იმ ხალხმა, ვინც ფეხბურთში ვართ, ამ ეტაპამდე ბევრი გავაკეთეთ. მაგრამ ჩვენი შესაძლებლობები ამოიწურა და ახლა მხოლოდ იმას ვახერხებთ, რომ ეს სახეობა არ მოკვდეს. ფეხბურთელის განვითარებისთვის, ძლიერი თაობების გასაზრდელად და უკეთესი მომავლისთვის გაცილებით მეტია საჭირო.

**- არადა, საკმაოდ კარგი თაობები მოდიან...**

- ახლა უკეთესი თაობებია, ვიდრე ჩვენ დროს იყო! მაგრამ სხვა ქვეყნებმა გაგვასწრეს. ახლახან, ჩემი სახელობის ტურნირი ჩატარდა და ყაზახეთმა ისეთი გუნდი ჩამოიყვანა, გაოცებული დავრჩი. ბევრისგან მსმენია - ადრე ვარსკვლავები ასფალტზე და ხრიოკ მოედნებზე იზრდებოდნენო. კარგით, რა! მას შემდეგ ხალხი კოსმოსში გაფრინდა და ჩვენ ერთი ადგილი ვტკეპნოთ? ბავშვს კარგი საშხაპე და მოედანი არ უნდა ჰქონდეს? სწორედ ამიტომაა, ასაკობრივ ნაკრებებში წარმატებებს რომ ვაღწევთ, ყველა შესარჩევიდან გავდივართ, ინგლისს, ჰოლანდიასა და ბელგია-შოტლანდიას ვუგებთ, მაგრამ მერე ვჩერდებით. ფეხბურთელები ეროვნულ ჩემპიონატში უნდა გაიზარდონ, ჩვენი ჩემპიონატის დონე კი საგრძნობლად დაეცა. 6-7 ძლიერი და ფინანსურად წელში გამართული კლუბი რომ გვყავდეს, კონკურენციაც გაიზრდებოდა და ფეხბურთელებიც. იმავეს ვიტყვი ბავშვთა ფეხბურთზე, სადაც დღეისათვის ორი გამოკვეთილი ლიდერია - „საბურთალო" და თბილისის „დინამოს" აკადემია. მათი ხელმძღვანელები ფეხბურთისთვის ბევრს აკეთებენ, მაგრამ ორი ძლიერი სკოლა საკმარისი არ არის. ასეთი სკოლები ყველა დიდ ქალაქშია საჭირო. მერე წამოვა თაობები და გაცილებით მეტი ნიჭიერი ბავშვი გამოჩნდება.

**- სამწუხაროდ, საფეხბურთო სამყაროში არსებული დაპირისპირებაც გვიშლის ხელს...**

- მართალი ხართ. ეს ჩვენ ძალიან უკან გვწევს. ერთხელ მაინც მოვახერხოთ და პრობლემებზე ერთად დავილაპარაკოთ ფედერაციის წარმომადგენლებმა, კრიტიკულად განწყობილმა ადამიანებმა, სკოლებისა და კლუბების ხელმძღვანელებმა, ვეტერანებმა... გულახდილად ვთქვათ, როგორ ვუშველოთ ფეხბურთს, თორემ დანაწევრებულ, დასუსტებულ და წარუმატებელ საფეხბურთო სამყაროს არავინ მოუსმენს.

**- ისე, საინტერესოა, თქვენს დროს თუ მომხდარა, ნაკრებში გამოძახებული ფეხბურთელი შეკრებაზე არ ჩამოსულიყოს?**

- ამას ვერავინ გაბედავდა. წესიც იყო ასეთი - ტრავმირებულიც კი უნდა გამოცხადებულიყო შეკრებაზე და ნაკრების ექიმებს შეემოწმებინათ, რადგან კლუბის ექიმს ნაკრებში მისი კოლეგა და მწვრთნელი არ ენდობოდნენ. მე მგონია, რომ ჩვენს ეროვნულ გუნდშიც აჯობებს ამ წესის დანერგვა.

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი. I ეტაპის შეჯამება — ზესტაფონი

# შენიღბული ფავორიტი

## მეკარე

ცოტა არ იყოს, წარმოუდგენლადაც მიგვაჩნია „ზესტაფონი“ **როინ კვასხვაძის** გარეშე: ბოლო წლების საქართველოს ერთ-ერთმა საუკეთესო მეკარემ ხომ მთელი თავისი კარიერა სწორედ ამ კლუბში გაატარა. 24 წლის კვასხვაძე პირველ ეტაპზე გუნდის კაპიტანი გახლდათ და მხოლოდ ერთი მატჩი გამოტოვა.

ახლა კი, როგორც იცით, ეს ჩინებული რეაქციის მქონე მეკარე კარიერას სხვაგან გააგრძელებს. საკმაოდ პერსპექტიულია კვასხვაძის დუბლიორი, 21 წლის **კახაბერ მეშველიანიც**, რომელმაც პირველ ეტაპზე მხოლოდ ერთი მატჩი ჩაატარა.

## დაცვა

სეზონის დაწყების წინ „ზესტაფონში“ ბრაზილიელი ფეხბურთელი, 21 წლის **რენე ფერეირა** ჩაირიცხა, რომელმაც პირველი მატჩი (სტუმრად - „დინამოსთან“) საყრდენ ნახევარმცველად იასპარეზა.

აი, იმის შემდეგ კი ამპლუა შეიცვალა და, როგორც გაირკვა, რატკო დოსტანიჩის გადაწყვეტილება აბსოლუტურად მართებული ყოფილა: ცენტრალური მცველის პოზიციაზე ფერეირამ ჩინებულად წარმოაჩინა თავი და „ლელოს“ ვერსიით, „საუკეთესო ლეგიონერის“ ნომინაციაში გამარჯვების ერთ-ერთი რეალური კანდიდატიც გახლავთ. უფრო ხშირად, ფერეირას მეწყვილე დაცვის ცენტრში 20 წლის **თედორე გრიგალაშვილი** გახლდათ, თუმცა ამ მართლაც პერსპექტიულ ფეხბურთელს რამდენიმე მატჩი გაუცდა და ასეთ შემთხვევებში ძირითადში 25 წლის **გიორგი კაჭკაჭიშვილს** ვხედავდით ხოლმე.

დაცვის მარჯვენა ფლანგზე კონკურენტი არ ჰყავდა 20 წლის **თორნიკე გრიგალაშვილს**, აი, მარცხნივ კი ხან გუნდის ახალწვეული და ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელი, 32 წლის **ილია კანდელაკი** ასპარეზობდა, ხან კიდევ - 20 წლის **მალხაზ გაგოშიძე.**

## ნახევარდაცვა

არცთუ შორეულ წარსულში, „ზესტაფონს“ მართლაც რომ ერთიმეორეზე უკეთესი შუახაზელები ჰყავდა; თუმცა მიმდინარე სეზონში ამ რგოლში, ფაქტობრივად, მხოლოდ ახალგაზრდა ბიჭები თამაშობდნენ და მეტ-ნაკლებად არასტაბილური ასპარეზობაც, ალბათ, ამას უნდა დავაბრალოთ.

ამას გარდა, ყველაზე დიდი როტაცია სწორედ ამ რგოლში ხდებოდა და ფეხბურთელებსაც არცთუ იშვიათად უწევდათ პოზიციების შეცვლა. აი, მაგალითად, სხვადასხვა ამპლუაში ვხედავდით 24 წლის **ლევან შარიქაძეს**, 20 წლის **ავთანდილ ენდელაძეს**, 19 წლის **გურამ სამუშიასა** და 24 წლის **ლევან კუტალიას**; უშუალოდ სეზონის მსვლელობისას გუნდში მოვიდა გამოცდილი გარემარბი, 28 წლის **სანდრო გურული**, კიდევ ერთმა ახალწვეულმა, ნიგერიელმა საყრდენმა **ნაემეკა აჯურუმ** კი მყარად დაიმკვიდრა ადგილი ძირითადში.

გია გეგუჩაძის მოსვლის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდა 22 წლის **გიორგი ჭანკოტაძე**, - ამ ფეხბურთელს თამაშის წარმართვაც ეხერხება და გადამწყვეტი გოლების გატანაც. „ზესტაფონის“ შუახაზელთაგან კი საუკეთესოდ **ვახტანგ ჭანტურიშვილი** მიგვაჩნია - 20 წლის ნახევარმცველმა პირველი ეტაპი მართლაც ჩინებულად ჩაატარა და „ჩემპიონატის აღმოჩენის“ ნომინანტადაც დავასახელეთ!

## თავდასხმა

სეზონის დაწყებამდე „ზესტაფონის“ შანსებს ერთობ მაღალ შეფასებას რომ ვაძლევდით, სწორედაც რომ გადახალისებული თავდასხმის ხაზში „თავმოყრილი“ ფეხბურთელების შესაძლებლობებით ვხელმძღვანელობდით; თავად განსაჯეთ: „ზესტაფონში“ დაბრუნდა 23 წლის ფორვარდი **საბა ლომია**, რომელიც წინა სეზონში „მერანში“ იყო განათხოვრებული და 16 გოლი გაიტანა.

„ზესტაფონის“ ქომაგები დიდ იმედებს ამყარებდნენ მეორე ახალწვეულ- ფორვარდზეც: 21 წლის **ირაკლი ქობალია**, ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ჩვენი ჩემპიონატის ერთ-ერთ გამორჩეულ ცენტრალურ თავდამსხმელად მიიჩნევა. ალარაფერს ვამბობთ „ზესტაფონის“ ერთ-ერთ ყველაზე „ხმაურიან“ ახალწვეულზე - 32 წლის **გიორგი ადამია** ეროვნულ ჩემპიონატს ხანგრძლივზე-ხანგრძლივი პაუზის მერე დაუბრუნდა აზერბაიჯანიდან, სადაც ბოლო წლებში ერთ-ერთი გამორჩეული ლეგიონერი გახლდათ. სამწუხაროდ, ადამიასაც და ქობალიასაც ტრავმების გამო ძალიან ბევრი გაუცდათ, საბა ლომიაც აშკარად გვიან „გაიხსნა“ და ალბათ, ამასაც უნდა დავაბრალოთ „ზესტაფონის“ დაბალი შედეგიანობა.


ირაკლი ქობალია (მარცხნივ)

**მიმდინარე** სეზონი „ზესტაფონისათვის“ საიუბილეო, მეათეა და უნდა ვივარაუდოთ, რომ იმერული კლუბის საბოლოო შედეგიც „მრგვალი თარილის“ შესაფერისი იქნება. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რა სასიკეთო ძვრები მოხდა (და, ხდება დღესდღეობითაც) საქართველოს ორგზის ჩემპიონ გუნდში - ზამთრის პაუზის დროს ყველაზე საფუძვლიანი (და, ალბათ, ყველაზე ეფექტიანი) საკადრო ცვლილებები ხომ სწორედ „ზესტაფონში“ მოხდა.

თუმცა, ამჯერად ჩვენ ხომ პირველ ეტაპს მიმოვიხილავთ, რომელიც „ზესტაფონისათვის“ აშკარად არაერთგვაროვანი გამოდგა. ეგ კი არა, ბოლო წლების ერთ-ერთ წარმატებულ ქართულ კლუბს (ჩემპიონატი V ადგილზე ქვემოთ რომ არ დაუსრულებია) წინასასეზონო სამზადისიც აშკარად ჩაუვარდა, გუნდის დაკომპლექტებაც აშკარად უკეთესის სურვილს ტოვებდა და შედეგად ის მივიღეთ, რომ ახალი მწვრთნელის, სერბი სპეციალისტის რატკო დოსტანიჩის ხელმძღვანელობით მოასპარეზე „ზესტაფონს“ ოთხი ტურის მერე მხოლოდ და მხოლოდ 1 ქულა ჰქონდა!

მაგრამ ამ ყველაფერს ობიექტური მიზეზები ჰქონდა: წინა სეზონი (2012/13 წლების ჩემპიონატი) „ზესტაფონის“ ისტორიაში, უდავოდ, ყველაზე წარუმატებელი იყო; ამას ის მოჰყვა, რომ XXV ჩემპიონატის დაწყებამდე, ფაქტობრივად, თვე იყო დარჩენილი და ვერავინ იტყოდა, ითამაშებდა თუ არა, საერთოდ, გუნდი ამ სეზონში!

ყოველივე ამის მიუხედავად და იმის გამოც, რომ ახალი სეზონისათვის მზადება ფავორიტთაგან ყველაზე გვიან „ზესტაფონმა“ დაიწყო, მაინც „გავბედეთ“ და ჩემპიონატის დაწყების წინ აი, ასეთი ვარაუდი გამოვთქვით: „საპრიზო სამეულში მოსახვედრადაც იბრძოლებს და არ არის გამორიცხული, საჩემპიონო დავაშიც ჩაერიოს!“ არ დავმალავთ: ბევრისთვის ღიმილისმომგვრელი აღმოჩნდა ჩვენი ასეთი ვარაუდი, მით უფრო, სეზონის სტარტზე გუნდი ხომ ვერაფრით ახერხებდა გამარჯვების მოპოვებას.

არადა, რამდენიც გნებავთ, იმდენი შეხვედრა იყო პირველ ეტაპზე, „ზესტაფონი“ მხოლოდ და მხოლოდ უიღბლობის გამო რომ კარგავდა ქულებს (ბოლო წუთებზე გაშვებული გოლებით ხომ, საერთოდ, კონკურენტი არ ჰყავდა უმაღლეს ლიგაში); ამას დაემატა უამრავი ახალწვეულის ერთმანეთთან შეთამაშების პრობლემაც პლუს ფეხბურთელთა ასაკიც: უმაღლეს ლიგაში პირველ ეტაპზე „ზესტაფონზე“ ახალგაზრდული შემადგენლობა, მხოლოდ „ტორპედოსა“ და „ვიტ ჯორჯიას“ ჰყავდა.

...ერთი-ორი „გამონათების“ მიუხედავად, რატკო დოსტანიჩის ხელმძღვანელობით „ზესტაფონი“ აშკარად არასტაბილურად ასპარეზობდა; ხოლო როცა თასის მერვედფინალში იმერულმა გუნდმა შინ „სიონთან“ წააგო და ამ გათამაშებას გამოეთიშა, სერბ სპეციალისტსაც კეთილი სურვილებით დაემშვიდობნენ.

ამის შემდეგ ერთი მატჩი გუნდმა ლევან ბაჯელიძისა და გიორგი მიქაძის ხელმძღვანელობით ჩაატარა, XII ტურიდან კი „ზესტაფონის“ დამოძღვრა ისევ გია გეგუჩაძემ ითავა, - კლუბის ისტორიაში ერთ-ერთმა ყველაზე წარმატებულმა მწვრთნელმა. გეგუჩაძის ხელმძღვანელობით „ზესტაფონის“ თამაშის ხარისხიც გაუმჯობესდა და რამდენიმე პრინციპული მატჩის მოგების შემდეგ ლამის აუტსაიდერად ქცეული გუნდი ზედა ექვსეულში კი არა, პირველ სამეულში მოხვედრის რეალურ კანდიდატადაც იქცა!

ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ „ზესტაფონს“ კონკურენტებთან შედარებით ერთი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული და ამას გარდა, თასზეც აღარ ასპარეზობს, ანუ, საგრძნობლად გაძლიერებული გუნდი მთელ ყურადღებას ჩემპიონატზე გადაიტანს და „დინამოსთან“ სოლიდური ჩამორჩენის მიუხედავად, ვინ იცის, იქნებ საჩემპიონო რბოლაშიც ჩაერთოს...


რენე ფერეირა (მარჯვნივ)

## საუკეთესო მატჩი

წაგების მიუხედავად, ჩემპიონატის პირველ ტურში („დინამოსთან“) „ზესტაფონს“ ურიგოდ ნამდვილად არ უთამაშია; რატკო დოსტანიჩის ხელმძღვანელობით გუნდმა კიდევ ერთი გამორჩეული მატჩი ჩაატარა, როცა საკუთარ მოედანზე „დილა“ დაამარცხა.

გია გეგუჩაძის მოსვლის შემდეგ „ზესტაფონს“ რამდენიმე კარგი მატჩი ჰქონდა, აი, თუგინდ „ტორპედოსთან“ და „მეტალურგთან“ მოგებული შეხვედრები გავიხსენოთ, რომლებიც სატურნირო თვალსაზრისითაც ერთობ მნიშვნელოვანი იყო.

## ყველაზე ცუდი მატჩი

...ზემოთაც ვახსენეთ არცთუ შორეული წარსული და იმასაც გაგახსენებთ, რომ „ზესტაფონს“ მთელი სეზონის განმავლობაში ხანდახან არ ჰქონდა ხოლმე 6 მარცხი; ანუ, იმდენი, რაც გუნდს ამ სეზონში პირველ ეტაპზე დაუგროვდა...

## მიზანი

გამოტოვებული მატჩი პლუს დარჩენილი არცთუ ურიგო კალენდარი. ჩვენი აზრით, მართლაც სასწაული იქნება, საფუძვლიანად და „გემოვნებიანად“ გაძლიერებული „ზესტაფონი“ ზედა ექვსეულში რომ ვერ მოხვდეს.

ეგ კი არა, არავის გაუკვირდეს მეორე ეტაპის დაწყებას გუნდი ერთობ კომფორტულ პოზიციაზეც რომ შეხვდეს. თანაც, გეგუჩაძისა და ერთი-მეორეზე უკეთესი ახალწვეულების გარდა, ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორიც არ უნდა დაგვავიწყდეს: როგორც მოსალოდნელი იყო, კლუბი საბოლოოდ მაინც არ მიატოვა „ზესტაფონის“ დამაარსებელმა და უცვლელმა პრეზიდენტმა **ილია კოკაიამ!..**

**გია ტუხაშვილი**

### ზესტაფონის ყველა მატჩი პირველ ეტაპზე

17 მატჩი, 7 მოგება, 4 ფრე, 6 წაგება, ბურთები - 19:15, ადგილი-VII

| | | |
|---|---|---|
| I ტური | დინამო-ზესტაფონი | 2:1 |
| II ტური | ზესტაფონი-ტორპედო | 2:3 |
| III ტური | მეტალურგი-ზესტაფონი | 0:0 |
| IV ტური | ჩიხურა-ზესტაფონი | 1:0 |
| V ტური | ზესტაფონი-დილა | 2:0 |
| VI ტური | სპარტაკი-ზესტაფონი | 1:0 |
| VII ტური | ზესტაფონი-გურია | 1:0 |
| VIII ტური | ზუგდიდი-ზესტაფონი | 0:3 |
| IX ტური | ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია | 1:1 |
| X ტური | მერანი-ზესტაფონი | 0:2 |
| XI ტური | ზესტაფონი-სიონი | 0:0 |
| XII ტური | ზესტაფონი-დინამო | 1:2 |
| XIII ტური | ტორპედო-ზესტაფონი | 0:1 |
| XIV ტური | ზესტაფონი-მეტალურგი | 2:1 |
| XV ტური | ზესტაფონი-ჩიხურა | 1:1 |
| XVI ტური | დილა-ზესტაფონი | 3:1 |
| XVII ტური | ზესტ.-სპარტაკი გადაიდო | |
| XVIII ტური | გურია-ზესტაფონი | 0:1 |

#### მეტალურგი 2013/14

მეკარეები: როინ კვასხვაძე-16 (-15 გოლი), კახაბერ მეშველიანი-1;

მცველები: რენე ფერეირა-16, თორნიკე გრიგალაშვილი-15, თედორე გრიგალაშვილი-13, ილია კანდელაკი-12, მალხაზ გაგოშიძე-10, გიორგი კაჭკაჭიშვილი-6 (1), ბორისლავ ტერზიჩი-2;

ნახევარმცველები: ლევან შარიქაძე-16 (2), ნაემეკა აჯურუ-15, ვახტანგ ჭანტურიშვილი-15 (3), ავთო ენდელაძე-12 (1), სანდრო გურული-11, მიხეილ სარდალიშვილი-8, გიორგი ჭანკოტაძე-7 (1), დავით რაყამაშვილი-2, ნოდარ კიკნაველიძე-1;

თავდამსხმელები: საბა ლომია-13 (4), ირაკლი ქობალია-8 (4), გიორგი ადამია-8 (2), ოთარ კვერნაძე-3, მოხამედ რეკრუკი-2.

მთავარი მწვრთნელი: რატკო დოსტანიჩი (I-X ტური)

ლევან ბაჯელიძე, გიორგი მიქაძე (XI ტური)

**გია გეგუჩაძე (XII-XVIII ტური)**

## ტრანსფერები


ომარ მიგინეიშვილი

## მიგინეიშვილის ზესტაფონში

„ზესტაფონი“ სატრანსფერო საქმიანობას აგრძელებს - მარგველებმა 29 წლის მეკარე **ომარ მიგინეიშვილი** დაიმატეს. მიგინეიშვილმა კარიერის ჯერჯერობით საუკეთესო მონაკვეთი ქუთაისის „ტორპედოში“ გაატარა. უშიშარი გოლკიპერია, მისი ფსიქოლოგიურად გატეხვა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. სწორედ „ტორპედოში“ თამაშის პერიოდში გამოიძახა ის ეროვნულ ნაკრებში **თემურ ქეცბაიამ.**

2012/13 წლების სეზონის შემდეგ მიგინეიშვილი თბილისის „დინამოში“ გადავიდა, სადაც სათამაშო პრაქტიკა არ ჰქონია. ტრანსფერი, ალბათ, იმაზე იყო გათვლილი, რომ „დინამო“ **გიორგი ლორიას** რომელიმე უცხოურ კლუბში გაასხვისებდა და მის ადგილს მიგინეიშვილი დაიკავებდა, თუმცა ასე არ მოხდა.

მიგინეიშვილის „ტორპედოში“ თამაში იმ პერიოდსაც დაემთხვა, როცა ქუთაისელებს **გია გეგუჩაძე** წვრთნიდა, ახლა კი ეს სპეციალისტი „ზესტაფონში“ დაბრუნდა და რამდენიმე ექსტორპედოელის შემდეგ მიგინეიშვილიც თავისთან იახლა.

მას შემდეგ, რაც „ზესტაფონი“ **როინ კვასხვაძემ** დატოვა, მარგველებს კვალიფიციური, გამოცდილი მეკარე ძალიან სჭირდებოდათ და ეს ვაკანსიაც უკვე შევსებულია.

**დავით თავართქილაძე**

## საბურთალო ექსდინამოელით გაძლიერდა

პირველი ლიგის A ზონის ბინადარმა „საბურთალომ“ სეზონის საგაზაფხულო ნაწილისთვის მზადება დაიწყო. გუნდში რამდენიმე სიახლეა - მაგალითად, **გიორგი მამუჩიშვილი**, 23 წლის საყრდენი ნახევარმცველი, რომელმაც კარიერა თბილისის „დინამოში“ დაიწყო და 2008-09 წლების სეზონი ამ გუნდის ძირითად შემადგენლობასთან ერთად გაატარა. იმ პერიოდში გუნდს **კახა კაჭარავა** თავკაცობდა და მამუჩიშვილს ხშირადაც ენდობოდა.

მაგრამ, ნიჭიერი ნახევარმცველი ტრავმამ დააბრკოლა. ამის გამო „დინამოს“ დატოვება მოუხდა და ფორმის აღსადგენად ჯერ ცხინვალის „სპარტაკში“ ითამაშა, მერე გორის „დილაში“ ირიცხებოდა, ზაფხულიდან კი აღარსად ჩანდა.

საბურთალოელი **ანრი არველაძე** კი კარიერას „ზესტაფონში“ გააგრძელებს. 1996 წელს დაბადებული არველაძე „საბურთალოს“ აღზრდილია. ამპლუით საყრდენი ნახევარმცველი 2013 წელს ჭაბუკთა ლიგაში ასპარეზობდა, შემდეგ „საბურთალოს“ ღირსებას პირველ ლიგაში იცავდა. კლუბებს შორის შეთანხმებით, 17 წლის მოთამაშე „ზესტაფონში“ 6-თვიანი იჯარით ითამაშებს. ზაფხულის შემდეგ კი გადაწყდება, ფეროელები ტრანსფერს გამოისყიდიან თუ არა.

**მერაბ მამულაშვილი**

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი სამძიმარს უცხადებენ ამავე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს გიორგი ფირცხალავას დის გარდაცვალების გამო.**

*პანაშვიდი:* 16, 17.01; *მისამართი:* ი. ჭავჭავაძის II ჩიხი, 4/8.

*გამოსვენება: 18.01. ვერის სასაფლაოს ეკლესიიდან 14 საათზე.*

ინტერვიუ

# ნიკოლოზ გელაშვილი
# ჩემი 10 გოლი ჩემპიონობისთვის უნდა გვეყოს

**„აზერისპორტმა" აგდამის „ყარაბაღის" ქართველ ფორვარდ ნიკოლოზ გელაშვილს ჩამოართვა ინტერვიუ, რომელშიც საქართველოს ნაკრების წევრი მომავლის გეგმებზე საუბრობს. შეგახსენებთ, რომ „ყარაბაღი" 36 ქულით პირველ ადგილზეა, ხოლო 28 წლის გელაშვილის ანგარიშზე ჯერჯერობით 5 გოლია.**

**- ხომ არ გიჭირთ შეკრებაზე?**

- არა, გუნდი კარგი განწყობით ემზადება სეზონის განახლებისთვის. ჩვენ გეგმები გვაქვს და გვსურს, ჩემპიონატის პირველ ნახევარში მიღწეული წარმატება განვავითაროთ.

**- სასიამოვნოა, პრემიერლიგის ლიდერის რანგში ყოფნა?**

- რა თქმა უნდა, თუმცა გაცილებით სასიამოვნო ჩემპიონობა იქნება.

**- ოთხი საკონტროლო მატჩი გელოდებათ, რა მნიშვნელობას ანიჭებთ მათ?**

- ჩემთვის და მთელი გუნდისთვისაც ეს მატჩები მნიშვნელოვანია, გუნდური თამაშის დასახვეწად.

**- მალე დაიწყებთ გოლების გატანას?**

- კარგი იქნება, რაც შეიძლება მეტი გოლი გავიტანო საკონტროლო თამაშებში. საერთოდ კი მნიშვნელოვანი ჩემი გოლები კი არა, კლუბის წარმატებაა.

**- თავად როგორ შეაფასებთ თქვენს გამოსვლას სეზონის პირველ ნაწილში?**

- შემეძლო უკეთაც მეთამაშა და 2-3 გოლით მეტიც გამეტანა. თავად უკეთ ვიცი, რომ ეს არ არის ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი.

**- რას უნდა ველოდოთ „ყარაბახისგან" სეზონის დასკვნით ნაწილში?**

- ჩემპიონატის მოგებას! სერიოზული კონკურენტები გვყავს: „გაბალა", „ნეფთჩი", „ბაქი" და „ინტერი". მაგრამ ეს არ არის მიზეზი, რომ ჩემპიონობა მომავლისთვის გადავდოთ.

**- და მაინც, რომელი უფრო სერიოზული კონკურენტია ჩამოთვლილ გუნდებში?**

- ვერ გამოვყოფ. გადამწყვეტ მომენტში ნებისმიერი საშიშია.

**- თავად რამდენი გოლის გატანას აპირებთ?**

- რაც მეტი, მით უკეთესი, თუმცა მსურს 10 გოლი მაინც გავიტანო, რასაც ჩემი თანაგუნდელების გოლებიც დაემატება და ჩემპიონიც გავხდებით.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ნიკოლოზ გელაშვილი

ლეგიონერები



ჯაბა კანკავა (მარცხნივ) და თორნიკე ოქრიაშვილი

# კანკავა და ოქრიაშვილი უკრაინულ ნომინაციებში

„ინსტატ ფუტბოლი" ავტორიტეტული საფეხბურთო-ანალიტიკური კომპანიაა, რომელიც მატჩის დროს ყველა მოთამაშის ტექნიკურ-ტაქტიკურ მოქმედებებს აფასებს. უკრაინაში თითქმის არ დარჩა კლუბი, რომელიც ამ კომპანიის სამსახურით არ სარგებლობს - ვინ რამდენი ირბინა, რამდენი ორთაბრძოლა მოიგო, კარში დარტყმების, დრიბლინგების რაოდენობა და ასე შემდეგ.

ამ კომპანიის მონაცემებს უკრაინულ მედიაშიც იყენებენ. გუშინ „ფუტბოლ-ბუმმა" პირველი წრის საუკეთესო მოთამაშედ ხარკოვის „მეტალისტის" თავდამსხმელი **მარკო დევიჩი** დაასახელა და ამავე დროს, ყველა ნომინაციის გამარჯვებულიც გამოავლინეს. საუკეთესოთა რამდენიმე ნომინაციაში საქართველოს ნაკრების წევრები - კაპიტანი **ჯაბა კანკავა** და შემტევი **თორნიკე ოქრიაშვილიც** მოხვდნენ.

„ჯვაროსნების" ერთ-ერთი ლიდერი მე-4 ადგილზეა მეტოქის ნახევარზე შეტევების წამოწყების მაჩვენებლით - მან ეს 56-ჯერ მოახერხა, ლიდერი კი მისივე თანაგუნდელი, დნეპროპეტროვსკის „დნიპროს" ნახევარმცველი **რუსლან როტანია** - 66 წამოწყება. ბურთის ართმევებში კანკავას 92 წარმატებული ორთაბრძოლა დაუგროვდა და მხოლოდ ოდესის „ჩერნომორეცის" საყრდენ **კირილ კოვალჩუკს** ჩამორჩა (112).

დრიბლიორებში მე-9 ადგილზეა თორნიკე ოქრიაშვილი. მარიუპოლის „ილიჩივეცში" მას 46 წარმატებული მოქმედება დაუფიქსირდა. ლიდერია დნიპროელი **ევგენი კონოპლიანკა** - 86 დრიბლინგი. სამწუხაროდ, 18 ნომინაციიდან ქართველები მხოლოდ სამში დაასახელეს. წარმომადგენელი საუკეთესოთა ოცეულშიც არ გვყავს.

**მერაბ მამულაშვილი**

სტატისტიკა

# საქართველო პოსტსაბჭოეთის ლიდერია

უკრაინულმა ინტერნეტგაზეთმა „ფუტბოლბუმმა" იქაურ პრემიერლიგაში მოთამაშე ლეგიონერთა რაოდენობა დათვალა და საინტერესო სტატისტიკური მონაცემები გამოაქვეყნა. მიმდინარე სეზონის მთავარ უკრაინულ დივიზიონში 40 ქვეყნის ფეხბურთელი თამაშობს.

პოსტსაბჭოეთიდან, ამ ქვეყანაში ლეგიონერი მხოლოდ ექვსს ჰყავს. ყველაზე მეტი (7) ფეხბურთელით საქართველოა წარმოდგენილი. პრემიერლიგაში თამაშობს 3 რუსი, თითო კი სომეხი, ლიტველი, უზბეკი და ესტონელი. ისიც აღსანიშნავია, რომ საქართველო უკრაინაში ლეგიონერთა საერთო რაოდენობის მხრივაც ლიდერებშია. ათეული კი ასე გამოიყურება: **1.ბრაზილია-38, 2.ხორვატია-10, 3.არგენტინა-9, 4.რუმინეთი-9, 5.სერბეთი-9, 6.საქართველო-7, 7.ნიგერია-7, 8.ალბანეთი-5, 9.მაკედონია-4, 10.საფრანგეთი-4.**

საინტერესოა ისიც, რომ უკრაინაში ლეგიონერები ფეხბურთელთა საერთო რაოდენობის 33,4 პროცენტს შეადგენენ, საქართველოში კი მხოლოდ 7,9%-ს.

**მერაბ მამულაშვილი**

ფოტოისტორია

# ნამდვილი ლეგიონერი

ეს ფოტო 1986 წელსაა გადაღებული თბილისის „დინამოს" ბაზაზე, მენამული აგურით ნაშენებ სახლთან, სადაც ქართული ფეხბურთის გული ფეთქავდა.

ასლან ბალაძე, რევაზ ჩელებაძე, ვალერი გაზაევი და ზაურ სვანაძე - მათ სხვანაირი კარიერა ჰქონდათ, ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებული ფეხბურთელები იყვნენ, იმ კონკრეტულ მომენტში კი - თანაგუნდელები, რომლებიც საქართველოსთვის თამაშობდნენ.

„დინამო" მაშინ ჩვენი ცხოვრების ნაწილი იყო. როცა „დინამო" თამაშობდა, სტადიონზე ათეულათასობით ხალხი იკრიბებოდა. ასე იყო ყოველთვის, არ ჰქონდა მნიშვნელობა იმას, „დინამოს" მეტოქე „ქაირათი" იყო თუ კიევის „დინამო"...

ბალაძე ბოლოს ქობულეთის „შუქურას" წვრთნიდა, სვანაძე კახა ცხადაძის თანაშემწეა ბაქოს „ინტერში", ჩელებაძე საფეხბურთო აგენტია, გაზაევი კი ვლადიკავკაზის „ალანიაში" ლამის ყველაფერია.

1986 წელი - ეს ის დროა, როცა „დინამოს" ძალიან გაუჭირდა და მწვრთნელად დიდი ნოდარ ახალკაცი დააბრუნეს. მხოლოდ ახალგაზრდა ფეხბურთელებით საქმის გამოკეთება შეუძლებელი იყო და გუნდში ჩელებაძეც დააბრუნეს, თავდამსხმელი, ვისაც შეეძლო თამაშის „გაკეთება", მაღალი ბურთის მოგება, გოლის გატანა, 11-მეტრიანის საოცარი შესრულება...



მარცხნიდან: ასლან ბალაძე, რევაზ ჩელებაძე, ვალერი გაზაევი, ზაურ სვანაძე

1977 წელს ჩელებაძე 21 წლის გახლდათ, როცა პირველად ითამაშა საბჭოთა კავშირის ნაკრებში - ეს უკვე მნიშვნელოვანი წარმატება იყო. მას შეეძლო, ხალხი სტადიონზე მიეყვანა. ჩელებაძეს საკუთარი ქომაგი ჰყავდა. მისი თამაშის სტილი ბევრისთვის იყო მიმზიდველი. ჩელე-პელე! იყო ასეთი შეძახილებიც.

სანამ ის „დინამოში" დაბრუნდებოდა, ლანჩხუთის „გურიასა" და ბათუმის „დინამოში" თამაშობდა. ბათუმური „დინამო" მეორე ლიგაში რომ იყო, ჩელებაძე მშობლიური ქალაქის გუნდს დაეხმარა და პირველ ლიგაში გადაიყვანა. მერე თბილისის „დინამოში" დაუძახეს. მაშინ ჩვენს ფლაგმანს ისე უჭირდა, ლამის უმაღლესი ლიგიდან გავარდნა ემუქრებოდა.

...ჯერ ჩელებაძე დააბრუნეს, მერე კი გაზაევსაც დაუძახეს. მაშინ დოგმები იყო - 30 წელს გადაცილებულ ფეხბურთელს უკვე ჩამოწერილად მიიჩნევდნენ მაღალ დონეზე თამაშისთვის. გაზაევი ჩინებული ფეხბურთელი იყო, ჩია ალნაგობის, სისხარტისა და თავისებური ტექნიკის ხარჯზე ამწვავებდა თამაშს და გოლები გაჰქონდა. ოლეგ ბლოხინსა და რამაზ შენგელიას ვერ სჯობდა, მაგრამ მაინც მაგარი იყო, საბჭოთა ჩემპიონატში ერთ-ერთი გამორჩეული, მოსკოვის „დინამოში" 6 წელი სტაბილურად ითამაშა...

თბილისის „დინამოსთვის" ის, ფაქტობრივად, ლეგიონერი იყო და ისიც ლეგიონერივით თამაშობდა - ჯიქურ საკვანძო მოთამაშე გახდა ჩვენი „დინამოსთვის". ჩვენმა გულშემატკივარმა ის შეიყვარა, თავისიანად მიიღო...

ჩელებაძეს ხელი აქვს გადახვეული გაზაევზე. მეგობრული ურთიერთობა ყოველთვის აუცილებელი იყო „დინამოში", რომელიც მაშინაც პოლიტიკური ელიტის გუნდი იყო თავისი ინფორმატორებითა და წესიერი ხალხით.

ჩელებაძემ იცოდა ადამიანებთან ურთიერთობა და ეს მაშინაც გამოადგა, საფეხბურთო აგენტი რომ გახდა. გაზაევი კი სხვანაირი იყო, ფეხბურთელობის მერე მწვრთნელი გახდა, ბევრ ქართველ ფეხბურთელს გაუხსნა გზა „ალანიაში", თითქოს ის სიკეთე გადაიხადა, რითიც ის საქართველოში, თბილისის „დინამოში" მიიღეს.

ამბობენ, გაზაევი ხისტი მწვრთნელია, ძალიან მკაცრი და მომთხოვნიო. ის მწვრთნელობაშიც წარმატებული გამოდგა, ცოტა ხნით რუსეთის ეროვნულ ნაკრებსაც თავკაცობდა.

ამ ფოტოს შემთხვევით წავაწყდი ინტერნეტში. ვფიქრობ, ასლან ბალაძის არქივიდან უნდა იყოს. ფოტო გვეუბნება, რომ ამ ოთხეულს „შია" ფეხბურთი. ცხადია, ფოტო ნოსტალგიურიცაა. მაშინ ხომ „დინამო" უფრო მეტი იყო, ვიდრე ფეხბურთი...

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. XIX ტურის შეჯამება

# ახალი რეალობა

## ახალი მწვრთნელები და ახალი გმირი



ტურის გმირი: დომენიკო ბერარდი

**მე-19 ტური მოვლენებით დახუნძლული გამოდგა: ტურის ნამდვილი მშვენება გახლდათ სასუოლოში გამართული მატჩი, სადაც ადგილობრივმა გუნდმა „მილანს“ შავი დღე აყარა, 19 წლის დომენიკო ბერარდიმ კი პოკერი შეასრულა და „მილანი“ უმწვრთნელოდ დატოვა. ტურის შეჯამებას ორშაბათის მატჩებით დავიწყებთ - „ინტერი“ ისევ წვალობს...**

### ინტერის მორიგი ფიასკო

„ინტერმა“ კიდევ ერთხელ გაანბილა გულშემატკივარი - სწორედ ფიასკოდ უნდა მივიჩნიოთ საკუთარ კედლებში „კიევოსთან“ ორი ქულის დაკარგვა, რომელმაც **ვალტერ მაცარის** გუნდი ჩემპიონთა ლიგის ზონას კიდევ უფრო დააშორა. ეს „ინტერი“ არ გავს იმ გუნდს, რომელსაც სამეულისთვის ბრძოლა და მომდევნო სეზონში ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირზე წარმატებული თამაში ძალუძს. „კიევოსთან“ შეხვედრა მასპინძლებმა უპირატესობით კი წარმართეს, მაგრამ ის კლასი აკლდათ, რომელიც „კიევოს“ დარი გუნდების გასატეხად აუცილებელია. მართალია, რამდენიმე საკამათო ეპიზოდში მსაჯმა სტუმართა მხარე დაიჭირა, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში მასპინძელთა უზუსტობას, ვერც ეს გაამართლებს. მოკლედ, „ინტერი“ კოჭლობს და ალბათ ასე იქნება, სანამ ერთადერთი გამტანი ფორვარდი **როდრიგო პალასიოა** და მას ბევრი ვერავინ ეხმარება. „კიევოსთან“ „ინტერს“ ფრედი გუარინი აკლდა, რამაც გუნდის შემტევი პოტენციალი კიდევ უფრო დაასუსტა - ამ შემთხვევაში რთულია მაცარი რამეში დაადანაშაულო და მას მეტი მოსთხოვო, ვიდრე, ვთქვათ, ევროპალიგის საგზურის მოპოვებაა.

ამ შემთხვევაში, თავისი სიტყვა უფრო **ერიკ ტოჰირმა** უნდა თქვას, მაგრამ ახალი მფლობელი ჯერ მხოლოდ **ფრედი გუარინის** შესაძლო წასვლაზე აკეთებს განცხადებებს - ისეთი პირი უჩანს, რომ ამ ზამთარს, „ნერაძურის“ საფუძვლიანი გაძლიერება არ უწერია.




ამასობაში, „სამპდორია“ მოფერიანდა და კრიზისში მყოფ „უდინეზეს“ შავი დღე აყარა. გენუელთა პროგრესს **სინიშა მიხაილოვიჩს** „აბრალებენ“ და ეს მოსაზრება არ უნდა იყოს საფუძველს მოკლებული: „სამპამ“ მას შემდეგ მოუმატა, რაც გუნდს სერბი სპეციალისტი ჩაუდგა სათავეში. გენუურმა გუნდმა „უდინეზეს“ სამი უპასუხო გოლი გაუტანა და სატურნირო ცხრილში რამდენიმე ადგილით გაიუმჯობესა მდგომარეობა. „სამპა“ უკვე მე-12 ადგილზეა, სულ ახლო წარსულში კი გასავარდნ ზონასთან ყურყუტებდა..

### ტურის გმირი

ტურის შეჯამებაში გვერდს ვერ ავუვლით 19 წლის ფორვარდ **დომენიკო ბერარდის,** რომელმაც „მილანს“ ოთხი გოლი გაუტანა. „სასუოლოს“ შემტევი მასმედიის ყურადღების ცენტრშია მოქცეული და უკვე იმაზეც კი საუბრობენ, როდის დაიბრუნებს მას „იუვენტუსი“. საქმე ისაა, რომ ბერარდი სწორედ „ვეკია სენიორას“ საკუთრებაა და „სასუოლოში“ იჯარით ასპარეზობს. თუმცა, ბერარდი „სასუოლოს“ აღზრდილია და ტურინულმა გრანდმა გასულ ზაფხულს სწორედ ამ კლუბიდან გამოისყიდა. *„ამ ზამთარს „იუვე“ ბერარდის არ დაიბრუნებს, მომდევნო სეზონზე საუბარი კი ჯერ ნაადრევია“* - ეს „იუვენტუსის“ სპორტული დირექტორის **ჯუზეპე მაროტას** სიტყვებია.

ვთქვათ ისიც, რომ დომენიკო ბერარდი პირველი ფეხბურთელია 1995/96 წლების სეზონის შემდეგ, ვინც სერია A-ში ასეთ ახალგაზრდულ ასაკში პოკერი შეასრულა და საერთოდ პირველია, ვინც ამავე ტურნირში ერთ თამაშში „მილანს“ ოთხი გოლი შეუგდო. უკვე გამოჩნდნენ ისეთებიც, ვინც ჟურნალისტებს მეტი სიფრთხილისკენ მოუწოდეს და ურჩიეს მათ, რომ ახალგაზრდა ფორვარდი ქებით ცაში არ აიყვანონ - გასულ სეზონში, **მაურო იკარდიმაც** შეასრულა პოკერი, მასზე არა თუ კლუბებმა, იტალიის და არგენტინის ნაკრებებმა გააჩაღეს ნადირობა, მაგრამ მას შემდეგ ხეირიანი აღარაფერი უქნია.

### ვის აკვირდებოდა მოიესი?

„კალიარი“-„იუვენტუსის“ მატჩს „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცი **დევიდ მოიესი** დაესწრო და ატყდა ერთი ამბავი: თუ ვის აკვირდებოდა მანჩესტერელთა მწვრთნელი? - ყველაზე ხშირად **კლაუდიო მარკიზიოზე** საუბრობდნენ, მაგრამ გამოჩნდნენ ისეთებიც, ვინც **დავიდე ასტორი** წამოწია წინა პლანზე. ბოლოს, კომენტარი თავად მოიესმა გააკეთა და შემდეგი განაცხადა:

*„ვის ვაკვირდებოდი? - არავის და ეს თემა ამით ამოვწუროთ. უქმეების სარდინიაზე გატარება გადავწყვიტე და საფეხბურთო მატჩსაც დავესწარი. მგონი ამაში ცუდი არაფერია, მით უმეტეს, კარგი თამაში გამოვიდა და ვისიამოვნე“.*

ბოლო დღეებში, პრესა უფრო დივიდე ასტორის ვარიანტისკენ იხრებოდა და ვინ იცის, იქნებ მართლაც „კალიარის“ მცველს აკვირდებოდა მოიესი - თუმცა, სარდინიელი უკანახაზელი ისე გაარღვიეს „იუვეს“ შემტევებმა, რომ იმ თამაშის მიხედვით, მისი გადაბირების სურვილი არავის გაუჩნდებოდა.

### ნაპოლის პირველი იტალიური გოლი

**რაფაელ ბენიტესი** იმუქრება, სეზონის მეორე ეტაპს ერთი ამოსუნთქვით ჩავატარებთ და არათუ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის, სკუდეტოსთვის ვიბრძოლებთო. ჯერჯერობით, რაფა ასრულებს სიტყვას და 2014 წელს მისი გუნდი შესანიშნავად ირჯება - ნეაპოლელებმა ორიდან ორი მატჩი მოიგეს, ხუთი გოლი შეაგდეს და არც ერთი არ გაუშვიათ.

საგულისხმოა, რომ გასულ უქმეებზე, „ნაპოლის“ პირველი იტალიური გოლი შედგა მიმდინარე სეზონში - დიახ, **ლორენცო ინსინიეს** აქამდე არ გაეტანა და კაცმა რომ თქვას, სხვა იტალიელი მეგოლე სამხრეთელებს არც ჰყავთ.

### მწვრთნელთა სამსხვერპლო

გასულმა ტურმა ორი მწვრთნელი შეიწირა - **მასიმილიანო ალეგრის** და **დავიდე ნიკოლას** კარისკენ მიუთითეს. ნიკოლა „ლივორნოს“ მწვრთნელი იყო და ამბობენ, რომ მისი ადგილი შესაძლოა, **ჯოვანი ტრაპატონიმ** დაიკავოს. განიხილება **დომენიკო დი კარლოს** და **სერსე კოზმის** კანდიდატურებიც.

უფრო დიდი რეზონანსი, რა თქმა უნდა, მასიმილიანო ალეგრის გათავისუფლებამ გამოიწვია, რომელსაც ბოლო ინფორმაციით, **კლარენს ზეედორფი** შეცვლის. ასე დასრულდა ალეგრის 3.5-წლიანი მილანური კარიერა - ამ პერიოდში, „როსონერიმ“ სკუდეტო მოიგო, ერთხელ მეორე ადგილზე დაასრულა ჩემპიონატი და ერთხელაც სამეულით დაკმაყოფილდა.



ინტერი-კიევო

მილანი



კლარენს ზეედორფი „მილანში“ მწვრთნელის ამპლუაში ბრუნდება

# ზეედორფს ელიან

პრაქტიკულად გადაწყვეტილია, ხუთშაბათს **კლარენს ზეედორფი** ლომბარდიის დედაქალაქში იქნება და „მილანთან“ ხელშეკრულებას გააფორმებს. ერთი ვერსიით, კონტრაქტი 1.5-იანი იქნება, ხოლო მეორე ვერსიით, 2.5-წლიანი. ამას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, მთავარია, რომ „ზე“ „როსონერის“ ჩაიბარებს და მსოფლიო საკლუბო საფეხბურთო გრანდის ისტორიაში ახალი ფურცელი გადაიშლება.

იქამდე, კერძოდ კი „სპეციასთან“ სათასო პაექრობაში, „მილანს“ **მაურო ტასოტი** გაუძღვება.

ამ უკანასკნელმა უკვე გააკეთა მოკლე კომენტარი კლარენსის დანიშვნასთან დაკავშირებით: *„ზეს მოუთმენლად ველოდებით და გვეიმედება, რომ ეს საკადრო ცვლილება გუნდზე კარგად აისახება. ვფიქრობ, ზეედორფი ფეხბურთელებს რწმენას დაუბრუნებს, რაც კრიზისის დაძლევის უმთავრესი საწინდარია. აქვე, მადლობა მინდა გადავუხადო მასიმილიანო ალეგრის, მან ყველაფერი გააკეთა გუნდის საკეთილდღეოდ“.*

სავარაუდოდ, მაურო ტასოტი კლარენს ზეედორფის თანაშემწედ იმუშავებს, თუმცა ამ კითხვაზე საბოლოო პასუხი კვირის ბოლოს გვეცოდინება.

ამბები



ანდრეა პირლო „იუვენტუსის“ ერთგულია

### პირლოს ახალი კონტრაქტი

როგორც იქნა, „იუვენტუსის“ მესვეურებმა **ანდრეა პირლოსთან** შეთანხმებას მიაღწიეს და უახლოეს მომავალში მასთან ხელშეკრულებას გაახანგრძლივებენ. 34 წლის ნახევარმცველი ზაფხულში თავისუფალი აგენტი ხდებოდა, მაგრამ ახალი, 2-წლიანი კონტრაქტის გაფორმებას დაყაბულდა. ხელშეკრულების დეტალები ოფიციალურად არ გაცხადებულა, მაგრამ კულუარული ინფორმაციით, ანდრეა სეზონში 4 მილიონ ევროს მიიღებს. პირლომ პრესასთან მოკლე კომენტარი გააკეთა:

*„არასდროს მითქვამს, რომ „იუვენტუსის“ დატოვებას ვაპირებდი და შესაბამისად, არაფერია გასაკვირი ჩვენ მიერ მიღწეულ შეთანხმებაში. ტურინში თავს შესანიშნავად ვგრძნობ და მსურს, კარიერა აქ დავასრულო. იმედი მაქვს, დარჩენილი წლები კიდევ უფრო წარმატებული იქნება, ვიდრე აქამდე იყო“.*

### მატრი ფიორენტინაში ითამაშებს

გადაწყვეტილი ამბავია, რომ „მილანის“ თავდამსხმელი **ალესანდრო მატრი** სეზონის დარჩენილ ნაწილს „ფიორენტინაში“ გაატარებს. 29 წლის შემტევი ფლორენციას იჯარის წესით მიაშურებს, გამოსყიდვის პერსპექტივაზე კი მხარეები ჯერჯერობით არაფერს ამბობენ. აქვე ვთქვათ, რომ მიმდინარე სეზონში, მატრიმ „მილანის“ მაისურით 15 მატჩი გამართა და მხოლოდ 1 გოლი გაიტანა.

„ფიორენტინას“ **მარიო გომესი** და **ჯუზეპე როსი** ჰყავს ტრავმირებული და ამ გუნდს ფორვარდი ჰაერივით სჭირდებოდა. ამ თემაზე, მოკლე კომენტარი გააკეთა **ვინჩენცო მონტელამ** და იმედი გამოთქვა, რომ მატრი „ვიოლაში“ საუკეთესო კუთხით წარმოჩინდება.



ალესანდრო მატრი მილანიდან ფლორენციაში გადაბარგდა

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XIX ტურის შეჯამება

# პირველი წრე ბარსელონამ და ატლეტიკომ მოიგეს

## რეალი მხოლოდ სამ ქულაშია



პირველი წრე ჯოვანი დოს სანტოსის შოუმ დახურა

**დღეს ცოტათი განსხვავებული სტილის შეჯამება გვექნება. ვინაიდან ესპანეთის ჩემპიონატში პირველი წრე დასრულდა, გადავწყვიტეთ დღევანდელი ტურის შეჯამება, ამავდროულად პირველი წრის რეზიუმედ გვექცია და ამიტომ, ძირითად ყურადღებას სხვადასხვა საინტერესო სტატისტიკურ მონაცემზე გავამახვილებთ, თუმცა იქამდე ორიოდე სიტყვა ტურის ბოლო და ცენტრალურ შეხვედრებზეც ვთქვათ...**

### საუკეთესო დოს სანტოსი

პრიმერას პირველი წრე ჩემპიონთა ლიგის საგზურის ორი მაძიებლის ურთიერთშეხვედრით დასრულდა - „ვილიარეალმა" შარშანდელი სეზონის მეოთხეადგილოსან „სოსიედადს" უმასპინძლა და მისგან ქვა ქვაზე არ დატოვა: „ყვითელმა წყალქვეშა ნავმა" 5:1 მოიგო და მეტოქეს სატურნირო ცხრილში გადაასწრო. მატჩის და საერთოდ მე-19 ტურის საუკეთესო ფეხბურთელი **ჯოვანი დოს სანტოსი** გახდა, რომელმაც „გოლს+პასის" სისტემით 4 ქულა მოაგროვა - მექსიკელმა თავად ორი გოლი გაიტანა და **იკეჩუკვუ უჩესაც** ორი საგოლე გადაცემა მიაწოდა. ეს უკანასკნელი შესანიშნავ ფორმაშია - ნიგერიელმა წინა ტურში ჰეთთრიქი შეასრულა, ამჯერად კი დუბლი გაიფორმა. უჩეს ანგარიშზე უკვე 11 გოლია, რომელთაგანაც 10 მან ბოლო 10 შეხვედრაში გაიტანა.

ამ ნაგებით „სოსიედადმა" 5-მატჩიანი მოგებათა სერია შეწყვიტა, რომელიც 9 ნოემბერს, „რეალთან" 1:5-ის შემდეგ დაიწყო. საინტერესოა, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ბასკები ვალენსიელებთან 4-ბურთიანი სხვაობით აგებენ. 2005 წელს, „ანოეტაზე" „ვილიარეალმა" 4:0 მოიგო, გოლები კი **დიეგო ფორლანმა** (ორი), **ხუან რომან რიკელმემ** და **ხოსე მარიმ** გაიტანეს.

### წრის ჩემპიონი ბარსა

ტურის და საერთოდ პირველი წრის ცენტრალურ შეხვედრაზე („ელ კლასიკოსთან" ერთად) ისედაც ბევრი ვისაუბრეთ. ამჯერად, მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ „ატლეტიკომ" „ბარსასთან" ჩემპიონატში არსებული 6-მატჩიანი ნაგებათა სერია შეწყვიტა და 7-მატჩიან მოუგებელ სერიად აქცია.

ამ მოპოვებული ქულის წყალობით, პირველი წრის გამარჯვებული „ბარსელონა" გახდა, რომელმაც „როხიბლანკოს" მინიმალური უპირატესობით, მხოლოდ ბურთების უკეთესი სხვაობის გამო აჯობა. ჩემპიონატის პირველ ნახევარში ტიტულს გუნდს არავინ გადასცემს, მაგრამ ე.წ. „შემოდგომის ჩემპიონობას" გარკვეული დატვირთვა მაინც აქვს: ბოლო 11 სეზონიდან 10-ში ჩემპიონი სწორედ ის გუნდი გახდა, ვინც მეტოქეებს პირველ წრეში აჯობა. ერთადერთი გამონაკლისი იყო გიჟური და არანორმალური 2006/07 წლების სეზონი, როდესაც პირველი წრე „ბარსელონამ" მოიგო, ჩემპიონი კი საბოლოოდ „რეალი" გახდა (ორივე გუნდმა ტურნირი 76 ქულით დაასრულა. ის საოცარი სეზონი და განსაკუთრებით მისი ბოლო ტურები, ფეხბურთის ნებისმიერ ქომაგს კარგად უნდა ახსოვდეს). ამ ლოგიკით, 2013/14 წლების სეზონის გამარჯვებული „ბარსელონა" უნდა გახდეს.

**საუკეთესო ბომბარდირები:**

20 - კრიშტიანო რონალდო (რეალი)
19 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო)
12 - ანტუან გრიზმანი (სოსიედადი)
11 - ხავი გერა (ვალიადოლიდი), ალექსის სანჩესი (ბარსელონა), პედრო (ბარსელონა), იკეჩუკვუ უჩე (ვილიარეალი)

**საუკეთესო ასისტენტები:**

10 - სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა)
8 - ნეიმარი (ბარსელონა), კოკე (ატლეტიკო)
7 - გარეთ ბეილი (რეალი)
6 - მარკელ სუსაეტა (ბილბაო), კარლოს ველა (სოსიედადი), ივან რაკიტიჩი (სევილია), კანი (ვილიარეალი)

**გოლი + პასი:**

24 - კრიშტიანო რონალდო (რეალი) 20 გოლი და 4 პასი
20 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო) 19 გოლი და 1 პასი
17 - სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა) 7 გოლი და 10 პასი
15 - პედრო (ბარსელონა) 11 გოლი და 4 პასი
14 - ანტუან გრიზმანი (სოსიედადი) 11 გოლი და 3 პასი
14 - კარლოს ბაკა (სევილია) 9 გოლი და 5 პასი
14 - ქარიმ ბენზემა (რეალი) 9 გოლი და 5 პასი
14 - კარლოს ველა (სოსიედადი) 8 გოლი და 6 პასი
14 - ივან რაკიტიჩი (სევილია) 8 გოლი და 6 პასი
14 - გარეთ ბეილი (რეალი) 7 გოლი და 7 პასი
14 - ნეიმარი (ბარსელონა) 6 გოლი და 8 პასი

კარში დარტყმა (საშუალოდ ერთ შეხვედრაში):

7,8 - კრიშტიანო რონალდო (რეალი)
4,8 - ლიონელ მესი (ბარსელონა)
3,3 - ანტუან გრიზმანი (სოსიედადი), ჟონასი (ვალენსია)
3,2 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო)
3 - დორლან პაბონი (ბეტისი)

ზუსტი გადაცემები (პროცენტულად):

93,5 - სერხიო ბუსკეტსი (ბარსელონა)
92,5 - ჩავი (ბარსელონა)
92,2 - მარკ ბარტრა (ბარსელონა)
91,9 - ჟერარ პიკე (ბარსელონა)
91,6 - ალვარო არბელოა (რეალი)
91 - სერხიო რამოსი (რეალი)

მოგებული საჰაერო ორთაბრძოლები:

5,4 - კრისტიან სტუანი (ესპანიოლი)
5,3 - ანტონიო ამაია (ბეტისი)
5,1 - ორიოლ რიერა (ოსასუნა)
4,1 - არიც ადურისი (ბილბაო), ბორხა (ხეტაფე)

ყველაზე მეტი დრიბლინგი (საშუალოდ ერთ შეხვედრაში):

5 - იასინ ბრაჰიმი (გრანადა)
4,2 - ლიონელ მესი (ბარსელონა)
3,2 - ნეიმარი (ბარსელონა)
3,1 - ლასანა ბანგურა (რაიო ვალეკანო)
2,7 - იკერ მუნიაინი (ბილბაო)

ყველაზე მეტი ყვითელი ბარათი:

10 - ალბერტო ბოტია (ელჩე)
7 - ანტონიო ამაია (ბეტისი), ხაუმე კოსტა (ვილიარეალი), ხესუს გამესი (მალაგა), პედრო ლოპესი (ლევანტე), სერხიო რამოსი (რეალი), სერხიო სანჩესი (მალაგა)

ყველაზე მეტი წითელი ბარათი:

2 - ვიქტორ სანჩესი (ესპანიოლი)

ყველაზე უდისციპლინო გუნდები:

1. სევილია - 62 ყვითელი და 3 წითელი
2. რაიო ვალეკანო - 52 ყვითელი და 6 წითელი
3. ოსასუნა - 48 ყვითელი და 7 წითელი
...
19. სოსიედადი - 35 ყვითელი და 0 წითელი
20. ბარსელონა 34 ყვითელი და 0 წითელი

**ბურთის ფლობა:**

1. ბარსელონა - 66,6 %
2. რაიო ვალეკანო - 61,5 %
3. რეალი - 60,6 %
4. ვალენსია - 55,7 %
5. ბილბაო - 53,9 %
...
18. ესპანიოლი - 43,8 %
19. ალმერია - 43,3 %
20. ლევანტე - 36,7 %

**სიმბოლური ნაკრები**




**გოლები**

**თამაშიდან:**

39 - ბარსელონა
32 - რეალი
28 - ატლეტიკო
26 - ვილიარეალი
...
8 - ლევანტე, გრანადა

**კონტრშეტევაზე:**

7 - ბარსელონა
6 - ატლეტიკო, რეალი
4 - სოსიედადი, ლევანტე
...
0 - ბეტისი, ოსასუნა, რაიო ვალეკანო

**სტანდარტული მდგომარეობიდან:**

12 - სევილია
10 - რეალი
9 - სოსიედადი, ბილბაო
8 - გრანადა
...
1 - ბარსელონა

**პენალტით:**

5 - ბარსელონა, რეალი, ატლეტიკო
4 - რაიო ვალეკანო
...
0 - სოსიედადი, მალაგა, ვალიადოლიდი, სელტა, ოსასუნა

ავტოგოლებით ყველაზე ხშირად „ატლეტიკომ" იხეირა, რომლის მოწინააღმდეგეებმაც საკუთარ კარში ორი ბურთი გაიტანეს.

აქვე, კიდევ ერთი საინტერესო სტატისტიკა, რომელიც გუნდების სათამაშო სტრატეგიაზე წარმოდგენას შეგვიქმნის: ვინ საიდან უტევს

| გუნდი | მრც./ფლ. | ცენ. | მრჯ./ფლ. |
|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 34% | 33% | 33% |
| 2. ატლეტიკო | 39% | 26% | 35% |
| 3. რეალი | 37% | 29% | 35% |
| 4. ბილბაო | 34% | 25% | 41% |
| 5. ვილიარეალი | 34% | 25% | 41% |
| 6. სოსიედადი | 35% | 25% | 40% |
| 7. სევილია | 36% | 29% | 35% |
| 8. ვალენსია | 38% | 29% | 34% |
| 9. გრანადა | 38% | 25% | 38% |
| 10. ლევანტე | 30% | 28% | 42% |
| 11. ხეტაფე | 36% | 25% | 39% |
| 12. ესპანიოლი | 33% | 25% | 42% |
| 13. ოსასუნა | 37% | 26% | 38% |
| 14. მალაგა | 36% | 26% | 38% |
| 15. სელტა | 36% | 28% | 36% |
| 16. ალმერია | 33% | 27% | 40% |
| 17. ელჩე | 41% | 22% | 37% |
| 18. ვალიადოლ. | 39% | 25% | 36% |
| 19. რაიო ვალეკ. | 39% | 24% | 37% |
| 20. ბეტისი | 42% | 26% | 31% |

ტატო ბაციკაძე

## ამბები

### მილანი მექსესს ათავისუფლებს

იტალიური პრესის ცნობით, „მილანი" მზადაა **ფილიპ მექსესთან** მოქმედი კონტრაქტი შეწყვიტოს და მას „მონაკოში" თავისუფალი აგენტის სტატუსით გადასვლის უფლება მისცეს. მხარეებს შორის მოქმედ შეთანხმებას ვადა წელიწადნახევარში გასდის და ამ პერიოდში „როსონერის" 31 წლის მცველზე 12 მილიონი ევროს დახარჯვა მოუწევს. ამიტომაც, მილანელთა ხელმძღვანელებს ამ თანხის დაზოგვა გადაუწყვეტიათ. ხოლო „მონაკო" რომ **რიკარდო კარვალიოსა და ერიკ აბიდალის** ღირსეულ შემცვლელს ეძებს, არახალია.

ამასობაში, „მილანმა" ახალგაზრდა თავდამსხმელი **ანდრეა პეტანია** დაიბრუნა, რომელმაც სეზონის პირველი ნახევარი გენუის „სამპდორიაში" იჯარის წესით გაატარა.

### ალესანდრინის დორტმუნდი აკვირდება

„დორტმუნდი" ფრანგული „რენის" ნახევარმცველით **რომენ ალესანდრინით** ყოფილა დაინტერესებული. გერმანულ კლუბს თავისი სკაუტიც წარუგზავნია ბრეტონში „რენისა" და „ნიცას" მატჩზე დასასწრებად, რომელიც 0:0 დასრულდა. 24 წლის ნახევარმცველი მშვენიერ სეზონს ატარებს, მან მიმდინარე ლიგა ერთში 11 შეხვედრა ჩაატარა და 4 გოლის გატანაც მოახერხა. შესაბამისად, ალესანდრინის უკვე ბევრი მსურველი გამოუჩნდა.

### მაური თებერვალში დაბრუნდება

რომის „ლაციოს" კაპიტანმა **სტეფანო მაურიმ** 9-თვიან დისკვალიფიკაციასთან დაკავშირებული აპელაცია მოიგო და სასჯელი 6 თვემდე შეუმცირდა. შესაბამისად უკვე 2 თებერვალს მინდორზე გასვლას შეძლებს და ფეხბურთს დაუბრუნდება. შეგახსენებთ, რომ მაურის მატჩების ჩაწყობაში გარკვეული მონაწილეობა და ასეთ შეხვედრებზე ფსონების გაკეთება დაჰბრალდა. თუმცა თავად ფეხბურთელი ამბობს, რომ საფეხბურთო მატჩზე ფსონი ცხოვრებაში არ გაუკეთებია.

პარალელურად, „ბიანკოჩელესტი" **ფაბიო კვალიარელას** შეძენას ცდილობს და მასში ტურინის „იუვენტუსს" 6 მილიონ ევროს სთავაზობს.

### გარდაიცვალა ბობი კოლინზი

ბრიტანული ფეხბურთის ერთ-ერთი გამორჩეული ვარსკვლავი **ბობი კოლინზი** ალცჰეიმერის სინდრომთან 12-წლიანი ბრძოლის შემდეგ, 82 წლის ასაკში გარდაიცვალა. შოტლანდიის ნაკრების ყოფილი მოთამაშე მდიდარი კარიერის მანძილზე, „სელტიკში", „ლიდს იუნაიტედში", „ევერტონში" და კიდევ არაერთ გუნდში ირიცხებოდა.

*„ძალიან გულდაწყვეტილი ვარ. იგი „ევერტონის" ლეგენდა და სამაგალითო მოთამაშე იყო. ბობი კოლინზი თავისი შემართებით ყოველთვის გამოირჩეოდა. მას ჩვენი კლუბი და გულშემატკივრები არასოდეს დაივიწყებენ"* - განაცხადა ლივერპულელთა პრეზიდენტმა **ბილ კენრაიტმა.**

### ჰალს ლონგი და იელავიჩი უნდა

ინგლისური „ჰალი" ერთბაშად ორი თავდამსხმელით გაძლიერებას აპირებს. ბრიტანული მედიის ინფორმაციით, „ვეფხვები" „ევერტონის" **ნიკიცა იელავიჩისა** და „ვესტ ბრომვიჩის" **შეინ ლონგის** გადაბირებასთან ყოფილან ახლოს. იელავიჩს ამ სეზონში მხოლოდ 9 მატჩი აქვს ჩატარებული და გოლი ჯერ არ გაუტანია, ხორვატს დროებით მაინც გარემოს შეცვლის საწინააღმდეგო ალბათ არაფერი ექნება. ლონგის აქტივში 15 გამართულ მატჩში 3 ბურთია. 26 წლის ირლანდიელთან „ჰალი" პირადი კონტრაქტის დეტალებს ათანხმებს, თორემ „ვესტ ბრომვიჩთან" უკვე მოლაპარაკებულიაო.

### ევერტონი ჯონსში მილიონს იხდის

ლივერპულის „ევერტონს" ისეთი ფორვარდი სჭირდება, რომელიც სათადარიგოთა სკამზე ჯდომას არ იუარებს და საჭიროების შემთხვევაში კარგად ჩაერთვება თამაშში. „ტკბილეულებს" ძიებისას **კენვაინ ჯონსი** გამოურჩევიათ, რომელსაც ინგლისში თამაშის მშვენიერი გამოცდილება აქვს და „სტოკთან" მოქმედი კონტრაქტი ზაფხულში უმთავრდება. „ევერტონი" მზადაა ტრინიდადი და ტობაგოს ნაკრების წევრში 1 მილიონი გირვანქა გადაიხადოს, რადგან 29 წლის თავდამსხმელი ახლავე გადავიდეს „გუდისონ პარკზე", მაგრამ სტოკელებს ჯონსში 3 მილიონის ალება სდომებიათ. ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმიდან.

გიორგი კაკაბაძე

ინგლისი. პრემიერლიგა. XXI ტურის შეჯამება

# გოლები, როგორც ხარისხის ნიშანი



ოლივიე ჟირუ (მარცხნიდან პირველი) და „არსენალი" ისევ პირველია

უქმეების შემდეგ „მანჩესტერ სიტი" ცხრილის ლიდერად მოგვევლინა, თუმცა შაბათის ღამის თამაშმა სტატუსკვო აღადგინა და I ადგილი „არსენალმა" დაიბრუნა. „ქალაქელები" კარგ ფორმაში არიან. ამას ადასტურებს პრემიერლიგაში ბოლო 10-დან 9 მოგება და აქედან 6-ჯერ ზედიზედ. **მანუელ პელეგრინის** სრული საფუძველი ჰქონდა თამაშის შემდეგ ბედნიერი ყოფილიყო, მაგრამ თითქმის არ ითვლება. 78-ე წუთზე **მაპუ იანგა-მბივას** უხეშმა თამაშმა **სამირ ნასრის** წინაალმდეგ ჩილელს განწყობა გაუფუჭა. ირკვევა, რომ 26 წლის ფრანგი თვე-ნახევარი ვერ ითამაშებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთელი ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ დაპირისპირებაში მინიმუმ პირველ შეხვედრას მაინც გამოტოვებს.

*„იანგა-მბივა უნდა გაეგდოთ, რადგან ჩემმა ფეხბურთელმა მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო. ბრალდებები, რომ მაიკ ჯონსი ჩვენ მცირედ მაინც დაგვეხმარა, გადაჭარბებულია. „ნიუკასლი" იოლი მეტოქე არასდროს ყოფილა. თუ არ გჯერათ, ჰკითხეთ „მანჩესტერ იუნაიტედსა" და „ჩელსის". მთავარი, რაც დღეს მოვახერხეთ, იყო ის, რომ თავს ორგანიზებულად ვიცავდით. ჩვენი თამაშის ხარისხზე ყველაზე უკეთ გოლების რაოდენობა მეტყველებს,"* - განაცხადა პელეგრინიმ.

### ტურის ფაქტები

„ჰალთან" **ფერნანდო ტორესმა** ზედიზედ მე-2 ტურში გაიტანა, რაც ესპანელს 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ ვერ მოეხერხებინა. „ელ ნინიოსთვის" ეს იყო მე-200 მატჩი პრემიერლიგაში.

„ჩელსისთან" 0:2-მდე „ჰალს" საშინაო შეხვედრებში 6 გოლი აქვს გაშვებული, რაც საუკეთესო შედეგი იყო „არსენალთან", „სიტისთან" და „ლივერპულთან" ერთად.

**პეტრ ჩეხმა** 209-ე მშრალი თამაში ჩაატარა „ჩელსიში", რაც საუკეთესო შედეგია კლუბის ისტორიაში.

■ ■ ■

„კარდიფმა" „ვესტ ჰემთან" ზედიზედ მე-6 შეხვედრა წააგო ყველა ტურნირზე და აქედან მეხუთედ „მშრალად".

„კარდიფი" ერთადერთ გუნდად რჩება პრემიერლიგაში, ვისაც პენალტი არ დაურტყამს.

„კარდიფის" მხოლოდ 7 ფეხბურთელს აქვს მიმდინარე სეზონში გატანილი, რაც ყველაზე ცუდი შედეგია ჩემპიონატში.

უელსელთა დამრიგებელ **ოლე გუნარ სულშერს** სამწვრთნელო დებიუტი იმავე გუნდთან ჰქონდა, ვისაც ფეხბურთელის რანგში უკანასკნელად დაუპირისპირდა.

■ ■ ■

„ევერტონმა" წერტილი დაუსვა „ნორვიჩთან" 5-მატჩიან მოუგებელ სერიას (4 ფ, 1 წ).

„ევერტონს" 21 ტურში 12-ჯერ აქვს გატანილი პირველი გოლი საწყის 20 წუთში. **გარეთ ბერიმ** ამჯერად 3 წუთი „გადააცილა".

■ ■ ■

„ფულჰემმა" „ქრევეინ კოტეჯზე" „სანდერლენდთან" ბოლო 10 შეხვედრიდან მე-3 დათმო (2 ფ, 5 მ).

„შავმა კატებმა" სტუმრად მე-5 თამაში ჩაატარეს წაუგებლად (2 მ, 3 ფ).

■ ■ ■

„საუთჰემპტონის" მხრიდან გოლის ავტორმა **ადამ ლალანამ** პროფესიულ კარიერაში პირველი გოლი სწორედ „ვესტ ბრომვიჩს" გაუტანა 2008 წლის აპრილში.

„საუთჰემპტონმა" „სენტ მერიზე" ბოლო 6 საშინაო შეხვედრაში პირველად შეძლო კარის მშრალად შენახვა.

■ ■ ■

„ტოტენჰემმა" პრემიერლიგის ისტორიაში მე-200 ლონდონური დერბი ჩაატარეს (63 მ, 63 ფ, 74 წ).

„ტოტენჰემმა" „კრისტალ პალასს" მეხუთედ უმასპინძლა „უაით ჰართ ლეინზე" და პირველად დაამარცხა (3 ფ, 1 წ).

მთავარ მწვრთნელად **ტიმ შერვუდის** დანიშვნის შემდეგ შემადგენლობაში დაბრუნებულმა ფეხბურთელებმა მწვრთნელს ნდობა გაუმართლეს: **კრისტიან ერიქსენმა** 5 შეხვედრაში 3 გოლი გაიტანა და 1 საგოლე გადაცემა შეასრულა, **ემანუელ ადებაიორმა** კი, ასევე 5 მატჩში, 3 გოლი და 2 პასი გააკეთა.

■ ■ ■

„მანჩესტერ იუნაიტედმა" „სუონსისთან" პრემიერლიგაში მე-6 თამაში ჩაატარა და მეხუთედ დარჩა გამარჯვებული (1 ფრე).

„ეშმაკების" 32 წლის მცველმა **ნემანია ვიდიჩმა** პრემიერლიგაში მე-200 მატჩი ჩაატარა.

**დენი უელბეკმა** ბოლო 5 ტურში 5 გოლი გაიტანა. თავდამსხმელმა „გედებს" პირველ წრეშიც გაუტანა, თანაც ორჯერ.

■ ■ ■

„ნიუკასლს" „მანჩესტერ სიტისთან" საშინელი სტატისტიკა აქვს: ბოლო 15 თამაშში 13 წაგება და აქედან 9-ჯერ ზედიზედ, ბოლო 12 მატჩში კი „კაჭკაჭები" მინიმუმ 2 გოლს (და მეტს) უშვებენ.

„მანჩესტერ სიტი" ერთადერთია პრემიერლიგაში, ვისაც საწყის 15 წუთში ჯერ არ გაუშვია. სეზონის განმავლობაში „ქალაქელებს" მატჩის საწყის წუთებში მხოლოდ სამი გოლი აქვთ გაშვებული და სამჯერვე „ბაიერნისგან", ერთხელ „ეტიჰადზე", ორჯერ - „ალიანს არენაზე".

თავის მხრივ, „სიტის" უკვე 14 გოლი დაუგროვდა სადებიუტო 15 წუთში.

„სიტი" ერთადერთი გუნდია, რომელმაც სეზონში ზედიზედ 6-ჯერ მოიგო.

■ ■ ■

„სტოკმა" დაასრულა „ლივერპულთან" 5-თამაშიანი საშინაო წაუგებელი სერია (3 მ, 2 ფ) და სეზონში საკუთარ არენაზე პირველად გაუშვა 2 გოლზე მეტი.

„სტოკმა" დაასრულა „ბრიტანიაზე" 7-მატჩიანი წაუგებელი სერია.

**ლუის სუარესს** სტუმრად ჩატარებულ შეხვედრებში 7 გოლი აქვს გატანილი, რაც საუკეთესო შედეგია ჩემპიონატში.

39-ე წუთზე **პიტერ კრაუჩის** გოლის შემდეგ ერთადერთი გუნდი, ვისაც თავურით ჯერ კიდევ არ აქვს გატანილი, „ვესტ ჰემია".

■ ■ ■

ბირმინგემის „ვილა პარკზე" „არსენალის" წაუგებელი სერია 15 მატჩამდე გაიზარდა (8 მ, 7 ფ).

„არსენალმა" მე-16 შეხვედრაში მოახერხა ანგარიშის გახსნა, რაც საუკეთესო შედეგია ჩემპიონატში.

### სტატისტიკა XXI ტურის შემდეგ

#### საუკეთესო ბომბარდირები

22 - ლუის სუარესი (ლივერპული)
13 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი)
10 - ლოიკ რემი (ნიუკასლი), იაია ტურე (მანჩესტერ სიტი), დენიელ სტარიჯი (ლივერპული)

#### საუკეთესო მეპასეები

8 - უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი)
7 - მესუთ იოზილი (არსენალი)
6 - სტივენ ჯერარდი (ლივერპული), აარონ რემსი (არსენალი), ხესუს ნავასი (მანჩესტერ სიტი)

#### გოლი+პასი

27 - ლუის სუარესი (ლივერპული) - 22+5
17 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი) - 13+4, უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი) - 9+8
14 - აარონ რემსი (არსენალი) - 8+6, ოლივიე ჟირუ (არსენალი) - 9+5, ედენ აზარი (ჩელსი) - 9+5

#### უდისციპლინო ფეხბურთელები

10 - კევინ ნოლანი (ვესტ ჰემი)
9 - მატიე დებუში (ნიუკასლი)
8 - ანტონიო ვალენსია (მანჩესტერ იუნაიტედი)
წითელი ბარათი - 3 ქულა, ყვითელი - 1

**ლევან ბიბილაშვილი**


მანუელ პელეგრინის გუნდი შესანიშნავ ფორმაშია

### სიმბოლური ნაკრები




ნიუკასლი

## კაჭკაჭები პატიებას ითხოვენ



ასე ეუხეშნენ სამირ ნასრის

„ნიუკასლისა" და „მანჩესტერ სიტის" მატჩი უაღრესად დაძაბული და ნერვიული გამოდგა. მოგეხსენებათ, რომ იმ შეხვედრაში **მაპუ იანგა-მბივა** ძალიან უხეშად ეთამაშა **სამირ ნასრის** და ფრანგი კინაღამ სეზონის დარჩენილი ნაწილისა და მსოფლიოს ჩემპიონატის გარეშე დატოვა. საბედნიეროდ, ნასრის ტრავმა ისეთი სერიოზული არ გამოდგა, როგორც თავიდან ჩანდა და მას მხოლოდ 8 კვირა მოუწევს დასვენება. „ქალაქელთა" მწვრთნელი **მანუელ პელეგრინი** აღშფოთებული იყო, ასე თამაში არ შეიძლება და რატომ არ გააძევეს იანგა-მბივა ვერ ვიგებო. თავად მცველი კი განცდებშია, ნასრის დაშავება სულაც არ მინდოდა, უბრალოდ, მის შეჩერებას ვცდილობდი და შემთხვევით მოხდა ასეო:

*„მინდოდა სამირისთვის ბოდიში პირადად მომეხადა, მაგრამ ის უმალვე ჰოსპიტალში წაიყვანეს და ეს ვერ მოვახერხე. მერე, მისი ტელეფონი გავიგე და რამდენჯერმე დავურეკე, მაგრამ მაინც ვერ დავუკავშირდი. შემდეგ კი შეტყობინება გავუგზავნე, ბოდიში მოვუხადე და გამოჯანმრთელება ვუსურვე. დაკავშირებას კიდევ ვეცდები"* - ამბობს 24 წლის იანგა-მბივა.

შეხვედრის მსვლელობისას ნერვები ვერ მოთოკა ფეთქებადი ხასიათის მქონე **ალან პარდიუმაც**. „კაჭკაჭების" მთავარი მწვრთნელი ერთ-ერთ ეპიზოდში არბიტრის მოქმედებით დარჩა უკმაყოფილო და მერე პელეგრინისაც გადაწვდა, რომლისადმიც არაკორექტული სიტყვებიც არ დაიშურა. თუმცა იგი მკაცრ სასჯელს გადაურჩა და დისციპლინარული კომიტეტისგან მხოლოდ სიტყვიერი გაფრთხილება მიიღო. პარდიუს ალბათ იმან უშველა, რომ მან მატჩის დამთავრებისთანავე საჯაროდ მოუბოდიშა პელეგრინის.

*„ჩვენ დავუკავშირდით ალან პარდიუს და მკაცრი სიტყვიერი გაფრთხილება მივეცით. შევახსენეთ მისი სტატუსი და ის პასუხისმგებლობა, რომელიც მწვრთნელებს აქვთ აღებული"* - ნათქვამია ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის განცხადებაში.

ბარემ ისიც ვთქვათ, რომ საუცხოო ფორმაში მყოფმა **იაია ტურემ** წელი აიტკია და ამის გამო, გუნდის რამდენიმე ვარჯიშს გამოტოვებს. საკუთარ „ტვიტერზე" ივუარელმა დაწერა, რომ სერიოზული არაფერია და იმედი აქვს, მინდორს მალე დუბრუნდება. ეიმედება პელეგრინისაც, რომ ტურე „კარდიფთან" თამაშს შეძლებს. ექიმები საბოლოო გადაწყვეტილებას მოგვიანებით მიიღებენ.

**გიორგი კაკაბაძე**

ამბები

## მატიჩი დადასტურდა

„ჩელსის" თავკაცმა **ჟოზე მოურინიომ** რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ იანვარში მხოლოდ ერთ ფეხბურთელს შეიძენდა. და აი, ლონდონური გრანდი „ბენფიკას" 26 წლის საყრდენი ნახევარმცველის ნემანია მატიჩის ტრანსფერზე შეუთანხმდა. დაუდასტურებელი ინფორმაციით, გარიგება 21 მილიონი ფუნტი დაჯდება. სერბეთის ნაკრების წევრი „ჩელსიმ" 2009 წელს სლოვაკური „კოშიცედან" თავისუფალი აგენტის სტატუსით გადაიბირა, ორი წლის თავზე კი „ბენფიკას" 4.4 მილიონად დაუთმო. *„ლისაბონში შესანიშნავი 2.5 წელიწადი გავატარე. ახლა კი, ვფიქრობ, მოვიდა დრო, უფრო ძლიერ ჩემპიონატში მოვსინჯო ძალები,"* - განუცხადა პორტუგალიურ „ა ბოლას" ფეხბურთელმა.

## ჰოლტი ასტონ ვილაში

„არსენალთან" „ასტონ ვილას" 23 წლის თავდამსხმელმა **კრისტიან ბენტეკემ** შეწყვიტა 3-თვიანი უგოლო სერია, თუმცა **პოლ ლამბერტს** მაინც სურს შეტევის გაძლიერება. ის „უიგანიდან" 32 წლის **გრანტ ჰოლტის** ყიდვას გეგმავს. გავრცელებული ინფორმაციით, ვეტერანი ბირმინგემში უახლოეს დღეებში ჩავა და სამედიცინო შემოწმების გავლის შემდეგ „ვილასთან" კონტრაქტს მოაწერს ხელს.

## გვიდეტი იჯარით წავა

„მანჩესტერ სიტის" თავკაცმა **მანუელ პელეგრინიმ** პირადად დაადასტურა, რომ 21 წლის თავდამსხმელ **ჯონ გვიდეტის** 6-თვიანი იჯარით უშვებს. ფეხბურთელი კარიერას „სტოკ სიტიში" განაგრძობს. **მარკ ჰიუზს** უქმეებზე **კენუაინ ჯონსთან** მომხდარი ინციდენტის შემდეგ (ტრინინადელმა „ლივერპულთან" თამაშზე უარი თქვა) სასწრაფოდ სჭირდება ახალი შემტევი, რადგან ჯონსთან თანამშრომლობას ის აღარ აპირებს.

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქროს ბურთი. საინტერესო სტატისტიკა

# კანკავას უცნაური არჩევანი

## ჟურნალისტების რჩეული რიბერია

ოქროს ბურთის დაჯილდოების ცერემონიალის შემდეგ ცნობილი გახდა ის თუ ვის მისცეს ხმა ეროვნული ნაკრების მწვრთნელებმა და კაპიტნებმა. საქართველოს ნაკრების დამრიგებელმა თემურ ქეცბაიამ საბოლოო სამეული კი „გამოიცნო", ოღონდ რიგითობა „აერია" - ქეცბაიამ პირველ ადგილზე ფრანკ რიბერი დაასახელა, მეორეზე ლიონელ მესი, მესამეზე კი კრიშტიანო რონალდო.

### კანკავა საოცარ ოთხეულში

აი, **ჯაბა კანკავას** არჩევანმა კი ამჯერადაც გაოცება გამოიწვია - შარშან ეროვნული გუნდის კაპიტანმა პირველ ადგილზე **უეინ რუნი** დაასახელა, წელს კი მისი სამეული ასე გამოიყურებოდა: **ანდრეს ინიესტა, ანდრეა პირლო, ედინსონ კავანი.**

სულ, „ოქროს ბურთის" წლევანდელ გამოკითხვაში მონაწილეობა 184 ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ამდენივე ნაკრების კაპიტანმა და 173-მა ჟურნალისტმა მიიღო. აქედან, მხოლოდ ოთხი ნაკრების (თავად კანდიდატების ხმები არ იგულისხმება) კაპიტანმა ვერ „გამოიცნო" სამეულის ვერც ერთი წევრი, მათ შორის ერთ-ერთი სწორედ კანკავა გახლდათ. დანარჩენი სამი არიან: ეთიოპიის ნაკრების კაპიტანი **გებრეიეს დეგუ დებებე: ჩავი**, ანდრეა პირლო, **თომას მიულერი**; მალტის ნაკრების კაპიტანი **ბრიფა როდერიკი**: ანდრეს ინიესტა, **ზლატან იბრაჰიმოვიჩი, ფილიპ ლამი** და ბაჰრეინის ნაკრების კაპიტანი **ენტონი ჰადსონი: ბასტიან შვაინშტაიგერი**, ანდრეა პირლო, **მესუთ იოზილი.**

იყო სხვა მოულოდნელობებიც. ასე მაგალითად, ბელგიის ნაკრების კაპიტანმა **ვენსან კომპანიმ** პირველ ადგილზე ფრანკ რიბერი დაასახელა, მომდევნო ორ პოზიციაზე კი თანაგუნდელები, (კლუბში) **იაია ტურე** და (ნაკრებში) **ედენ აზარი** გაიყვანა. ჰონკონგის ნაკრების კაპიტნის, **ჩან ვაი ჰოს** აზრით, 2013 წლის საუკეთესო ფეხბურთელი **რობერტ ლევანდოვსკი** იყო, ხოლო მადაგასკარის ნაკრების კაპიტნის **რანდრიანარისოა ტაჰინას** აზრით, გასულ წელს ყველას **ტიაგო სილვა** სჯობდა. **ბრედ ჰანგელანდმა** („ფულჰემი" და ნორვეგია) საუკეთესოდ ბასტიან შვაინშტაიგერი მიიჩნია, **რუსლან როტანმა** (უკრაინა) კი ჩავი.

### ვის მისცეს ხმა თავად კანდიდატებმა

აქვე, საინტერესოა, ვის მისცეს ხმა თავად მთავარმა კანდიდატებმა. ლიონელ მესის სამეული ასეთი იყო: ანდრეს ინიესტა, ჩავი, **ნეიმარი**; კრიშტიანო რონალდომ კი პირველ ადგილზე **რადამელ ფალკაო** გაიყვანა, მეორეზე **გარეთ ბეილი**, მესამეზე კი მესუთ იოზილი. საფრანგეთის ნაკრების კაპიტანმა **უგო ლორისმა**, პირველ ადგილზე, რა თქმა უნდა, ფრანკ რიბერი დაასახელა, მეორეზე **მანუელ ნოიერი**, 1 ქულა კი გარეთ ბეილისთვის გაიმეტა.

რაც შეეხება მწვრთნელებს: როგორც ჩანს, ტიაგო სილვამ განსაკუთრებით აზიელები მოხიბლა - ჰონკონგის ნაკრების კაპიტნის გარდა, ის საუკეთესოდ ჩინეთის ნაკრების დამრიგებელმა **ფუ ბომაც** მიიჩნია. იმავე ჰონკონგის მწვრთნელმა, **კიმ პანგონმა**, ისევე როგორც ტაილანდის დამრიგებელმა **ჯატურაპატარაპონგ სურაჩაიმ** (!!!!), 2013 წლის საუკეთესო ფეხბურთელად **რობინ ვან პერსი** დაასახელა, ლევანდოვსკიმ კი **ვინი შეფერი** (იამაიკა) და **ნავალკა ადამიც** (პოლონეთი) ალაფრთოვანა.



მხოლოდ 4-მა კაპიტანმა ვერ გამოიცნო სამეულის ვერც ერთი წევრი და მათ შორის საქართველოს ნაკრების კაპიტანი იყო

### რიბერი: მედიის რჩეული

აქვე აღვნიშნოთ, რომ როგორც მოსალოდნელი იყო, გაცილებით ერთსულოვანნი იყვნენ მედიის წარმომადგენლები, რომელთა გამოკითხვაშიც უპირატესობა ფრანკ რიბერის მიენიჭა - ფრანგმა 80 ჟურნალისტისგან პირველი ადგილი დაიმსახურა, იმ დროს, როდესაც გამარჯვებულმა კრიშტიანო რონალდომ მხოლოდ 48 პირველი ადგილი მიიღო, ლიონელ მესიმ კი 31.

**ტატო ბაციკაძე**

ინტერვიუ. ჯენარო გატუზო

# ექვემიტანილი

**მას მაფიას უკავშირებენ... ის 2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონთა ლიგის ფინალში მინდვრიდან არ გავიდა, აი ასე, უბრალოდ განუცხადა მწვრთნელს, არსადაც არ გავალ, თამაშს ვაგრძელებო და კარლო ანჩელოტის ცვლილების გასაკეთებლად სხვა ფეხბურთელის გაყვანა მოუხდა. 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მოგების მერე, მან მარჩელო ლიპის სიხარულისგან სახეში ხელი გაარტყა, სიყვარულით. მან ერთი სეზონი გაატარა შოტლანდიაში და გიჟმაჟ სკოტებს თავი შეაყვარა, თავად კი იქიდან ცოლი გამოიყოლა. იგი ყელში წვდა მხცოვან ჯო ჯორდანს და ცოტა ხანი თავისზე არანაკლებად ექსცენტრიკულ მაურიციო ძამპარინის „პალერმოში" იმუშავა უკვე მწვრთნელის სტატუსით. ახლახან კი ის მატჩების ჩაწყობასთან დაკავშირებულ სკანდალში გაეხვია, მაგრამ ირწმუნება, არაფერ შუაში ვარ და ეს დამტკიცდებაო. ეს მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილია იმისა, რაც შეიძლება ჯენარო გატუზოზე ვთქვათ და აჯობებს, ახლა თავად რინოს მოვუსმინოთ...**

**- „რეინჯერსში" მხოლოდ ერთი სეზონი გაატარეთ, მაგრამ ის პერიოდი გამორჩეული იყო, არა?**

- ეს ჩემი კარიერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდი იყო. გლაზგოში გავიაზრე, რომ მართლა კარგი ფეხბურთელი შემეძლო გავმხდარიყავი. ჩემი ჩამოყალიბებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი გამოდგა ვოლტერ სმიტის დარ მწვრთნელთან მუშაობა.

**- თქვენ პირველად გიწევდათ იტალიის ფარგლებს გარეთ თამაში და მომავალი ცოლიც მაშინ გაიცანით. რას გვეტყვით კიდევ შოტლანდიაში გატარებულ პერიოდზე?**

- მე ჩემი მეუღლე მამამისის რესტორანში გავიცანი, სადაც მეგობრებთან ერთად საჭმელად მივედი. მამამისი თავისი საქმის ნამდვილი ოსტატი გახლავთ, ხოლო მე ძალიან გამიმართლა, რომ ეს შეხვედრა შედგა.

**- ვოლტერ სმიტი წავიდა და ახალი მწვრთნელის დიკ ადვოკაატის შემდეგ, სიტუაცია აირია...**

- „რეინჯერსის" მარცხენა მცველი დაშავდა და ადვოკაატი მის შემცვლელად მათამაშებდა, მაგრამ მისი დაბრუნების მერე, სათადარიგოთა სკამზე დამსვა, რადგან სხვაგან ჩემს ადგილს ვერ ხედავდა. მე კი დარწმუნებული ვიყავი, რომ ნახევარდაცვაში შემეძლო თამაში და ამის გამო, იტალიაში დაბრუნებას და „სალერნიტანაში" ტრანსფერს დავთანხმდი. დიახ, მე და ადვოკაატი ერთმანეთს კარგად ვერ ვუგებდით.

**- თქვენ უამრავ კარგ მწვრთნელთან გიმუშავიათ. კარლო ანჩელოტი, ჯოვანი ტრაპატონი, მარჩელო ლიპი... რომელი იყო ტაქტიკურად ყველაზე მრავალმხრივი?**

- ყველანი ძალიან ძლიერი პიროვნებები არიან. ცოტა განსხვავებულები, მაგრამ უაღრესად ნიჭიერები. ტრაპატონი მამასავით იყო, ლიპი მძლავრი გახლდათ, ხოლო ანჩელოტი ტრაპატონის მსგავსი, მაგრამ თანამედროვე და ტაქტიკურად ბრწყინვალედ მომზადებული. ლიპი დაცვითი სქემებისა და დეტალებისადმი განსაკუთრებით ყურადღებიანი და მრავალმხრივი გახლდათ, რაც 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მოგებამაც დაადასტურა.

**- რამდენად ძნელი იყო კონცენტრირება 2006 წლის მუნდიალზე, მაშინ, როდესაც კალჩოპოლის სკანდალი ახალი აგორებული გახლდათ?**

- ეს ლიპის უდიდესი დამსახურებაა. იგი გარკვეულ წილად დაკავშირებული იყო ამ სკანდალთან, მისი ვაჟის გამო, მაგრამ ოლიმპიურ სიმშვიდეს ინარჩუნებდა. ეს სიმშვიდე და თავდაჯერება გადმოგვედო ჩვენც.

**- ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატის თასის ალმართვა განსაკუთრებული მიღწევაა, მაგრამ კიდევ რომელი მოგონებაა თქვენთვის გამორჩეული?**

- მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშზე ყოველთვის ვოცნებობდი. საბოლოოდ, სამ მუნდიალზე ვიასპარეზე. თუ იქ გამარჯვებას შევძლებდი, ვერც წარმომედგინა. ასევე ძალიან ემოციური იყო „მილანთან" ერთად მოგებული პირველი ჩემპიონთა ლიგა, როდესაც ნახევარფინალში „ინტერი" დავამარცხეთ, ხოლო ფინალში ბრწყინვალე „იუვენტუსი".

**- 2003 წელს მომხდარი ინციდენტის გამო, რაიმე პრობლემა ხომ არ იყო თქვენსა და ზლატან იბრაჰიმოვიჩს შორის, როდესაც შემდგომ „მილანში" თანაგუნდელები გახდით?**

- არასოდეს არ ყოფილა პრობლემა. ჩვენ ვიყავით და ვართ კარგი მეგობრები. მაშინ უბრალოდ ვცდილობდი, არაფერი დამეთმო მეტოქისთვის, რომელიც ორი ჩემხელა იყო! მინდორზე არასდროს არაფრის და არავისი არ მეშინოდა.

**- 2011/2012 წლების სეზონის მერე, „მილანი" „სენატორებს" შეელია. როგორ დაიგეგმა ამდენ ლეგენდასთან ერთობლივად განშორება და როგორ გამცნოთ ამის შესახებ ადრიანო გალიანიმ?**

- ბოლო წამს, „მილანს" უნდოდა ჩემი შენარჩუნება და კონტრაქტიც მომიმზადეს, მაგრამ მე მესმოდა, რომ ეს ისტორია დამთავრებული იყო, თანაც როდესაც ვხედავდი, თუ როგორ ტოვებდა გუნდს ჩემი ამდენი ძველი მეგობარი.

**- როგორ შეხვდით ანდრეა პირლოს „იუვენტუსში" გადასვლას თქვენ, ალესანდრო ნესტა, მასიმო ამბროზინი, კლარენს ზეედორფი და სხვანი?**

- ჩვენ პროფესიონალები ვართ და გარკვეულ წესებს უნდა დავმორჩილდეთ. რა თქმა უნდა, პირლოს წასვლა „მილანისთვის" დიდი დანაკარგი იყო, ხოლო „იუვენტუსისთვის" მისი მისვლა დიდი შენაძენი.

**- „ტოტენჰემის" სამწვრთნელო შტაბის წევრ ჯო ჯორდანთან იმ სკანდალური ინციდენტის მერე თუ გქონიათ კონტაქტი? თქვენ შორის უთანხმოება ამოწურულია?**

- პრობლემა აღარ არის. მე მაშინ შეცდომა დავუშვი და მისდამი პატივისცემა არ გამოვიჩინე. თუმცა ჩემს პროვოცირებასაც ჰქონდა ადგილი.

**- ვინ იყო ყველაზე უხერხული მეტოქე მინდორზე?**



ჯენარო გატუზო ფეთქებადი ხასიათით გამოირჩევა

- უამრავი ძალიან კარგი ფეხბურთელის წინააღმდეგ მითამაშია, მაგრამ ყველაზე არაპროგნოზირებადი ზინედინ ზიდანი გახლდათ.

**- მიგაჩნიათ, რომ მედია ზოგჯერ ამეტებდა თქვენს სათამაშო სტილთან დაკავშირებით და ამუქებდა სურათს?**

- არა, მე ყოველთვის ხისტად ვთამაშობდი, მაგრამ ფეირ პლეის წესების დაცვით. ჟურნალისტები კი თავის საქმეს აკეთებდნენ, როდესაც ჩემს მებრძოლ ხასიათს და სათამაშო სტილს აღწერდნენ ხოლმე.

**- მწვრთნელიც ისეთი თავდაუზოგავი და შემართული იქნებით, როგორიც ფეხბურთელი იყავით?**

- ფეხბურთელობისას საკუთარი შესაძლებლობები ზუსტად ვიცოდი და თავდაუზოგავად ვვარჯიშობდი. უდიდეს შრომას მოითხოვს მწვრთნელობაც, მაგრამ ცხადია, სხვა სპეციფიკაა... აქ შენი შრომის გარდა, ხვდები, რომ მინდორზე ათი გატუზო არ არის და ყველას თავისი სტილი და ხასიათი აქვს.

**- როგორია მაურიციო ძამპარინისთან ერთად მუშაობა? ბოლო წლებში ის ზედმეტად ნაჩქარევად და ხშირად ხომ არ ცვლის მწვრთნელებს?**

- მიუხედავად გარკვეული აზრთა სხვადასხვაობისა, ძამპარინის მიერ მოცემული შანსის წყალობით, მე გარკვეული გამოცდილება მივიღე და ახლა უკვე არა მხოლოდ ყოფილი ფეხბურთელის, არამედ მწვრთნელის თვალებითაც ვხედავ ყველაფერს.

**- თქვენ ძალიან წარმატებული „მილანის" წევრი იყავით. ახლა კი გუნდს სერიოზული პრობლემები აქვს. ელოდით ასეთ ჩავარდნას?**

- ჩემთვის ეს სიურპრიზი არ არის. მთლიანად იტალიურ ფეხბურთშია პრობლემები და კრიზისი. სისტემური ცვლილებებია საჭირო. თუმცა „მილანმა" იცის სირთულეების დაძლევა, გუნდს ამის რესურსი და გამოცდილება ნამდვილად აქვს. „როსონერის" სისხლში გამარჯვებაა.

**- რამდენად ცუდად იმოქმედა თქვენზე მატჩების ჩაწყობასთან დაკავშირებით ახლახან აგორებულმა სკანდალმა, რომელსაც თქვენც გიკავშირებენ?**

- ეს რთული და არასასიამოვნო გამოცდილებაა, მაგრამ პრობლემა წყდება და მალე ყველაფერი გაირკვევა. ძალიან მესიამოვნა ჩემდამი სიმპათიით განწყობილი უცნობი ხალხის, არა მარტო „მილანის" გულშემატკივრების, თბილი და გამამხნევებელი გამოხმაურებები, რომელიც მრავლად არის.

**გიორგი კაკაბაძე**

ამბები



ლუის გარსია ესპანეთის ნაკრებში

## ლუის გარსია წავიდა

„ბარსელონას", „ლივერპულის", „ატლეტიკოს"... ყოფილმა ნახევარმცველმა **ლუის ხავიერ გარსია სანსმა** კარიერის დასრულება გადაწყვიტა. ბოლო წლები მან მექსიკის ჩემპიონატში გაატარა. მისი უკანასკნელი კლუბი „პუმასი" გახლდათ. შეგახსენებთ, რომ ესპანელს „ლივერპულთან" ერთად ინგლისის თასი, სუპერთასი, ჩემპიონთა ლიგა და ევროპის სუპერთასი აქვს მოგებული. მან ლიგაზე ტურინის „იუვენტუსს" ერთი ძალიან მნიშვნელოვანი და ლამაზი გოლიც გაუტანა, რითაც მერსისაიდელების შემდეგ ეტაპზე გასვლაში დიდი წვლილი შეიტანა. შემტევმა ნახევარმცველმა ფეხბურთიდან წასვლა 35 წლის ასაკში გადაწყვიტა.

## ნაპოლი ჟორჟინიოს შეძენას აპირებს

იტალიური „ვერონას" წარმატებების მთავარი შემოქმედები ვეტერანი **ლუკა ტონი** და ახალგაზრდები - არგენტინელი **ხუან მანუელ იტურბე** და ბრაზილიელი **ჟორჟინიო** არიან. იტურბე „პორტუს" საკუთრებაშია, აი, რაც შეეხება ჟორჟინიოს, მას მსურველები უკვე მრავლად ჰყავს - „ლივერპული", „ზენიტი", „ინტერი"... და ახლა უკვე „ნაპოლი". ნეაპოლელები ვერონელებს 22 წლის ბრაზილიელში 7,5 მილიონს სთავაზობენ და პლუს 2,5 მილიონს მოგვიანებით, ბონუსების სახით. თუ შეთანხმება შედგა, თავად ჟორჟინიო წელიწადში 800 ათასს მიიღებს.

**გიორგი კაკაბაძე**

გამარჯვებული | ოქროს ბურთი | დამარცხებული

# რონალდოს წელიწადი

## უამრავი გოლი, არც ერთი ტიტული, იბრასთან მოგებული დუელი და არნახული ამპარტავნობა



14 იანვრის „მარკას“ და „ეკიპის“ ყდები

**როგორც იქნა, მან ეს შეძლო! 2008 წლის შემდეგ კრიშტიანო რონალდომ პირველად დაისაკუთრა „ოქროს ბურთი“, აჯობა რა ლიონელ მესის და ფრანკ რიბერის და ნანატრი ჯილდო ცრემლიანი თვალებით ჩაიბარა. ამრიგად, 2013 წელი ფეხბურთში პორტუგალიელი მეგა-ვარსკვლავისაა და მოდი, ერთად გავიხსენოთ, როგორი იყო გასული წელიწადი რონალდოსთვის. ერთი რამ ფაქტია: კრიშტიანომ 2013 წელს ვერც ერთი გუნდური ტიტული ვერ მოიგო და არაერთხელ გახდა კრიტიკის ობიექტი. მაშ ასე, რონალდოს 2013:**

**6 იანვარი:** რონალდომ 2013 წელი 90 წამში შესრულებული დუბლით დაიწყო და ეს სან სებასტიანის „რეალ სოსიედადთან“ შეხვედრაში მოახერხა, რომელიც მადრიდელებმა 4:3 მოიგეს. აქვე ვთქვათ, რომ იანვარში რონალდომ ესპანეთის ჩემპიონატის სამ შეხვედრაში 7 გოლის გატანა შეძლო, თებერვლის დასაწყისში კი „სევილიასთან“ თავისი მორიგი ჰეთთრიკი მიითვალა.

**5 მარტი:** „რეალმა“ „მანჩესტერ იუნაიტედი“ 2:1 დაამარცხა და ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გავიდა. კრიშტიანო რონალდომ 69-ე წუთზე გამარჯვების გოლი გაიტანა, მაგრამ ყოფილი გუნდის ფანების პატივისცემის გამო არ უზეიმია. აღსანიშნავია, რომ „მანჩესტერის“ კარი მან პირველ შეხვედრაშიც (1:1) დალაშქრა.

**30 აპრილი:** მიუხედავად დორტმუნდის „ბორუსიასთან“ საპასუხო შეხვედრაში 2:0-ზე გამარჯვებისა, „რეალი“ ჩემპიონთა ლიგას ნახევარფინალიდან გამოეთიშა. ამრიგად, რონალდომ „რეალთან“ ერთად ვერც მეოთხე ცდაზე შეძლო ევროპის ელიტარული საკლუბო ტურნირის ფინალში გასვლა. მისი კომენტარი: *„რას ვიზამთ, გაისად კიდევ ერთხელ უნდა ვცადოთ. დარწმუნებული ვარ, რომ „რეალთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგის ფინალში ოდესმე აუცილებლად გავალ და მოვიგებ კიდეც. ახლა კი ძალიან ცუდ ხასიათზე ვარ!“* თუმცა, კრიშტიანო 15 გოლით ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

**8 მაისი:** „მალაგასთან“ 6:2-ზე მოგებულ შეხვედრაში რონალდომ პრიმერა დივიზიონში იმ სეზონის 34-ე და ბოლო გოლი გაიტანა. თუმცა პორტუგალიელი ესპანეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი მაინც ვერ გახდა - ლიონელ მესიმ 46 გოლის გატანა მოახერხა.

**17 მაისი:** ესპანეთის თასის ემოციებით დატვირთულ (11 ყვითელი და 2 წითელი ბარათი) ფინალში „რეალი“ საკუთარ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მადრიდის „ატლეტიკოსთან“ დამატებით დროში 1:2 დამარცხდა. აღსანიშნავია, რომ რონალდომ „რეალი“ დააწინაურა, მაგრამ 114-ე წუთზე **გაბისთან** უხეშობისთვის მოედნიდან გააძევეს. ამრიგად, რონალდომ და „რეალმა“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალიდან გავარდნისა და ესპანეთის ჩემპიონატში მეორე ადგილის დაკავების შემდეგ, ესპანეთის თასის ფინალის წაგებით უკანასკნელი ტიტულის მოგების შანსიც ხელიდან გაუშვეს და 2012/2013 წლების სეზონი უტიტულოდ დაასრულეს.

**4 ივნისი:** მადრიდიდან ლონდონში გადაბარგებულმა **ჟოზე მოურინიომ** ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში რონალდოზე ასეთი რამ თქვა: *„კრიშტიანოსთან ერთი პრობლემა მქონდა: მე მას ტაქტიკური საკითხების გამო ვაკრიტიკებდი და ვცდილობდი, გამეუმჯობესებინა იმ კუთხით, რა კუთხითაც, ჩემი აზრით, უნდა გაუმჯობესდეს, მაგრამ არაფერი არ მიიღო, რადგან ჰგონია, რომ ყველაფერი იცის და მწვრთნელებს მისი გაუმჯობესება არ შეუძლიათ.“*

**6 სექტემბერი:** პორტუგალიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის F ჯგუფში მესამე ადგილზე იყო და ჩრდილოეთ ირლანდიაში მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდა. საფინალო სასტვენამდე 23 წუთით ადრე მწვრთნელ **პაულო ბენტუს** გუნდი 1:2-ს აგებდა, მაგრამ რონალდომ 16 წუთში ჰეთთრიკი შეასრულა და პორტუგალიას 4:2 მოაგებინა.

**15 სექტემბერი:** კრიშტიანომ მადრიდის „რეალთან“ კონტრაქტი 2018 წლამდე გაახანგრძლივა - ამბობენ, რომ მისი ხელფასი წელიწადში 15-დან 21 მილიონ ევრომდეა.

**28 ოქტომბერი:** Youtube-ზე გამოქვეყნდა ვიდეო, რომელშიც ფიფას პრეზიდენტი **ზეპ ბლატერი** კრიშტიანო რონალდოს დასცინის. ოქსფორდის უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრაზე ბლატერმა თქვა, ლეო მესი კარგი ბიჭია, რონალდო კი თავის ვარცხნილობას ზედმეტად დიდ ყურადღებას აქცევსო და კრიშტიანოს მოძრაობების რობოტული იმიტაცია შეასრულა. პორტუგალიელმა ვარსკვლავმა ბლატერს სოციალური ქსელის მეშვეობით უპასუხა: *„ამ ვიდეოში ცხადად ჩანს, რამდენად „დიდ პატივს მცემს“ ფიფა მე, ჩემს კლუბს და ჩემს ქვეყანას. ეს ვიდეო მრავლისმეტყველია!“* მოგვიანებით, ნოემბრის შუა რიცხვებში რონალდო დაიმუქრა, ოქროს ბურთის დაჯილდოვებაზე საერთოდ არ ჩავალო.

**6 ნოემბერი:** „იუვენტუსის“ კარში გატანილი ბურთი რონალდოსთვის ჩემპიონთა ლიგაში 2013 წელს მე-14 გახლდათ, რითაც მან მესის რეკორდი (13 გოლი ერთ წელიწადში) დაამხო. საბოლოო ჯამში კი, 2013 წელს მან ჩემპიონთა ლიგაში 15 გოლის გატანა მოახერხა.

**19 ნოემბერი:** პორტუგალია მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პლეი ოფში შვედეთს დაუპირისპირდა. რონალდომ (ჰეთთრიკი საპასუხო მატჩში) **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** პირადი დუელი მოუგო და პორტუგალია მუნდიალზე გაიყვანა. აღსანიშნავია, რომ კრიშტიანომ შვედები პირველ შეხვედრაშიც დაამწუხრა. *„პორტუგალიის ნაკრების ადგილი მუნდიალზეა და მეც ჩემი წვლილი შევიტანე იმაში, რომ 2014 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება შევძლოთ,“* - აღნიშნა კრიშტიანომ.

**23 ნოემბერი:** „ალმერიასთან“ 5:0-ზე მოგებულ შეხვედრაში რონალდომ „რეალი“ მე-3 წუთზე დააწინაურა, მეორე ტაიმში კი ტრავმა მიიღო და შესაცვლელი გახდა. თუმცა პორტუგალიელს გაუმართლა: მისი ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და კრიშტიანო მოედანს ორ კვირაში დაუბრუნდა.

**11 დეკემბერი:** რონალდომ „კოპენჰაგენთან“ გაიტანა და გახდა პირველი ფეხბურთელი ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში, რომელმაც ჯგუფურ ეტაპზე 9 გოლის გატანა მოახერხა.

**22 დეკემბერი:** „ვალენსიასთან“ 3:2-ზე მოგებულ შეხვედრაში რონალდომ 2013 წელს თავისი 69-ე გოლი გაიტანა (59-ე მატჩში). აქედან, 38 გოლი პრიმერადივიზიონში შეაგდო, 10 კი პორტუგალიის ნაკრების მაისურით. გამოდის, რომ რონალდოს ყოველ 72 წუთში ერთხელ გააქვს. 59 მატჩიდან მისმა გუნდებმა 41 მოიგეს, 11 ფრედ დაასრულეს და 7-ში დამარცხდნენ.

**28 დეკემბერი:** რონალდოს მრჩეველმა **ჟორჟე მენდეშმა** ლიონელ მესის მილწევები დააკნინა: *„ბარსელონაში ნებისმიერი გაიბრწყინებდა. კრიშტიანო „ბარსაში“ რომ თამაშობდეს, სეზონში 120 გოლს გაიტანდა.“* აღსანიშნავია, რომ მესიმ „ბარსას“ ფორმით 2013 წელს ყველა ტურნირზე 39 გოლის (აქედან 28 ლა ლიგაში) გატანა მოახერხა.



კრიშტიანო რონალდო



ფრანკ რიბერიმ 2013 წელს ხუთი ტიტული მოიგო, ოქროს ბურთი კი - ვერა

# რიბერი: ამაზე მეტი რაღა უნდა მექნა?!

იმედგაცრუებულმა ფრანგმა გალა-დაჯილდოვება უკომენტაროდ დატოვა და მხოლოდ მეორე დღეს „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ალაპარაკდა

ბევრი ფიქრობს, რომ „ოქროს ბურთს“ **ფრანკ რიბერი** იმსახურებდა და ამ მოსაზრებას ნამდვილად აქვს არსებობის უფლება, რადგან „ბაიერნისა“ და საფრანგეთის ნაკრების ლიდერმა მართლაც ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა. რიბერიმ რეკორდმაისტერთან ერთად ხუთი ტიტული მოიგო, მაგრამ წლის საუკეთესო ფეხბურთელებში მხოლოდ მესამე ადგილზე გავიდა.


გალა-დაჯილდოებაზე, ფრანკ რიბერი და ადრიანა ლიმა

გალა-დაჯილდოების დასრულების შემდეგ რიბერი მიქს-ზონაში არ გამოჩენილა, თუმცა იქ ისედაც მხოლოდ გამარჯვებულები ჩადიან ხოლმე. ფრანგმა „ბაიერნის“ ბოს **კარლ-ჰაინც რუმენიგესთან** ერთად ჯერ პირდაპირ სასტუმროს მიაშურა, მერე კი მიუნხენში გაფრინდა. სწორედ სასტუმროში გაესაუბრა მას „ბილდის“ ჟურნალისტი.

*„ბაიერნთან“ ერთად ყველაფერი მოვიგე - ამაზე მეტი რაღა უნდა გამეკეთებინა? მეორე ადგილზე გავედი თუ მესამეზე, აბსოლუტურად სულ ერთია. ეგოისტი არ ვარ და ამ წოდების მოპოვება ჩემი თვითმიზანი არ იყო. მირჩევნია, „ბაიერნთან“ ერთად ისევ ყველაფერი მოვიგო და მსოფლიოს ჩემპიონიც გავხდე. სწორედ ესაა მნიშვნელოვანი,“* - უთხრა რიბერიმ ჩვენს გერმანელ კოლეგას და დასძინა: *„რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, რომ „ოქროს ბურთი“ მომეგო, მაგრამ არა უშავს. საბოლოო ჯამში ნამდვილად ვამაყობ იმით, რომ აქ ვიყავი.“*

რიბერის აზრით, „ოქროს ბურთის“ დასაკუთრება კარგი პირველ რიგში „ბაიერნის“ ფანებისთვის და მისი ცოლისთვის იქნებოდა: *„ჩემთვის „ოქროს ბურთი“ ნაღდად არ არის ყველაზე მთავარი და მიხარია, რომ ეს დაჯილდოვება უკვე ისტორიის საკუთრებაა. ახლა ისევ მხოლოდ „ბაიერნზე“ ვიქნები კონცენტრირებული, წინ კი მსოფლიოს ჩემპიონატია.“*

ფრანგს სახეზე დიდი იმედგაცრუება არც ეწერა და კონკურენტებზეც, უფრო სწორად, კონკურენტზე ისაუბრა: *„მესი ძალიან მაგარი ტიპია. ბევრი ვილაპარაკეთ, ერთმანეთს ვეხუმრებოდით. მასთან ურთიერთობა ძალიან სასიამოვნოა.“*

რიბერის თანამემამულემ, უეფას პრეზიდენტმა **მიშელ პლატინიმ** კი უფრო კონკრეტულად ისაუბრა: *„იმედგაცრუებული ვარ, რადგან მგონია, რომ წელს ეს ჯილდო რიბერის ეკუთვნოდა. კრიშტიანო რონალდო შესანიშნავი ფეხბურთელია, თუმცა ფაქტია, რომ მას მერე, რაც ამ ლონისძიებას ფიფა ატარებს, „ოქროს ბურთის“ დაჯილდოებაში რაღაც-რაღაცები შეიცვალა.“*

შეგახსენებთ, რომ „ოქროს ბურთის“ ლაურეატს წლების განმავლობაში მხოლოდ ჟურნალისტები ირჩევდნენ, მაგრამ ცოტა ხნის წინ, ფიფას გამოკითხვასთან გაერთიანდა და ხმას 209 ნაკრების მწვრთნელები და კაპიტნებიც აძლევენ.

*„50 წლის მანძილზე „ოქროს ბურთი“ წარმატებულ ფეხბურთელებს გადაეცემოდათ, ახლა კი საქმე ფეხბურთელის საერთო შესაძლებლობებს ეხება და ჩემი აზრით, ეს პრობლემაა,“* - ამბობს პლატინი და ამით იმის შეხსენება უნდა, რომ კრიშტიანო რონალდოს 2013 წელს ერთი ტიტულიც კი არ მოუგია.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ჰოლტბი შალკეში ბრუნდება?

**ლუის ჰოლტბი** „შალკედან“ „ტოტენჰემში“ ერთი წლის წინ გადაბარგდა და ამით ბავშვობის ოცნება (ინგლისში თამაში) აიხდინა, მაგრამ ამ სეზონში საქმეები კარგად ველარ მისდის და ჩვენი გერმანელი კოლეგების ინფორმაციით, დიდია იმის შანსი, რომ ისევ გელზენკირხენში დაბრუნდეს.

ფაქტია, რომ „ტოტენჰემის“ ახალი თავკაცი **ტიმ შერვუდი** (და მისი წინამორბედი **ანდრე ვილაშ ბოაშიც**) 23 წლის ჰოლტბის იშვიათად ენდობა: ამ სეზონში მან მხოლოდ 12 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა (6-ჯერ ძირითადში იყო, 6-ჯერ შეცვლაზე შეუშვეს) და მხოლოდ 1 გოლი გაიტანა. ფეხბურთელის მრჩეველი **მარკუს ნოუკი** ამბობს, ლუისს თამაში უნდა და „შალკე“ საინტერესო ვარიანტიაო. როგორც ჩანს, „ტოტენჰემი“ ჰოლტბის დათმობაზე უარს არ იტყვის - არენდაც შესაძლებელია.



ლუის ჰოლტბი

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ფიგურული ციგურაობა


ელენე გედევანიშვილი

# დილით ქალები, საღამოს მოცეკვავე წყვილები

უნგრეთის დედაქალაქში დღეს დაიწყება ფიგურულად მოციგურავეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოდან **ელენე გედევანიშვილი** (ქალები), **ოთარ ჯაფარიძე** და **ანგელინა ტელეგინა** (სპორტული ცეკვები) იასპარეზებენ. დღეს სწორედ ისინი ჩაებმებიან მოკლე პროგრამით პაექრობაში.

**ევროპის ჩემპიონატის პროგრამა**

**15 იანვარს.** 12.30 საათიდან (ყველგან თბილისის დროა მითითებული). ქალები (მოკლე პროგრამა), 19.30. მოცეკვავე წყვილები (მოკლე).

**16 იანვარი.** 13.45. ვაჟები (მოკლე); 20.25. მოცეკვავე წყვილები (თავისუფალი პროგრამა).

**17 იანვარი.** 15.30. წყვილები (მოკლე); 19.50. ქალები (თავისუფალი).

**18 იანვარი.** 14.05. ვაჟები (თავისუფალი).

**19 იანვარი.** 13.00. წყვილები (თავისუფალი).

შეჯიბრებას, როგორც ვთქვით, ქალები გახსნიან. საციგურაოზე პირველი გავა ლატვიელი ევა გაილე. სულ ფინალურ 24 საუკეთესოში მოსახვედრად სხვადასხვა ქვეყნის 37 წარმომადგენელი იბრძოლებს. ევროპის ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი (2010, 2012) ელენე გედევანიშვილი მეექვსე ჯგუფის პაექრობებს გახსნის (16.27 სთ). მის შემდეგ ისრიალებენ ვიქტორია ჰელგენსონი (შვედეთი), ელენა გლებოვა (ესტონეთი), კაროლინა კოსტნერი (იტალია), მაიე ბერენის მეიე (საფრანგეთი) და ადელინა სოტნიკოვა (რუსეთი). შეგახსენებთ, რომ გედევანიშვილმა შარშანდელ კონტინენტის პირველობაზე მე-14 ადგილი დაიკავა.

საღამოს სარბიელი მოცეკვავე წყვილებს დაეთმობა. საკვალიფიკაციო ეტაპზე მოკლე პროგრამით 29 დუეტი ისრიალებს. მათგან 20 საუკეთესო მედლებისთვის ბრძოლას თავისუფალი პროგრამით განაგრძობს. ოთარ ჯაფარიძე და ანგელინა ტელეგინა მე-14 ნომრით არიან განთესილი და მე-3 ჯგუფში 21.31 საათიდან ჩაებმებიან პაექრობაში. ოთარმა და ანგელინამ შარშანდელ ჩემპიონატზე დებიუტი მე-20 ადგილით აღნიშნეს. ჯაფარიძე მსგავს შეჯიბრებებზე სხვა დროსაც გამოსულა, ოღონდ სხვა პარტნიორებთან, მათ შორის - ელისონ რიდთან ერთად. ამჟამად რიდი და ვასილ როგოვი ისრაელის სპორტულ ღირსებას დაიცავენ.

ვაჟა დანელია

ჭადრაკი

# წარმატებული მერვე ტური

ნიუ-დელიში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირის დამთავრებამდე ორი ტური დარჩა. გუშინდელი დღე ქართველი დიდოსტატებისთვის შედეგიანი აღმოჩნდა: **ლევან ფანცულაიამ** თეთრი ფიგურებით რატნაკარანს (ინდოეთი) აჯობა, **თორნიკე სანიკიძემ** შავებით შივანანდა (ინდოეთი) დაჯაბნა, ხოლო **მერაბ გაგუნაშვილი** თეთრებით დიიპენს (ინდოეთი) დაუზავდა. გაგუნაშვილსა და ფანცულაიას 5,5-5,5 ქულა აქვთ, სანიკიძეს - ნახევარი ქულით ნაკლები. 7 ქულით შეჯიბრებას მასპინძელი აბჰიჯით გუპტა მეწინავეობს, რომელიც მე-8 ტურში თანამემამულე რაჯპარა ანკიტს შეუთანხმდა ყაიმზე. ასევე, მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს ბობირ სატაროვი (უზბეკეთი) და ბაბუ ლალიტი (ინდოეთი), ელდარ გასანოვი (უკრაინა)-ვალერი ნევეროვი (უკრაინა), მურალი კარტიკეინი (ინდოეთი)-სური ვაიბჰავი (ინდოეთი). ალექსანდრ ევდოკიმოვმა (რუსეთი) დიიპ სენგუპტა (ინდოეთი) დაამარცხა, ხოლო პაულ გომესმა (ფილიპინები) მიშრა სვაიამს (ინდეოთი) აჯობა.

რვა ტურის შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, 7 ქულით პირველ ადგილზეა გუპტა, 7 მოჭადრაკეს 6-6 ქულა აქვს. დღეს მე-9 ტურში ფანცულაია ლაქსმანს (ინდოეთი) შეხვდება, გაგუნაშვილი კარტიკეინს, ხოლო სანიკიძე სამერ კატმალეს (ინდოეთი) გაუწევენ მეტოქეობას.

ვაჟა დანელია

# ჯობავა დაწინაურდა

ვეიკ-ან-ზეეში (ჰოლანდია) გრძელდება საჭადრაკო ფესტივალი "Tata Steel Chess 2014", რომელშიც ორი წრიული ძირითადი ტურნირიც შედის - "Tata Steel Masrers" (ფიდეს მე-20 კატეგორია) და "ტატა სტეელ ცჰალლენგერს" (ფიდეს მე-14 კატეგორია), რომელშიც ქართველი დიდოსტატი **ბაადურ ჯობავაც** მონაწილეობს. „ჩელენჯერელებში" სხვადასხვა ქვეყნის 14 წარმომადგენელი იბრძვის პირველობისთვის. ესენი არიან: ბაადურ ჯობავა (2710), საბინო ბრუნელო (იტალია, 2602), იან ტიმანი (ჰოლანდია, 2607), ივან სარიჩი (ხორვატია, 2637), კალდენ ტროფი (აშშ, 2457), ბენჟამინ ბოკი (ჰოლანდია, 2560), ჟაო სიუე (ჩინეთი, 2567), ანა მუზიჩუკი (სლოვენია, 2566), იან-კშიშტოფ დუდა (პოლონეთი, 2553), მერიინ ვან დელფი (ჰოლანდია, 2430), იუ იანი (ჩინეთი, 2677), დიმიტრი რეინდერმანი (ჰოლანდია, 2593), რადეკ ვოიტაშეკი (პოლონეთი, 2711), ეტიენ გუდრიაანი (ჰოლანდია, 2431).

სტარტი წარმატებით აიღო ბაადურ ჯობავამ, რომელმაც ოთხ ტურში 3,5 ქულას მოუყარა თავი. ჯერ გაუდრიაანსა და ჟაო სიუეს სძლია, მერე სარიჩს დაუზავდა, გუშინ კი ვან დელფს გააჩერებინა საათი. მე-4 ტურის დარჩენილი შეხვედრები ასე დამთავრდა: გაუდრიაანი-ვოიტაშეკი 0:1, დუდა-მუზიჩუკი 0:1, ჟაო სიუე-ბოკი 1:0, ტროფი-სარიჩი 0:1, ტიმანი-ბრუნელო 1:0, რეინდერმანი-იუ იანი 1:0.

ოთხი ტურის შემდეგ: ჯობავა-3.5, სარიჩი, მუზიჩუკი-3-3, ბოკი, ჟან სიუე, რეინდერმანი-2.5-2.5, დუდა, ვოიტაშეკი, ტიმანი-2-2, ბრუნელო, ტროფი-1.5-1.5, იუ იანი, ვან დელფი-1-1, გუადრიაანი-0 ქულა.

დღეს მოჭადრაკეები დაისვენებენ. ხვალ კი ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: ვან დელფი-ჟაო სიუე, ვოიტაშეკი-ჯობავა, მუზიჩუკი-გუადრიაანი, სარიჩი-დუდა, იუიანი-ტროფი, ბრუნელო-რეინდერმანი, ბოკი-ტიმანი.

A ტურნირში მე-3 ტურის შეხვედრები ასე დამთავრდა: ფაბიანო კარუანა (იტალია, 2782)-სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2759) 1:0, ჰარიკრიშნა (ინდოეთი, 2706)-ლეინერ პერეს დომინგესი (კუბა, 2754) 1:0, არკადი ნაიდიჩი (გერმანია, 2718)-უესლი სოუ (ფილიპინები, 2719) 0,5:0,5, რიჩარდ რაპორტი (უნგრეთი, 2691)-ლევონ არონიანი (სომხეთი, 2812) 0,5:0,5, ლიუკ ვან ველი (ჰოლანდია, 2672)-ანიშ გირი (ჰოლანდია, 2734) 0,5:0,5, ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2789)-ბორის გელფანდი (ისრაელი, 2777) 0,5:0,5.

სამი ტურის შემდეგ: არონიანი, გირი, კარუანა, ნაკამურა, სოუ. ჰარიკრიშნა-2-2, კარიაკინი, რაპორტი-1,5-1,5, ვან ველი, დომინგესი-1-1, გელფანდი, ნაიდიჩი - 0,5-0,5 ქულა.

მთავარი ტურნირის მონაწილენი გუშინ ისვენებდნენ. დღეს IV ტურის შეხვედრებს გამართავენ.

ვაჟა დანელია


ბაადურ ჯობავა

# თითო მოგება და ყაიმი

ტალინში პაულ კერესის მემორიალში მოჭადრაკეებმა გუშინ მე-7 ტურის პარტიები გაითამაშეს. თბილისელი საერთაშორისო ოსტატი **აკაკი შალამბერიძე,** რომელიც 4.5 ქულით ლიდერთა შორის იყო, თეთრი ფიგურებით დიდოსტატ ვასილი ემელინთან (რუსეთი) დამარცხდა. სამაგიეროდ, წარმატებით ითამაშა **ვარლამ ვეფხვიშვილმა.** ქართველმა ფიდეს ოსტატმა ჰენრიკ ჰაავამაიეს (ესტონეთი) აჯობა და 7 შესაძლებლიდან 4 ქულას მოუყარა თავი.

გათამაშების ცხრილის სათავეში ერთპიროვნულად მოექცა ალექსანდრ დანინი (რუსეთი), რომელმაც გუშინ უახლოესი კონკურენტი და თანამემამულე არტიომ სმირნოვი დაჯაბნა. დანინს 6 ქულა აქვს. ლიდერს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ემელინი და მიქაელ აგოპოვის (ფინეთი) მძლეველი ფიდეს ოსტატი ოტომარ ლანდა (ესტონეთი). 5 მოჭადრაკეს 5-5 ქულა აქვს.

დღეს მე-8 ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: ემელინი-დანინი, გლეიზეროვი-ლანდა... კვეინის ალოიზისი (ლიტვა)-შალამბერიძე, იან მერტანენი (ფინეთი)-ვეფხვიშვილი.

ვაჟა დანელია

რეგიონი. ინფრასტრუქტურა







# გორში ნანატრი სარბიელის მშენებლობა დაიწყო!

ბევრისთვის და მათ შორის ჩემთვის, ლამის დაუჯერებლად იქცა გორში თავისუფალი ჭიდაობის დარბაზის მშენებლობა, თუმცა ეს საქმე მკვდარი წერტილიდან უკვე დაიძრა! მოულოდნელობად ეს ფაქტი იმიტომ იქცა, რომ დაპირება ცენტრალურმა, თუ ადგილობრივმა ხელისუფლებებმა უკანასკნელ ოც წელიწადში უამრავჯერ გასცეს. მთელი იმ ხნის განმავლობაში თავისუფალი სტილის გორელ მოჭიდავეებს მეტად არასახარბიელო პირობებში უწევდათ ვარჯიში, თუმცა ტიტულებს მაინც მრავლად იხვეჭდნენ. „ლელოშიც" ხშირად დაგვითმია ადგილი კრიტიკული პუბლიკაციებისთვის,

ჩოგბურთი

# ოქსანა ხვალ ჩაებმება

მელბურნში გრძელდება ჩოგბურთელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი - ავსტრალიის ღია პირველობა (საპრიზო ფონდი 33.000.000 დოლარი). ერთეულთა თანრიგში ძირითადი ბადის პირველსავე წრეში გამოეთიშა შეჯიბრებას **ანა ტატიშვილი** (უფრო ადრე გადაინაცვლა მაყურებლებში **სოფიო შაფათავამ**), სამაგიეროდ, ტურნირში ხვალ ჩაებმება თბილისელი **ოქსანა კალაშნიკოვა,** რომელიც უკრაინელ ირინა ბურიაჩოკთან ერთად წყვილებში მოსინჯავს ძალებს. ოქსანა მსოფლიო რეიტინგით 57-ე ადგილზეა, მისი მეწყვილე - 74-ეზე, თუმცა მათ უფრო ძლიერი მეტოქეები ეყოლებათ - ერთეულებში მე-20 და წყვილებში 55-ე რუსი სვეტლანა კუზნეცოვა და ერთეულებში მე-17 და წყვილებში 46-ე სამანტა სტოსური (ავსტრალია). როგორც ვხედავთ, წყვილთა კლასიფიკაციით მათ შორის დიდი სხვაობა არ არის, ამიტომ ამ ორი ტანდემის პაექრობა დაძაბული და საინტერესო იქნება.

ვაჟა დანელია


ოქსანა კალაშნიკოვა (მარცხნივ) და ირინა ბურიაჩოკი







უამრავჯერ გამოუთქვამს გულისწყრომა ამის საკითხზე მთავარ მწვრთნელ **ნუგზარ სხირელს**.

დიდი ხანი არ არის, რაც გორის ერთ-ერთ უბანში (ქალის დასახლება) დაიწყო თავისუფალი სტილის მოჭიდავეებისთვის ნანატრი დარბაზის მშენებლობა. მშენებლობის პირველი ეტაპი მარტამდე უნდა დასრულდეს, სრულად კი დამკვეთს, - გორის მუნიციპალიტეტს გაზაფხულის მიწურულს ჩაბარდება.

გორში თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა სექცია ჩამოყალიბებიდან ძიუდოისტებთან, ან სხვადასხვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დარბაზებში იყვნენ შეკედლებული, იქ ატარებდნენ მეცადინეობებს. 70-იანი წლების მიწურულს, გორში ცენტრალური სასპორტო სკოლის აშენების შემდეგ კი იქ გადაბარგდნენ, თუმცა ეს საკმარისი აღარ იყო. უკეთესის ძიებაში კი დიდი დრო გავიდა. „მინდა აღვნიშნო, რომ დარბაზის მშენებლობის დაწყებაში ხელი შეგვიწყო გორის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ და ნურავინ შეეცდება თავის აქტივში მიიწეროს ამ მართლაც საშვილიშვილო საქმის შესრულება" - გვითხრა ნუგზარ სხირელმა.

მშენებარე ახალი დარბაზის ფართი იქნება 28 X 24 მეტრზე, რაც საშუალებას იძლევა მეცადინეობები წარიმართოს ორ ხალიჩაზე. მოიხსნება სხვა პრობლემებიც, რომლის წინაშეც დგანან გორელი მოჭიდავეები, მათი მწვრთნელები. სავარაუდოდ, თავისუფალი ჭიდაობის სკოლა, სასპორტო სკოლისგან დამოუკიდებლად ახალ შენობაში იფუნქციონირებს და, მართალია, გამარჯვებები არც აქამდე აკლდათ - მომავალში, ალბათ, უფრო შთამბეჭდავ შედეგებს მოიპოვებენ გორელი მოჭიდავეები.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან
ფოტო: www.qartlisport.ge

## ქართული სპორტის ელჩები

**ქვეყანას, რომელსაც რაიმე პრეტენზია გააჩნია უმაღლესი მიღწევების სპორტში, სხვა მიმართულებებთან ერთად უნდა ჰყავდეს პროფესიონალები, რომლებიც პარალელურ რეჟიმში იღვაწებენ ამა თუ იმ საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში...**
**როდესაც შენი ქვეყნის წარმომადგენელი საერთაშორისო ფედერაციის თუ კონფედერაციის უფლებამოსილი წევრია, ამით ქვეყნის სპორტული ავტორიტეტი იზრდება, შენს სპორტსმენს ჩემპიონატებსა და ტურნირებზე ადვილად ვერავინ დაჩაგრავს და ა.შ.**
**საქართველოს ამჟამად ჰყავს თავისი დელეგატები საერთაშორისო უწყებებში. მაგრამ, ვფიქრობთ, უფრო მეტია საჭირო. ყველა სპორტის სახეობას მინიმუმ ერთი წარმომადგენელი მაინც უნდა ჰყავდეს საერთაშორისო სპორტის უმაღლეს ორგანოებში.**
**დღეიდან რუბრიკით: „ქართული სპორტის ელჩები", წარმოგიდგენთ ჩვენი სპორტის იმ სპეციალისტებს, რომლებმაც აღიარება დაიმსახურეს და წარმატებით საქმიანობენ საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში.**

**ზურაბ აზმაიფარაშვილი.** დაბადებული 1960 წლის 16 მარტს თბილისში. საერთაშორისო დიდოსტატი ჭადრაკში. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე. 2002-2010 წლებში ფიდეს ვიცე-პრეზიდენტი, 2013 წლის იანვრიდან ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის (ფიდეს) მსოფლიოს ჩემპიონატებისა და საჭადრაკო ოლიმპიადების სპეციალური კომიტეტის წევრი.


ზურაბ აზმაიფარაშვილი


ვლადიმერ ახალკაცი

**ვლადიმერ ახალკაცი.** დაბადებული 1951 წლის 3 მაისს თბილისში. საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი.

ევროპის კრივის კონფედერაციის წევრი 2001 წლის 10 ნოემბრიდან. ევროპის მსაჯთა კომიტეტის წევრი და ტექნიკური დელეგატი.


ლევან ახვლედიანი

**ლევან ახვლედიანი.** დაბადებული 1969 წლის 10 მარტს თბილისში.

საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი.

2012 წლიდან 2016 წლის ჩათვლით არჩეულია ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციაში „პლიაჟის ფრენბურთის" კომისიის წევრად.

**კახა ბასილია.** დაბადებული 1964 წლის 22 ივლისს თბილისში.

საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის და კარატეს ფედერაციის პრეზიდენტი. მსოფლიოს კარატეს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი 2009 წლის მაისიდან.


კახა ბასილია

**თამაზ იმნაიშვილი.** დაბადებული 1954 წლის 28 ივლისს თბილისში.

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს რეკორდსმენი სასტენდო სროლაში (მრგვალ სტენდი). საქართველოს სროლის სახეობათა ფედერაციის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი. ევროპის სროლის კონფედერაციის პრეზიდიუმის წევრი, 2008 წლიდან A კატეგორიის საერთაშორისო მსაჯი.

**გაბრიელ ბარჯაძე**


თამაზ იმნაიშვილი

## სუმო. ჰაცუ ბაშო. 12-26 იანვარი

# ზედიზედ მეორე გამარჯვება



იანვრის ბაშოს მესამე დღეს მე-12 მაეგაშირა **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)** მისთვის ძალზე უხერხულ მეტოქე **კიოკუშუჰოს** მოუგო. ქართველი სუმოისტი მეხუთედ ხვდებოდა კიოკუშუჰოს და აქამდე სულ წაგებები ჰქონდა პასივში. ახლაც მეტოქე ყოჩაღად უტევდა და გაგამარუმ ბოლო წამს შეძლო მისი მოგერიება კოტენაგეს ილეთით. ილეთის შესრულებისას ქართველმა მოწინააღმდეგეს თვალი ატკინა.

გაგამარუს მომდევნო მეტოქე მე-16 მაეგაშირა **ოსუნაარაშია**, რომელსაც აქამდე მხოლოდ ერთხელ შეხვდა და მოუგო. ქართველ სუმოისტს 2-1 ბალანსი აქვს.

**III დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-ოკინოუმი (იორიკირი), ტოიონოშიმა-კოტოშოგიკუ (კირიკაეში), კისენოსატო-ჩიოტაირიუ (იორიკირი), კაკურიუ-ტოჩიოძანი (ოშიდაში), გოეიდო-ამინიშიკი (ოშიდაში), **გაგამარუ-კიოკუშუჰო** (კოტენაგე).

**IV დღე**

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-ჩიოტაირიუ, კისენოსატო-ოკინოუმი, კაკურიუ-ტოიონოშიმა, კოტოშოგიკუ-მიოგირიუ, კოტოოშუ-ამინიშიკი, **გაგამარუ**-ოსუნაარაში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## სპორტული ჟურნალები




დამთავრდა 2013 წლის სპორტული სეზონი და სპორტულმა ორგანიზაციებმა დაიწყეს შედეგების შეჯამება, სახავენ ახალი წლის ახალ გეგმებს.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ განვლილი სპორტული წლის ანგარიშს, ტრადიციისამებრ, სპეციალური ჟურნალი მიუძღვნა. რაც დრო გადის ეს გამოცემა სულ უფრო შთამბეჭდავი ხდება როგორც თემატური, ისე დიზაინ-არქიტექტონიკის თვალსაზრისით. კარგი ის არის, რომ გავა წლები და მთელი წლის ქართული სპორტის ცხოვრება ერთ ლამაზ ჟურნალში იქნება თავმოყრილი. აშკარაა, რომ დიდი შრომა გაუწევიათ სარედაქციო კოლეგიას (მთავარი რედაქტორი ელგუჯა ბერიშვილი) და ავტორებს.

საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა კი პერიოდული გამოცემა - ჟურნალი „ოლიმპიელი" (№36) მიუძღვნა ქართული სპორტის როგორც ახალ, ისე ისტორიულ ამბებს, რაც, როგორც ყოველთვის, დიდ ინტერსს აღძრავს მკითხველში. ქართულ პოლიგრაფიაში ეს ჟურნალი კვლავ რჩება იმის ნიმუშად, თუ როგორი უნდა იყოს შინაარსით და ფორმით თანამედროვე ბეჭდური პროდუქცია. რაც ვთქვით, სავსებით ბუნებრივია, რადგან გამოცემას თავისი საქმის გამორჩეული სპეციალისტი **პაატა ნაცვლიშვილი** რედაქტორობს.




მოკლედ, ახალი, 2014 წლის დადგომის წინ სპორტით დაინტერესებულმა ჩვენმა მკითხველმა ზემოხსენებული ჟურნალები მიიღო, როგორც კარგი საახალწლო საჩუქარი.

**თენგიზ თომაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოპინგი. პრესკონფერენცია

# დოპინგი ბავშვებში?

## სპორტი, მედიცინა და პოლიცია ერთ რაზმში

**გუშინ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში ბოლო დოპინგ-სკანდალთან დაკავშირებული პრესკონფერენცია გაიმართა.**

შეგახსენებთ, რომ საქმე თავისუფალ ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონ **გიორგი ედიშერაშვილისა** (55) და ახალგაზრდებში ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ევროპის ვიცე-ჩემპიონ **ლევან არაბულის** (120) დისკვალიფიკაციას ეხება. პრესკონფერენციას სამინისტროს ხელმძღვანელებთან ერთად ჭიდაობის ფედერაციისა და საქართველოს ანტიდოპინგური სააგენტოს ხელმძღვანელები და ოლიმპიური გუნდის ექიმიც ესწრებოდნენ. თავდაპირველი განმარტებებიც მათ გააკეთეს.


მარცხნიდან: თამაზ თევზაძე, პალიკო კასრაძე, ლუკა კურტანიძე, ლევან ყიფიანი, ზურაბ კახაბრიშვილი

***ლევან ყიფიანი*** (სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი): *„დაუშვებელია, რაც დღეს საქართველოში ხდება და ამიტომაც დოპინგს დაუნდობელი ბრძოლა გამოვუცხადეთ. ეს ძალიან მტკივნეული თემაა ქვეყნის, მისი იმიჯის, სპორტსმენების, მათი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის. მომხდარი მეტად ცუდი ფაქტია. პირველი, რასაც ამასთან დაკავშირებით გავაკეთებთ, საქმეში ჩავრთავთ ჯანდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს, რათა დაუნდობელი ბრძოლა გამოვუცხადოთ მსგავს ფაქტებს. აუცილებელია, შეიქმნას საგანგებო კომისია საკანონმდებლო ბაზის მოსაწესრიგებლად, რაც ამ ბრძოლას სჭირდება – დაარეგულიროს ხელმისაწვდომობა და ამ პრეპარატების გამოყენება. დღეს ასეთი რეგულაციები არაა და ათლეტებიც თვითნებურად იქცევიან - ინტერნეტით იწერენ და ვაისპეციალისტების დახმარებით თვითნებურად იღებენ წამლებს. ამიტომ გვინდა საქმეში ჯანდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩართვა. აქედან სამთავრობო სხდომაზე მივდივარ და პრემიერ–მინისტრსაც ჩავაყენებ საქმის კურსში. ეს ძალიან სერიოზული თემაა და განგაშის ზარები უკვე შემოვკარით. საზოგადოების საყურადღებოდ მინდა განვაცხადო, რომ სერიოზული ბრძოლა მოგვიწევს, რადგან ეს ისეთი დაავადებაა, საფუძველშივე თუ არ ამოიკვეთა, ძალიან ცუდ შედეგს მისცემს ჩვენს მომავალს, მაგრამ ჩვენც შეუპოვრები დავრჩებით და შეღავათები არ იქნება. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოების ერთიანობა, ჟურნალისტების მხარდაჭერა. დიდი მადლობა ამისთვის თქვენ და მიხარია, რომ ერთ აზრზე ვართ.*

***ლუკა კურტანიძე*** (ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი): *სპორტსმენებისთვის დღეს შექმნილი პირობები სამაგალითოა, როგორ ეპყრობიან და როგორ აფასებენ მათ. ამ მხრივ საქართველო ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა, სადაც სპორტსმენი პრიორიტეტულია. არადა, ქვეყანაში უამრავი პრობლემაა, მაგრამ სპორტსმენებს მაინც წინ აყენებენ. აქედან გამომდინარე, გასაკვირია, რატომ მიდიან ასეთ ცდუნებაზე და საკუთარი თავისთვის ყველაზე დიდი სასჯელი თავად რატომ გამოაქვთ. სამინისტროსთან ერთად ჩვენც დაუნდობელნი და მკაცრი ვიქნებით ამ ბრძოლაში. ანტიდოპინგურ სააგენტოსთანაც კიდევ უფრო მჭიდრო კონტაქტი გვექნება და ყველა ტურნირის წინ შევამოწმებთ მოჭიდავეებს, რათა მოსალოდნელი რისკი მინიმუმამდე დავიყვანოთ.*

***პალიკო კასრაძე*** (საქართველოს ანტიდოპინგური სააგენტოს ხელმძღვანელი): *მეტად სამწუხაროა, რომ სპორტული სამყარო ამ თემით იწყებს ახალ სეზონს. განსაკუთრებით სამწუხაროა, რომ ეს ისეთ სახეობაში ხდება, რაც ასე მნიშვნელოვანია ჩვენთვის. მომხდარზე სპორტის სამინისტრომ სერიოზული რეაგირება მოახდინა, მაგრამ ამ ბრძოლაში სახელმწიფოც უნდა ჩაებას. კონკრეტულად – შინაგან საქმეთა სამინისტრო, რადგან ჩვენს სააგენტოს მოკვლევის უფლება არ აქვს. უკვე ცნობილია ის ადგილი, სადაც იძენენ ამ ნივთიერებებს და საინტერესოა, რომ იქ შეძენილი პრეპარატებით უკვე 9 სპორტსმენი ჩავარდა. ასევე საჭიროა, ამ მიმართულებით საბაჟო წესების გამკაცრება. ეს ეფექტური იქნება, მით უფრო, რომ არსებობს თანამშრომლობის ხელშეკრულება მსოფლიოს საბაჟო ორგანიზაციასა და მსოფლიოს ანტიდოპინგურ სააგენტოს შორის, რასაც ჩვენი კანონმდებლობაც უნდა დავაფუძნოთ ამ კუთხით. თან საქართველოშიც იკრძალება რეცეპტის გარეშე წამლების გაცემა. ანტიდოპინგური საქმიანობის გასაუმჯობესებლად აუცილებელია, ყველა ფედერაციაში გამოიყოს ამ სფეროზე პასუხისმგებელი პირი, ჩვენი სააგენტო კი ვალდებულებას იღებს მათ გადამზადებაზე და ტრენინგების ჩატარებაზე. ის ვალდებული იქნება ჩვენთან კონტაქტზე, რაც ფედერაციის ხელმძღვანელობას ზედმეტი ვალდებულებებისგან გაათავისუფლებს.*

ოლიმპიური გუნდის მთავარი ექიმი **ზურაბ კახაბრიშვილი**, რომლისკენაც ასეთ შემთხვევებში ყველაზე ხშირად იშვერენ ხელს, ტრადიციულად, სიტყვაუხვი იყო და ბევრი საინტერესო დეტალიც გაახმოვანა.

***ზურაბ კახაბრიშვილი:*** ყოველწლიურად იანვრის დასაწყისში სპორტული მედიცინის ასოციაცია ხელშეკრულებას დებს თითოეულ ფედერაციასთან, სადაც გაწერილია, რომ ჩვენი ასოციაცია სისტემატურ შემოწმებას უტარებს ყველა ასაკობრივ ნაკრებს, ყველა ტურნირზე ამოწმებს მათ, უტარდებათ სემინარები. ამას ემატება სამინისტროს მიერ ორგანიზებული სემინარებიც. ჩვენ თეორიულ დონეზე კი ვამზადებთ, მაგრამ აქ მთავარია სპორტსმენის მენტალიტეტი, რომლებსაც ყოველთვის უჩნდებიან ვაიგულშემატკივრები, ვისაც თავის დროზე სპორტში ხელი მოეცარა და ახლა ნებისმიერი საშუალებით ცდილობენ თავის დამკვიდრებას. სპორტსმენებისთვის ყველაფერს ვაკეთებთ, რაც საჭიროა, მაგრამ ზუსტად ეს ხალხი მათ დამატებით აძლევს ინტერნეტით შეძენილ საშუალებებს, რაც არ კონტროლდება და ზუსტად ამიტომაა საჭირო ჯანდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს დახმარება. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა. შემომტანები არ არიან ექიმები და მათ ეგონათ, რომ კვალი ორგანიზმიდან გადიოდა 25-30 დღეში, მაგრამ ამათგან ერთი 72-ე დღეზეა ჩავარდნილი. თუმცა მას იმდენად დიდი დოზა ჰქონდა მიღებული, 2 თვის მერეც ექნებოდა კვალი ორგანიზმში.

სამწუხაროდ, მწვრთნელები დოპინგს ასე თვითნებურად აძლევენ ახალგაზრდულ და ჭაბუკთა ნაკრებებშიც. რამდენჯერმე ჩემი გვარიც კი გაჟღერდა, კახაბრიშვილმა იცისო. არადა, საქმის კურსში არ ვიყავი. ძალიან ხშირად ბავშვებს ფუროსემიდს აძლევენ წონის დასაკლებად, რითაც ანგრევენ მათ ორგანიზმს. ჩვენ მზად ვართ, გამოვიკვლიოთ არა მარტო მაღალი მიღწევების სპორტში ჩაბმული სპორტსმენები, არამედ ისინიც კი, ვინც ვერ ხვდებიან ნაკრებებში. თანაც – უფასოდ.

პრესკონფერენციაზე ის ზემოხსენებული კონკრეტული ადგილიც დასახელდა, რომლისთვისაც ეს თურმე მეცხრე შემთხვევაა – ქაიროს ქუჩაზე მდებარე ფიტნეს-ცენტრი. მოგვიანებით, კერძო საუბრებში გლდანის ოლიმპიური რეზერვების ცენტრიც ახსენეს. ვფიქრობთ, აუცილებელია სერიოზული შემოწმება-წმენდა ჩაუტარდეს ასეთ ცენტრებს, რაშიც გარდაუვალია სამართალდამცავთა ჩარევა, თორემ მარტო ფაქტზე ჩავარდნილთა დასჯა საქმეს რომ არ შველის, ფაქტია...

ითქვა ისიც, რომ შარშან დოპინგზე 3 ათასით მეტი შემოწმება ჩატარდა 2012-თან შედარებით და თანხებიც ბევრად გაიზარდა, თუმცა დოპინგ-სკანდალების ლომის წილი სწორედ 2013-ზე მოდის. ითქვა ისიც, რომ სავარაუდოდ, ჩვენი ფედერაციაც ფინანსურად დაისჯება, თუმცა ეს ყველაფერი მაშინ გაირკვა. აქვე იმასაც განვმარტავთ, რომ აქ ლაპარაკია არა სამკურნალო წამლებზე, არამედ – საკვებ დანამატებზე, რაც ინტერნეტში მართლაც შეუფერხებლად იყიდება. სამწუხაროდ, როგორც კასრაძემ გვითხრა, ეს ბიოდანამატები თურმე მსოფლიოს „შავ" ბაზარზეც იმდენად მოთხოვნადია, რომ მისი ფულადი ბრუნვა 6-ჯერ აჭარბებს ნარკობიზნესისას. ყურადღება გაამახვილეს იმაზეც, ეს ბიოდანამატები რამდენად ცუდად მოქმედებს ორგანიზმზე – პრაქტიკულად, რამდენიმე წელიწადში ორგანიზმი „იფუშება" და აქტიური სპორტისთვის უმაქნისი ხდება, იწვევს ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის თუ სხვა ორგანოთა დაავადებებს, იმპოტენციას და ახალგაზრდა სპორტსმენი, პრაქტიკულად, ინვალიდი ხდება. პრესკონფერენციაზე ახლო წარსულში სახელოვანი შვედი ფალავნის, 2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონ მარტინ ლიდბერგის ბედზეც ითქვა, რომელმაც თურმე დოპინგის ნიადაგზე განვითარებული იმპოტენციის შედეგად სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

**ირაკლი თავაძე**

*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო*

კალათბურთი. ქართველი ირანში


ლაშა ფარლალავა

# ლაშას 27

ირანის ჩემპიონატში მორიგი ორი შეხვედრა ჩაატარა **ლაშა ფარლალავას** „ეშტელლალმა". წინასწარ გეტყვით, რომ სატურნირო თვალსაზრისით გუნდს საქმე დალხენილად ნამდვილად არა აქვს, ფარლალავა კი „ეშტელლალის" ლიდერად გვევლინება.

ლაშას თანაგუნდელებმა ჯერ „გორგანთან" ითამაშეს, შემდეგ „მაჰრამთან". პირველ მატჩში 76:82 დამარცხდნენ, ხოლო მეორეში - 72:79.

■ ■ ■

„გორგანის" წინააღმდეგ ფარლალავამ 40 წუთი ითამაშა და მატჩის ბომბარდირიც გახდა - 27 ქულა ჩააგდო. ქართველმა უკანახაზელმა 7 ორქულიანი, 11 სამიანი სტყორცნა და 4-4 ჩააგდო, რასაც 7 ზუსტი საჯარიმო მიაყოლა. 27 ქულის გარდა ლაშას ანგარიშზე 2 პასი და თითო ჩაჭრა-მოხსნა დაფიქსირდა.

■ ■ ■

ჩემპიონატის მთავარ ფავორიტ „მაჰრამთან" ფარლალავამ მატჩი სასტარტო ხუთეულში დაიწყო, თუმცა მხოლოდ 13 წუთი ითამაშა. ექსარმიელს დრო უქმად არ დაუკარგავს: 4-დან 1 სამქულიანი, 1-დან 1 ორიანი ჩააგდო და მატჩი 5 ქულით, 2 მოხსნით, 1 პასითა და ამდენივე ჩაჭრით დაასრულა.

„ეშტელლალმა" „მაჰრამს" დიდი წინააღმდეგობა რომ გაუწია, **მეჰდი მორადნასაბის** დამსახურებაა, რომელმაც 22 ქულას მოუყარა თავი.

ლაშა ფარლალავას გუნდს სატურნირო ცხრილში 9 ნაგების წილ 3 მოგება უწერია და ბოლოსწინა ადგილზეა, ერთი გამარჯვებით უსწრებს ზემოთ ნახსენებ „გორგანს".

**ვაჟა სიმონიშვილი**

კალათბურთი. საერთაშორისო სტუდენტური ლიგა

# სტუ მოსკოვისკენ

ჩვენს ერთგულ მკითხველს მოეხსენება, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) გუნდი საერთაშორისო სტუდენტური ლიგის პლეი ოფში გავიდა. ჩვენმა სტუდენტებმა ექვსგუნდიან ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავეს, რასაც მომდევნო ეტაპზე თამაშის უფლების მოპოვება მოჰყვა.

გუშინ გაირკვა მერვედფინალური წყვილები. ქართველ ტექნიკოსებს ურთიერთობის გარკვევა მოსკოველებთან მოუწევთ. მათი მეტოქე რუსეთის სამართლის აკადემიის გუნდი იქნება.

მერვედფინალში გამარჯვებული ორი მატჩის ჯამში გამოვლინდება (შინ და სტუმრად). პირველი შეხვედრა თბილისში გაიმართება. ცნობილია ისიც, რომ თამაშები მარტში ჩატარდება, თუმცა ზუსტი თარიღები მოგვიანებით დადგინდება.

**ვაჟა სიმონიშვილი**






ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# ორი ლიდერია, ორიც მოწინავეთა მარაქაშია

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში საშობაო-საახალწლო არდადეგები დასრულდა და მე-12 ტურის შეხვედრები გაიმართა. ქართველ მორაგბეთა გუნდები ორ ჯგუფში ლიდერობენ. კიდევ ორს კი პლეი ოფში მოხვედრის კარგი შანსი აქვს.**



დავით დადუნაშვილი და დავით აშვეთია (ცენტრში)

A ჯგუფს სათავეში **შალვა სუთიაშვილის, დავით აშვეთიას, დავით დადუნაშვილის, არჩილ კობაურისა** და **ელიზბარ ყუფარაძის** „მასი“ უდგას. პარიზელებმა მე-12 ტურში სტუმრად დაამარცხეს **ირაკლი ნინიძის** „დიჟონი“ - 37:14. აშვეთია ძირითად შემადგენლობაში იყო და 47-ე წუთზე ყუფარაძემ შეცვალა, დადუნაშვილმა მოედანზე 15 წუთით მეტი დაჰყო, ნინიძემ კი თამაშის დასრულებამდე სამი წუთით ადრე დატოვა მოედანი, სუთიაშვილს და კობაურს არ უთამაშიათ.

დადუნაშვილი და აშვეთია მატჩის საუკეთესო მოთამაშეთა შორის დაასახელეს. აღსანიშნავია, რომ მასელთა ოთხი ლელოდან ორი საჯარიმო იყო, რაც სტუმართა შერკინების, უფრო კი, ქათველი პირველხაზელების დამსახურება გახლდათ.

ქართველ მორაგბეთა სხვა სამ გუნდს პლეი ოფში მოხვედრის შანსი, ფაქტობრივად, აღარ აქვთ. **ბაჩუკი გუჯარაიძის** „სენ ნაზერი“ სტუმრად დამარცხდა „ნევერთან“ - 20:27. ქართველმა შერკინების მეორეხაზელმა თავიდან ბოლომდე ითამაშა. სენნაზერელები 20 ქულით მე-6 ადგილზე არიან და საპლეიოფო ჯგუფს 13 ქულით ჩამორჩებიან.

17 ქულა აქვს და მე-7 ადგილზეა **შოთა საყვარელიძის** „სენ ჟან დანჟელი“, რომელმაც შინ წააგო მესამეადგილოსან „ლილთან“ - 16:26. საყვარელიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 65-ე წუთზე შეცვალეს. ჩვენებურის ამ გუნდს ერთი ქულით ჩამორჩება და მე-9 ადგილზეა **რეზო გიგაურისა** და **თენგიზ გელანტიას** „მონლუსონი“, რომელმაც შინ დაძაბულ ბრძოლაში მინიმალური სხვაობით დაამარცხა „ვანი“ - 21:20.

**A ჯგუფი**

**დიჟონი-მასი 14:37, სენ ჟან დანჟელი-ლილი 16:26, ბობინი-კონიაკი 22:17, მონლუსონი-ვანი 21:20, ნევერი-სენ ნაზერი 27:20.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. მასი - 42 ქულა, 2. ნევერი - 41, 3. ლილი - 36, 4. ვანი - 33, 5. ბობინი - 21, 6. სენ ნაზერი - 20, 7. სენ ჟან დანჟელი - 17, 8. კონიაკი - 17, 9. მონლუსონი - 16, 10. დიჟონი - 9.**

**XII ტური**

**მასი-სენ ჟან დანჟელი, ლილი-ბობინი, კონიაკი-მონლუსონი, ვანი-ნევერი, სენ ნაზერი-დიჟონი.**

B ჯგუფში ლიდერი **ავთანდილ კოპალიანის** „მაკონია“. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენებურის გუნდმა სტუმრად წააგო „ლა ვულესთან“ 23:27, 39 ქულით მაინც პირველ ადგილზეა. კოპალიანს არ უთამაშია. უახლოესი მდევარი „ობენა“ მაკონელებს ახლა ერთი ქულით ჩამორჩება.

ამავე ჯგუფში მოასპარეზე ქართველ მორაგბეთა სხვა სამ გუნდს სატურნირო ცხრილის ბოლო სამი საფეხური უკავია. ყველაზე უკეთესი მდგომარეობა **გიორგი ჯაშიტაშვილის** „შალონს“ აქვს, რომელიც შინ დამარცხდა „ლა სეინთან“ - 9:22. შალონელებმა 18 ქულა დააგროვეს და მე-8 ადგილზე იმყოფებიან. მათ ექვსი ქულით ჩამორჩება და მე-9 ადგილზეა **მერაბ კვირიკაშვილისა** და **ზერო პეტრიაშვილის** „ვიენი“, რომელმაც სტუმრად წააგო მეორეადგილოსან „ობენასთან“ - 17:27. კვირიკაშვილმა, რომელმაც სრულად ითამაშა, გუნდს შვიდი ქულა მოუტანა (ორი გარდასახვა და ერთი საჯარიმო), პეტრიაშვილი თამაშში მეორე ტაიმში ჩაერთო.

სატურნირო ცხრილის ბოლო საფეხურზე კი რვა ქულით **გიორგი კუთარაშვილის** „ანესი“ იმყოფება, რომელიც შინ ვერას გახდა „რომანთან“ დაპირისპირებაში - 15:31.

**B ჯგუფი**

**შამბერი-ექსი 29:13, ანესი-რომანი 15:31, ლა ვულე-მაკონი 27:23, შალონი-ლა სეინი 9:22, ობენა-ვიენი 27:17.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. მაკონი - 39 ქულა, 2. ობენა - 38, 3. ლა სეინი - 31, 4. ექსი - 29, 5. რომანი - 29, 6. ლა ვულე - 28, 7. შამბერი - 25, 8. შალონი - 18, 9. ვიენი - 12, 10. ანესი - 8.**

**XII ტური**

**მაკონი-შალონი, ექსი-ანესი, რომანი-ლა ვულე, ვიენი-შამბერი, ლა სეინი-ობენა.**

C ჯგუფში პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძვის **თედო ზიბზიბაძის, ნიკოლოზ მალალდაძის, გიორგი გაბელიასა** და **ირაკლი ნატრიაშვილის** „პერიგო“, რომელმაც სტუმრად შეძლო აუსტაიდერ „ენდაის“ დამარცხება - 31:17. ქართველთაგან მხოლოდ ზიბზიბაძემ ითამაშა, რომელმაც ერთი სალელოვე გადაცემა მიითვალა და მოედანზე თავიდან ბოლომდე დაჰყო. „პერიგოს“ ახლა 25 ქულა აქვს და მეოთხე ადგილზეა.

**C ჯგუფი**

**მონტობანი-როდეზი 27:16, ლორმონი-სენ ჟან დე ლუზი 31:21, ენდაი-პერიგო 17:31, ლავორი-ლანჟონი 18:13, ტულე-ლიმოჟი 15:14.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. მონტობანი - 52 ქულა, 2. ლანჟონი - 35, 3. ლიმოჟი - 26, 4. პერიგო - 25, 5. ლორმონი - 25, 6. სებ ჟან დე ლუზი - 23, 7. როდეზი - 22, 8. ტულე - 21, 9. ლავორი - 21, 10 ენდაი - 8.**

**XII ტური**

**როდეზი-ლორმონი, სენ ჯან დე ლზუი-ენდაი, პერიგო-ლავორი, ლიმოჟი-მონტობანი, ლანჟონი-ტულე.**

D ჯგუფში 27 ქულით მე-5 ადგილზეა და პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძვის **ლაშა მალალურაძის, სიმონ მაისურაძის, ლადო გუნიავას, ბექა ურჯუკაშვილისა** და **გიორგი მჭედლიშვილის** „ბაგნერე“. ჩვენებურთა ამ გუნდმა შინ დაამარცხა „ვალანსი“ - 16:11. მალალურაძემ, რომელმაც სრულად ითამაშა, სამი საჯარიმო და ერთი გარდასახვა გაიტანა (11 ქულა), მაისურაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 52-ე წუთზე შეცვალეს, ორ წუთში მოედანი მჭედლიშვილმაც დატოვა, გუნიავა და ურჯუკაშვილი განაცხადში არ იყვნენ.

**მიხეილ გაჩეჩილაძის** „აჟეტმომ“, რომელიც 17 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა, შინ წააგო „ლურდთან“ 13:24. გაჩეჩილაძემ სრულად ითამაშა.

**D ჯგუფი**

**აჟეტმო-ლურდი 13:24, ბლანიაკი-ლანამეზანი 25:22, ტიროსი-კასტანე 24:14, ბაგნერე-ვალანსი 16:11, ოლორონი-მოლეონი 22:6.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ტიროსი - 41 ქულა, 2. ოლორონი - 40, 3. ლანამეზანი - 30, 4. კასტანე - 30, 5. ბაგნერე - 27, 6. ვალანსი - 25, 7. ბლანიაკი - 22, 8. ლურდი - 17, 9. აჟეტმო - 17, 10. მოლეონი - 9.**

**XII ტური**

**ლურდი-ბლანიაკი, ლანამეზანი-ბაგნერე, ვალანსი-ოლორონი, კასტანე-ბაგნერე, მოლეონი-აგეტმო.**



მარცხნიდან: ლაშა მალალურაძე და სიმონ მაისურაძე

ერთა თასი, ისტორია



თედო ზიბზიბაძის ლელო პორტუგალიასთან

# მეორე მეტოქე ლობუშებია

*„საწყის ათ წუთში ზუსტად ის თამაში ვაჩვენეთ, რაზეც გამუდმებით ვმუშაობთ. ყველაფერი გამოგვდიოდა და ლელოც გავიტანეთ. ამის გამო, შეიძლება ითქვას, ზედმეტად თავდაჯერებულები გავხდით, მორაგბეებმა ინდივიდუალურად დაიწყეს თამაში. შედეგად, პირველი ტაიმის ბოლო 20 წუთი საშინელება იყო“* - თქვა ნამატჩევს საქართველოს ნაკრების ახალზელანდიელმა მთავარმა მწვრთნელმა **მილტონ ჰეიგმა.**

საწყისი ათი წუთი მართლაც ფანტასტიკური იყო. „ბორჯღალოსნები“ ისე გაისარჯნენ, ისე იოლად გამოსდიოდათ ფაზების აკინძვა, როგორც ამას ერთ ჩვეულებრივ ვარჯიშზე აკეთებენ. მერე კი კარგა ხნის განმავლობაში ყველაფერი აირია. მართალია, მეტოქეს 22-მეტრიან ზონაში შესვლის საშუალება პირველად 30-ე წუთზე მისცეს, მაგრამ ფაქტია - რაიმე ღირებულის შექმნას ვერც ჩვენი გუნდი ახერხებდა. ამის მიზეზი კი უწინარესად ტექნიკური წუნი იყო“.

ასე იწყება „ლელოში“ გაკეთებული მატჩის რეპორტაჟი, რომელიც შარშან თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართა. მაშინ საქართველოს ნაკრებმა პორტუგალიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლა და 25:12 მოუგო. ის სეზონი „ლობუშებმა“ აშკარად ჩააგდეს. მათ ხუთი მატჩიდან მხოლოდ ერთი მოიგეს, ერთი ფრედ დაამთავრეს და სამი წააგეს. შედეგად, პორტუგალიის ნაკრებმა შვიდი ქულა დააგროვა და ახლა ერთა თასის გათამაშებაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის.

ცხადია; „ლობუშებისთვის“, რომლებმაც 2007 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებაში იასპარეზეს და შვიდკაცა რაგბიში ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავთ, ასეთი მდგომარეობა მიუღებელია. არადა, ერთა თასის წლევანდელი გათამაშების კალენდარი იმდენად რთული აქვთ, ადვილი შესაძლებელია, ბოლო ადგილს გამოჰკრან ხელი.

მივყვეთ თანმიმდევრულად. პირველ მატჩს პორტუგალიის ნაკრები სტუმრად გამართავს ბუქარესტში რუმინეთის ნაკრებთან. ცხადია, ამ მატჩში ლუზიტანელების გამარჯვების შანსი მიზერულია. მეორე ტურში კი მეტოქედ ლისაბონში საქართველოს ნაკრები ეყოლებათ. პორტუგალიელები, სავარაუდოდ, ყველა ღონეს იხმარენ, რათა ჩვენი გუნდი შინაურ კედლებში დაამარცხონ, რადგან მომდევნო ორ თამაშს სტუმრად ბელგიისა და რუსეთის ნაკრებებთან გამართავენ. გამარჯვება მათ ორივე ვიზავის ჰაერივით სჭირდება და, ძნელი სავარაუდოა, პორტუგალიელები ამ ქვეყნებიდან გახარებულნი წამოვიდნენ.

ბოლო მატჩში პორტუგალიის ნაკრების მეტოქე შინ მეზობელი ესპანეთი იქნება. ეგრეთ წოდებული, „პირინეული დერბი“ ყოველთვის დაძაბულ, უშელავათო ბრძოლაში მიმდინარეობს და „ლობუშებს“, ცხადია, გამარჯვების გარანტიას ვერავინ მისცემს, მით უფრო, რომ ერთა თასზე ადგილის შენარჩუნებას ესპანეთის ნაკრებიც შეეცდება.

ერთი სიტყვით, პორტუგალიის ნაკრებმა გადასარჩენად შინ ორივე თამაში უნდა მოიგოს, მათ შორის საქართველოს ნაკრებთანაც. ეს კი იმის დასტურია, რომ ლისაბონში იოლი გასეირნება არ გვექნება და არც არასდროს გვქონია. „ლობუშები“ ერთა თასზე ჩვენთვის ყველაზე უხერხული მეტოქეა. თუმცა, მაინც ვფიქრობთ, რომ დროა გადავლახოთ ეს თავსმოხვეული პირობითობა და მეტოქეს სათამაშო კლასის ხარჯზე წარმატების მიღწევის იოტისოდენა იმედიც არ დავუტოვოთ.

საამისოდ კი იმ ტექნიკური წუნის მინიმუმამდე დაყვანაა საჭირო, რომელზეც შარშანდელი მატჩის რეპორტაჟში ვსაუბრობდით. ამასთან ერთად, შესანიშნავი საწყისი ათი წუთი, მინიმუმ სამოც წუთათ უნდა გადავაქციოთ.

**საქართველო-პორტუგალია 25:12**

**საქართველო (15-9)**: ხმალაძე (ყიასაშვილი 79), მჭედლიძე (კაჭარავა 63), ზიბზიბაძე, შარიქაძე, მაჩხანელი, კვირიკაშვილი, ბეგაძე.

**(1-8)**: ნარიაშვილი (ხინჩაგიშვილი 57), შალვა მამუკაშვილი (ბელქანია 57), ზირაქაშვილი (მირცხულავა 63), ჩხაიძე (მაისურაძე 48), მიქაუტაძე (ბინაძე 63), სუთიაშვილი, გორგოძე, ბასილაია.

**3ლ**: ხმალაძე, ზიბზიბაძე (2). **2ს,2გ**: კვირიკაშვილი.

**პორტუგალია (15-9)**: კოშტა, ეშტევეში, ოლივეირა, მარი, ფორჟუ, ლეალი, მაგალიაეში (ლიმა 71).

**(1-8)**: ალვეში (სეგურადო 48), კორეია, მურე (მარტინში 48), რეისი (ჟირაუ 63), გ. უვა, ვ. უვა (ბალანჟე 71), ბარდი, სევერინუ.

**4ს**: ლეალი.

**მაჯი**: გიორგი ამირხანაშვილი (საქართველო)

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 5 | 4 | 1 | 0 | +74 | 19 |
| 2. რუმინეთი | 5 | 4 | 1 | 0 | +49 | 19 |
| 3. რუსეთი | 5 | 3 | 0 | 2 | -6 | 14 |
| 4. პორტუგალია | 5 | 1 | 1 | 3 | -21 | 7 |
| 5. ბელგია | 5 | 0 | 1 | 4 | -39 | 5 |
| 6. ესპანეთი | 5 | 0 | 2 | 3 | -57 | 5 |

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# კრიზისული ბოსტონი და გაცოცხლებული ნიქსი

გრძელდება რეგულარულ ჩემპიონატში „ბოსტონის“ კრიზისი. გუშინ, ამ გუნდმა ზედიზედ მეცხრე მატჩი წააგო. „კელტები“, ამჯერად, „ჰიუსტონს“ დანებდნენ, თუმცა შეხვედრის დასაწყისი კარგი გამოუვიდათ დი ლიდერობა იგდეს ხელთ. „რაკეტებმა“ მალე გაათანაბრეს თამაში, რაც **ჩენდლერ პარსონსის** რვა ქულის დამსახურებაა. ეს კალათბურთელი გარკვეული პაუზის შემდეგ დაუბრუნდა თავის გუნდს. „ჰიუსტონს“ დიდი შესვენებისთვის უკვე კომფორტული უპირატესობა ჰქონდა, რაც გასაკვირი არ არის იმის გათვალისწინებით, რომ „სელტიქსმა“ 28 საჯარიმოდან მხოლოდ შვიდი მოათავსა კალათში.

„ბოსტონის“ ლეგენდის **კევინ მაკჰეილის** შეგირდებმა თავს უფლება მისცეს და მოხსნებისთვის ბრძოლა წააგეს (46-50), სამაგიეროდ, გაცილებით ზუსტად უტევდნენ: მარტო **დუაიტ ჰოვარდმა** 32 ქულა დააგროვა. ბოლოსკენ „ბოსტონმა“ გაიბრძოლა და 20-ქულიანი ჩამორჩენა შვიდ ქულამდე დაიყვანა, მაგრამ მაინც ვერ აიცილა თავიდან მორიგი მარცხი.

■ ■ ■

ამასობაში, ზედიზედ მეექვსე მატჩი მოიგო „ნიუ იორკმა“, რისთვისაც „ფინიქსის“ წინააღმდეგ ოვერტაიმის თამაში დასჭირდა. მასპინძლებს შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ დამატებითი დრო, მაგრამ კინაღამ დაისაჯნენ უპასუხისმგებლობის გამო. ისე მოხდა, რომ „ნიქსმა“ გაფლანგა პირველ სამ მეოთხედში მოპოვებული უპირატესობა და **ლეანდრო ბარბოზამ** ზუსტი საჯარიმოებით მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა.

ოვერტაიმში არიზონელებს იმედგაცრუება ელოდათ, რადგან ხუთ წუთში მხოლოდ ოთხი ქულა დააგროვეს. შედეგიანობით ვერც „ნიქსი“ ბრწყინავდა, მაგრამ ამ გუნდს ექვსი ქულა ეყო მატჩის მოსაგებად. ამ ექვსი ქულიდან ოთხი **კარმელო ენტონის** ანგარიშზე მოდის.

■ ■ ■

ჩიკაგოელი „ხარები“, როგორც ჩანს, დაიღალნენ მოგებებით. „ბულზის“ ექვსმატჩიანი გამარჯვებათა სერია „ვაშინგტონთან“ საშინაო შეხვედრაში შეწყდა. უკვე პირველი მეოთხედის დასაწყისში სტუმრებმა 8:0 სპურტი მოაწყვეს, რის შემდეგაც, „ჩიკაგო“ მეტოქეს ოთხ ქულაზე ახლოს არ მიახლოებია. საინტერესოა, რომ დედაქალაქური კლუბი მხოლოდ მეორეა ამ სეზონში, რომელმაც „იუნაიტედ ცენტრში“ 50 პროცენტზე მაღალი სიზუსტით ისროლა. არადა, **ჯონ უოლი** ვერ ბრწყინავდა ზუსტი ტყორცნებით (14-დან 6 ჩაგდება).

ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა შეცდომები: მასპინძლებს 17 დაკარგვა დაუგროვდათ (11 - დედაქალაქელებს), რითაც სტუმრებმა 22 ქულა აიღეს. აღსანიშნავია, რომ თუ მიმდინარე სეზონში „ჩიკაგო“ მეტოქეს მინიმუმ 100 ქულას აგროვებინებს, აუცილებლად მარცხდება (8-დან 0).

■ ■ ■

გუშინ, „სან ანტონიოს“ რიგებში ვერ ვიხილეთ ორი ტრავმირებული მოთამაშე - **დენი გრინი** და **ტიაგო სპლიტერი**, ხოლო **ტიმ დანკანი** იძულებული გახდა, მეოთხე მეოთხედის დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე დაეტოვებინა მოედანი. მიზეზი ექსვი პერსონალური იყო. სხვათა შორის, ასეთი რამ პირველად მოხდა ბოლო სამი წლის განმავლობაში. სამაგიეროდ, ტექსასელთა სასტარტო შემადგენლობაში გამოჩნდა **მანუ ჯინობილი**, რომელმაც თავის გუნდს 14 ქულა შესძინა.

„ნიუ ორლეანმა“ დიდი წინააღმდეგობა გაუწია მრისხანე მეტოქეს და თამაშის მოგებაც შეეძლო. მაგრამ **ტონი პარკერისა** და კომპანიის გამოცდილებამ და **გრეგ პოპოვიჩის** პროფესიონალიზმმა სტუმრებს მოგების საშუალებს მისცა. გარდა ამისა, „სპურსმა“ 31 საჯარიმოდან 26 ჩააგდო, რაც ორჯერ მეტია მეტოქის ანალოგიურ მაჩვენებელზე. გადამწყვეტი აღმოჩნდა დროის მონაკვეთი მესამე და მეოთხე მეოთხედების მიჯნაზე, რომელიც სტუმრებმა 11:0 მოიგეს. „სან ანტონიო“ აგრძელებს დასავლეთ კონფერენციაში ლიდერობას. სხვათა შორის, ის პირველი გუნდია სეზონში, რომელმაც 30 მატჩი მოიგო.

■ ■ ■

„დალასმა“ „ორლანდოსთან“ მატჩის ბედი პრაქტიკულად პირველ ნახევარში გადაწყვიტა: სასწაული უნდა მომხდარიყო, რომ **დირკ ნოვიცკისა** და კომპანიას 18-ქულიანი უპირატესობა გაეფლანგა. მიუხედავად ამისა, სტუმრები წინააღმდეგობის გაწევას ცდილობდნენ და ერთხელ ექვს ქულამდე მიუახლოვდნენ მეტოქეს. მაგრამ „მავერიქსმა“ მალე უპასუხა და ეჭვი არავის შეჰპარვია მის უპირატესობაში.

ამ მატჩში, ნოვიცკი გახდა 24-ე მოთამაშე ისტორიაში, ვინც მინიმუმ 1400 სამქულიანი მოათავსა კალათში.

■ ■ ■

„დენვერის“ ხუთმატჩიანი მოგებათა სერია „იუტასთან“ გასვლით მატჩში შეწყდა. „ჯაზმენების“ სასტარტოში **გორდონ ჰეივორდის** შემცვლელმა **ალეკ ბერქსმა** მოულოდნელად 34 ქულა დააგროვა, რაც მისი კარიერის რეკორდია.

ამ მატჩის წინ, **ტრეი ბერკს** დეკემბრის საუკეთესო ახალბედას პრიზი გადასცეს. საინტერესოა, რომ ასეთი რამ კლუბის ისტორიაში მხოლოდ მეორედ მოხდა: „ჯაზის“ მოთამაშეებიდან ეს პრიზი მხოლოდ **კარლ მელოუნს** აქვს მიღებული - 1985 წლის დეკემბერში.


ჰოვარდმა 32 ქულა დააგროვა

| ტორონტო-მილუოკი | 116:94 |
|---|---|

**38:24, 20:26, 30:23, 28:21**

**ტ:** ლოური (23+4 ჩაჭრა), დეროზანი (19), პატერსონი (18), ვალანჩუნასი (17+10 მოხსნა), სალმონსი (10).

**მ:** ილიასოვა (29+9 მოხსნა), ნაითი (16), ადეტოკუნბო (11).

| ბოსტონი-ჰიუსტონი | 92:104 |
|---|---|

**27:19, 16:33, 22:32, 27:20**

**ბ:** ბრედლი (24), ბეილესი (17), ბასი (14), კროუფორდი (13), სალინჯერი (8+10 მოხსნა).

**ჰ:** ჰოვარდი (32+11 მოხსნა), ჰარდენი (16), ლინი (16+9 პასი), პარსონსი (14), ჯონსი (12+12 მოხსნა), კასპი (12).

| ნიუ იორკი-ფინიქსი | 98:96 (ო) |
|---|---|

**28:21, 24:22, 23:25, 17:24, 6:4**

**ნ-ი:** ენტონი (29+16 მოხსნა), ფელტონი (19), ბარნიანი (10), სმიტი (10).

**ფ:** დრაგიჩი (28), ბარბოზა (21), პლამლი (12+11 მოხსნა), მორისი (12), ფრაი (10).

| ჩიკაგო-ვაშინგტონი | 88:102 |
|---|---|

**19:26, 24:30, 25:22, 20:24**

**ჩ:** ბუზერი (19), ბატლერი (12), სნელი (12), დანლივი (10), ნოა (8+16 მოხსნა).

**ვ:** ნენე (19), უოლი (19), არიზა (16), ბილი (13), უებსტერი (12), ტემპლი (10), გორტატი (7+11 მოხსნა).

| ნ. ორლეანი-სან ანტონიო | 95:101 |
|---|---|

**28:24, 24:27, 21:25, 22:25**

**ნ-ო:** დევისი (22+11 მოხსნა), რობერტსი (19), გორდონი (12), რივერსი (11), ამინუ (8+13 მოხსნა).

**ს-ა:** პარკერი (27), დანკანი (18), ჯინობილი (14), ლეონარდი (13), ბელინელი (12).

| დალასი-ორლანდო | 107:88 |
|---|---|

**28:20, 31:21, 25:25, 23:22**

**დ:** ელისი (21), კარტერი (17), ნოვიცკი (15), კარუდერი (14), კალდერონი (13), ელინგტონი (12).

**ო:** ნელსონი (21), დევისი (19), ჰარკლესი (13), ოლადიპო (11), ჰარისი (10).

| იუტა-დენვერი | 118:103 |
|---|---|

**35:31, 32:22, 26:24, 25:26**

**ი:** ბერკსი (34), ფეივორსი (19+15 მოხსნა), ბერკი (18), ჯეფერსონი (16), კანტერი (11).

**დ:** ლოუსონი (23+11 პასი), ჰიქსონი (21+10 მოხსნა), ფურნიე (16), ჩენდლერი (12), ფარიდი (11+7 მოხსნა), ფოიე (10).



კარმელო ენტონი

## კვირის ლაურეატები

გასულ კვირას, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის საუკეთესო მოთამაშეებად დასახელდნენ: აღმოსავლეთში „ნიუ იორკ ნიქსის“ ფორვარდი **კარმელო ენტონი** და დასავლეთში - „საკრამენტო კინგზის“ ფორვარდი **დემარკუს კაზინსი**.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატი ენტონი თავის გუნდს სამიდან სამი მატჩის მოგებაში დაეხმარა. მის ანგარიშზე იყო 27.0 ქულა (მეორე შედეგი კონფერენციაში) და 2.33 ჩაჭრა. კარმელომ საუკეთესო თამაში „მაიამისთან“ მოგებულ მატჩში აჩვენა, როცა 29 ქულა, 8 მოხსნა და 5 შედეგიანი პასი დააგროვა.

დასავლეთის ლაურეატმა კაზინსმაც თავის გუნდს სამიდან სამი მატჩი მოაგებინა. „კინგზის“ ლიდერის მონაგარი გასულ კვირას 25.0 ქულა და 12.7 მოხსნა იყო. კაზინსმა სამივე შეხვედრაში ორმაგი დუბლი შეასრულა. ის ზედიზედ 10 მატჩია ახერხებს მინიმუმ 10 ქულისა და 10 მოხსნის დაგროვებას.

### ენტონის კვირა

**7 იანვარი.** ნიუ იორკი-დეტროიტი 89:85. 34 ქულა, 4 მოხსნა, 4 ჩაჭრა.

**9 იანვარი.** ნიუ იორკი-მაიამი 102:92. 29 ქულა, 8 მოხსნა, 5 პასი.

**11 იანვარი.** ფილადელფია-ნიუ იორკი 92:102. 18 ქულა, 9 მოხსნა, 7 პასი.

### კაზინსის კვირა

**7 იანვარი.** საკრამენტო-პორტლენდი 123:119. 35 ქულა, 13 მოხსნა.

**10 იანვარი.** საკრამენტო-ორლანდო 103:83. 24 ქულა, 14 მოხსნა, 6 პასი, 3 ჩაჭრა.

**12 იანვარი.** საკრამენტო-კლივლენდი 124:80. 16 ქულა, 11 მოხსნა.

კვირის საუკეთესო მოთამაშის ტიტულზე შემდეგი მოთამაშეები აცხადებდნენ პრეტენზიას: **ჯო ჯონსონი** („ბრუკლინი“), **ტაი ლოუსონი** („დენვერი“), **ჯოშ სმიტი** („დეტროიტი“), **დარენ კოლისონი** („კლიპერსი“), **ბლეიკ გრიფინი** („კლიპერსი“), **მაიკ კონლი** („მემფისი“), **ლამარკუს ოლდრიჯი** („პორტლენდი“) და **ტიმ დანკანი** („სან ანტონიო“).

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად დაასახელა „ნიუ იორკ აილენდერსის“ ფორვარდი **ჯონ ტავარესი**. ეს ჰოკეისტი თავის გუნდს ზედიზედ ოთხი მატჩის მოგებაში დაეხმარა, როცა ოთხი შაიბა გაიტანა და ექვსი შედეგიანი პასი შეასრულა. ტავარესმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი „დალასთან“ მატჩში, როცა კარიერაში მეხუთე ჰეთ-თრიკი შეასრულა და ორი საგოლე პასიც მიითვალა.

მეორე ვარსკვლავი გახდა „ანაჰაიმ დაქსის“ გოლკიპერი **იონას ჰილერი**. მან საშუალოდ 1.67 შაიბა გაუშვა, მეტოქეთა დარტყმების 94.1 პროცენტი მოიგერია და თავის გუნდს სამიდან სამი მატჩი მოაგებინა.

კვირის მესამე ვარსკვლავიც მეკარეა - „ნიუ იორკ რეინჯერსის“ კარის დარაჯი **ჰენრიკ ლუნდკვისტი**. მან ოთხ მატჩში საშუალოდ 1.97 შაიბა გაუშვა და მეტოქეთა დარტყმების 94.3 პროცენტი მოიგერია. „რეინჯერსმა“ ოთხიდან სამ მატჩში გაიმარჯვა.

■ ■ ■

„ტამპა ბეის“ ფორვარდი **სტივენ სტემკოსი**, რომელიც კანადის ოლიმპიურ ნაკრებშია შეყვანილი, აგრძელებს ფეხის მოტეხილობის შემდეგ აღდგენით პროცესს. ეს დაზიანება მან 11 ნოემბერს მიიღო. NHL-ის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ფორვარდი გუნდს გასვლით ტურნეში გაჰყვა, მაგრამ ჯერ ინდივიდუალური გრაფიკით ვარჯიშობს. მას აკრძალული აქვს კონტაქტური ვარჯიშები და მეცადინეობის ძირითადი დრო ყინულზე სრიალს ეთმობა. ჰოკეისტის თქმით, მას ჯერ ისევ აქვს ტკივილის შეგრძნება, მაგალითად, ჩქარა სრიალის დროს. მაგრამ სტემკოსის მონაწილეობა სოჭში ჯერ ისევ შესაძლებელია.

მიმდინარე რეგულარულში „ტამპას“ ლიდერმა 17 მატჩის ჩატარება მოასწრო და 23 ქულა (14+9) დააგროვა.

| ლოს ანჯელესი-ვანკუვერი | 1:0 |
|---|---|

**0:0, 0:0, 1:0**

**გოლი:** 1:0 დ. ბრაუნი-10 (კოპიტარი-25, ჯ. კარტერი-13).

| ვინიპეგი-ფინიქსი | 5:1 |
|---|---|

**2:1, 1:0, 2:0**

**გოლები:** 0:1 ეკმან-ლარსონი-5 (ბოდკერი-17, დოუნი-14), 1:1 ო. იოკინენი-12 (ბაფლინი-26), 2:1 ო'დელი-2, 3:1 ველერი-17 (მაიფელი-17), 4:1 ფროლიკი-10 (პარდი-5, ლიტლი-22), 5:1 სეტოგუჩი-8 (ბაფლინი-27, ენსტრიომი-10).

| კაროლინა-კალგარი | 0:2 |
|---|---|

**0:0, 0:1, 0:1**

**გოლები:** 0:1 ბეკლუნდი-7 (ჰუდლერი-25, ვიდემანი-12), 0:2 მონეჰანი-13 (ბირონი-7, გალიარდი-7).

| კოლამბუსი-ტამპა ბეი | 3:2 |
|---|---|

**0:0, 1:2, 2:0**

**გოლები:** 1:0 იოჰანსენი-17 (რ. მიურეი-11), 1:1 კილორნი-12 (მეტიუ კარლი-22, გუდასი-11), 1:2 ჰედმანი-9 (ტ. ჯონსონი-14, სან ლუი-23), 2:2 ჰორტონი-2 (ჯ. ჯონსონი-11, ანისიმოვი-10), 3:2 ლეტესტუ-5 (ჯ. ჯონსონი-12, ვიშნიევსკი-23).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა


სტივენ სტემკოსი

ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა

# ნადალის დასვენება და როჯერის ახალი რეკორდი

როდესაც ავსტრალიის ღია პირველობის ბადე გამოქვეყნდა, ყველამ ერთად აღიარა, რომ მამაკაცებში პირველი წრის ცენტრალური შეხვედრა ესპანელი **რაფაელ ნადალისა** და ავსტრალიელი **ბერნარდ ტომიჩის** დაპირისპირება იქნებოდა. ტომიჩი დიდი ხანია მიიჩნევა ტურის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ და ნიჭიერ ახალგაზრდად, მაგრამ ის ვერ ამართლებს გაცემულ ავანსებს. ავსტრალიელმა წლევანდელი სეზონი თითქოს კარგად დაიწყო, გასულ კვირას სიდნეის ტურნირის ფინალში გავიდა, სადაც **ხუან მარტინ დელ პოტროსთან** წააგო. თანაც, ავსტრალიის ღიაზე ტომიჩი ყოველთვის მონდომებული და მოტივირებულია. ამიტომაც ჰქონდა ადგილობრივ პუბლიკას იმედი, რომ ბერნარდი წინააღმდეგობას გაუწევდა ესპანელს. საერთო ჯამში, პირველი სეტი თითქმის ფანაბარ ბრძოლაში წარიმართა და ჩოგბურთელებმა პრაქტიკულად ერთნაირი სტატისტიკა დააფიქსირეს, ოლონდ, ნადალმა 4:4-ზე შეძლო ბრეიკის გაკეთება და სეტი 6:4 მოიგო.



ტომიჩმა ცენტრალური მატჩი ჩაშალა

პარტიის მსვლელობისას, ავსტრალიელმა ექიმის დახმარებას მიმართა შემდეგ თამაში გააგრძელა, მაგრამ სეტის დასრულების შემდეგ, ტრავმირებულმა ფეხმა მატჩის გაგრძელების საშუალება არ მისცა და ნადალი თითქმის უბრძოლველად გავიდა მეორე წრეში. იქ რაფა მეტოქე 17 წლის ავსტრალიელი **ტანასი კოკინაკისი** იქნება, რომელიც ფართო საზოგადოებამ შარშან, დევისის თასზე გაიცნო.

■ ■ ■

სამი სეტის თამაშმა მოუნია **ენდი მარეის**, თუმცა მასზეც შეიძლება იმის თქმა, რომ უბრძოლველად გააღწია შემდეგ ეტაპზე. ბრიტანელი 85 წუთის განმავლობაში დომინირებდა იაპონელ **გო სოედასთან** მატჩში და მხოლოდ ხუთი გეიმი დაუთმო მეტოქეს - 6:1, 6:1, 6:3.

„დიდი სლემის" ზედიზედ 57-ე ტურნირზე აილო სტარტი შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა**. ახლა, ჩოგბურთის ცოცხალი ლეგენდა ისეთ მდგომარეობაშია, რომ მისგან ნებისმიერი დიდი გამარჯვება ან სენსაციური მარცხია მოსალოდნელი. ამიტომაც, როჯერის ყველა შეხვედრისადმი დიდი მოლოდინია და ასე იყო გუშინ, მსოფლიოს 133-ე ნომერთან, ავსტრალიელ **ჯეიმს დაკუორტთან** მატჩის წინ. მაგრამ, ამჯერად, ფედერერმა არავის მისცა თავის ოსტატობაში ეჭვის შეტანის საბაბი. საათი და 46 წუთის განმავლობაში, დაკუორტს მხოლოდ ერთი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, როჯერმა კი პირველ ორ სეტში თითოჯერ აილო მეტოქის მოწოდება, მესამეში ეს ორჯერ გააკეთა და 6:4, 6:4, 6:2 მოიგო, რითაც მეორე წრეში **ბლაჟ კავჩიჩზე** გავიდა. სხვათა შორის, „დიდ სლემზე" ზედიზედ 57 მონაწილეობა ახალი რეკორდია. როჯერმა ამ მაჩვენებლით სამხრეთაფრიკელ **უეინ ფერეირას** გაუსწრო.

■ ■ ■

გუშინ, რამდენიმე ხუთსეტიანი მატჩი ვიხილეთ და ყველაზე ხანგრძლივი აღმოჩნდა შეხვედრა ფრანგ **ჟილ სიმონსა** და გერმანელ **დანიელ ბრანდს** შორის. ჩოგბურთელებმა 4 საათი და 32 წუთი დაჰყვეს კორტზე და ბოლო სეტი სიმონმა 16:14 მოიგო. ბრანდსს ამ მატჩში 111 (!) „ვინერსი" და 81 (!) უნებლიე შეცდომა ჰქონდა. ის ძალიან ახლოს იყო გამარჯვებასთან, შვიდი მატჩბოლი ჰქონდა, მაგრამ ყველა შანსი გაანიავა და მეორე წრის საგზური მეტოქეს დაუთმო.

ასევე ოთხ საათზე მეტი დაჰყვეს კორტზე ავსტრალიელმა **ლეიტონ ჰიუიტმა** და იტალიელმა **ანდრეას სეპიმ**. და აქაც, ადგილობრივ პუბლიკას იმედგაცრუება ელოდა. ვეტერანმა 0:2-დან შემოაბრუნა მატჩის ბედი, ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ ბოლოს მაინც დანებებამ მოუნია. საინტერესოა, რომ ჰიუიტმა „დიდი სლემის" ტურნირებზე 41-ჯერ ითამაშა ხუთსეტიანი მატჩი, რითაც გაუთანაბრდა რეკორდსმენ **ანდრე აგასის**.

■ ■ ■

წინა დღისგან განსხვავებით, ამჯერად, ქალთა ბადეში სენსაციები არ მომხდარა. ფავორიტებმა გაიკვლიეს გზა შემდეგი ეტაპისკენ. ორ-ორ სეტში მოიგეს თავიანთი შეხვედრები **ვიქტორია აზარენკამ** და **მარია შარაპოვამ**, თუმცა მთელ რიგ მომენტებში ბოლომდე დამაჯერებლად თავს ვერ გრძნობდნენ. პოლონელმა **აგნიეშკა რადვანსკამ** კი საერთოდ, ერთი სეტით წააგო.

## I წრე

### კაცები

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-ბერნარდ ტომიჩი (ავსტრა) 6:4 უარი; **ტანასი კოკინაკისი (ავსტრა)**-იგორ სისლინგი (ჰოლ) 7:6(4), 0:6, 7:6(3), 6:2; **ჯეკ სოკი (აშშ)**-ტობიას კამკე (გერ) 7:6(5), 5:7, 6:2, 6:4; **გაელ მონფილსი (საფ, 25)**-რაიან ჰარისონი (აშშ) 6:4, 6:4, 6:4; **ანდრეას სეპი (იტა, 24)**-ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) 7:6(4), 6:3, 5:7, 5:7, 7:5; **დონალდ იანგი (აშშ)**-რობინ ჰაასე (ჰოლ) 6:7(4), 7:6(2), 6:2, 1:0 უარი; **დუშან ლაიოვიჩი (სერ)**-ლუკას პუი (საფ) 6:4, 7:6(9), 4:6, 6:3; **კეი ნიშიკორი (იაპ, 16)**-მარინკო მატოშევიჩი (ავსტრა) 6:3, 5:7, 6:2, 4:6, 6:2; **მილოშ რაონიჩი (კან, 11)**-დანიელ ხიმენო-ტრავერი (ესპ) 7:6(2), 6:1, 4:6, 6:2; **ვიქტორ ჰანესკუ (რუმ)**-პეტერ გოიოვჩიკი (გერ) 7:6(5), 7:6(5), 6:3; **იენ ჰსუნ ლუ (ტაივ)**-ჯიმი ვანგი (ტაივ) 6:3, 6:2, 6:1; **გრიგორ დიმიტროვი (ბულ, 22)**-ბრედლი კლანი (აშშ) 6:7(7), 6:4, 6:4, 6:3; **ბენუა პერი (საფ, 27)**-ფრენკ დანჩევიჩი (კან) 7:6(12), 6:3, 6:4; **ნიკ კირგიოსი (ავსტრა)**-ბენჯამინ ბეკერი (გერ) 6:3, 6:7(5), 6:2, 7:6(2); **რობერტო ბაუტისტა აგუტი (ესპ)**-ტიმ შმიჩეკი (აშშ) 6:2, 6:1, 6:1; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 5)**-რინ უილიამსი (აშშ) 6:7(1), 6:3, 6:4, 6:4; **ენდი მარეი (ბრიტ, 4)**-გო სოედა (იაპ) 6:1, 6:1, 6:3; **ვენსან მილო (საფ)**-უეინ ოდესნიკი (აშშ) 7:5, 4:6, 6:7(4), 6:1, 6:3; **მიხაელ ბერერი (გერ)**-მიკაელ ლოდრა (საფ) 6:4, 7:5, 6:1; **ფელისიანო ლოპესი (ესპ, 26)**-სომდევ დევარმანი (ინდ) 6:4, 6:4, 7:6(2); **სტეფან რობერი (საფ)**-ალიაჟ ბედენე (სლოვენ) 7:6(3), 6:3, 6:0; **მიხალ პრსიეჟნი (პოლ)**-ორასიო სებალიოსი (არგ) 6:3, 7:6(4), 7:5; **ბლაჟ როლა (სლოვენ)**-ფედერიკო დელბონისი (არგ) 6:4, 6:2, 7:5; **მარტინ კლიჟანი (სლოვაკ)**-ჯონ ისნერი (აშშ, 13) 6:2, 7:6(6); **ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 10)**-ფილიპო ვოლანდრი (იტა) 7:5, 6:3, 6:3; **ტომას ბელუჩი (ბრა)**-ჯულიან რაისტერი (გერ) 4:6, 6:3, 7:6(5) უარი; **მარინ ჩილიჩი (ხორ)**-მარსელ გრანოლერსი (ესპ) 4:6, 4:6, 6:3, 6:3, 6:2; **ჟილ სიმონი (საფ, 18)**-დანიელ ბრანდსი (გერ) 6:7(4), 6:4, 3:6, 6:3, 16:14; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 31)**-ჟე ჟანგი (ჩინ) 5:7, 6:3, 6:2, 6:3; **თეიმურაზ გაბაშვილი (რუს)**-სერგეი სტახოვსკი (უკრ) 6:7(3), 6:4, 6:2, 6:0; **ბლაჟ კავჩიჩი (სლოვენ)**-რადეკ შტეპანეკი (ჩეხ) 6:7(3), 4:6, 6:1, 2:0 უარი; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 6)**-ჯეიმს დაკუორტი (ავსტრა) 6:4, 6:4, 6:2.

### ქალები

**ელენა იანკოვიჩი (სერ, 8)**-მიკასი დოი (იაპ) 6:1, 6:2; **აიუმი მორიტა (იაპ)**-ნადია კიჩენოკი (უკრ) 6:2, 7:6(5); **კურუმი ნარა (იაპ)**-შუაი პენგი (ჩინ) 7:5, 4:6, 6:3; **მაგდალენა რიბარიკოვა (სლოვაკ, 32)**-ანდრეა პეტკოვიჩი (გერ) 6:2, 6:3; **მარინა ერაკოვიჩი (ზელ)**-სორანა კირსტეა (რუმ, 21) 6:4, 7:6(6); **ზარინა დიასი (ყაზ)**-კატერინა სინიაკოვა (ჩეხ) 6:2, 6:4; **ვარვარა ლეპჩენკო (აშშ)**-ლესია ცურენკო (უკრ) 2:6, 6:3, 6:4; **სიმონა ჰალეპი (რუმ, 11)**-კატაჟინა პიტერი (პოლ) 6:0, 6:1; **კარლა სუარეს ნავარო (ესპ, 16)**-ვანია კინგი (აშშ) 6:3, 6:2; **გალინა ვოსკობოევა (ყაზ)**-ირინა-კამელია ბეგუ (რუმ) 7:5, 4:6, 7:5; **სტეფანი ფოგელი (შვეიც)**-კრისტინა მლადენოვიჩი (საფ) 7:5, 7:5; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 20)**-ფრანჩესკა სკიავონე (იტა) 6:3, 6:4; **ალიზ კორნე (საფ, 25)**-პოლონა ჰერცოგი (სლოვენ) 1:0 უარი; **კამილა ჯორჯი (იტა)**-სტორმ სანდერსი (ავსტრა) 4:6, 6:1, 6:4; **კარინ კნაპი (იტა)**-პაულა ორმაეჩეა (არგ) 6:4, 6:2; **მარია შარაპოვა (რუს, 3)**-ბეტანი მატეკი (აშშ) 6:3, 6:4; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 5)**-იულია პუტინცევა (ყაზ) 6:0, 5:7, 6:2; **ოლგა გოვორცოვა (ბლრ)**-ინ-ინ დუანი (ჩინ) 6:0, 7:6(6); **მენდი მინელა (ლუქ)**-კარინა ვიტჰოფტი (გერ) 6:1, 6:4; **ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 29)**-ტელიანა პერეირა (ბრა) 7:6(7), 6:4; **გარბინ მუგურუსა (ესპ)**-კაია კანეპი (ესტ, 24) 6:2, 2:6, 6:2; **ანა შმიედლოვა (სლოვაკ)**-ტიმეა ბაბოში (უნგ) 4:6, 6:4, 7:5; **კრისტინა მაკჰეილი (აშშ)**-იუნ-სან ჩანი (ტაივ) 7:5, 6:4; **კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 10)**-ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ) 6:0, 6:2; **სლოუნ სტივენსი (აშშ, 13)**-იაროსლავა შვედოვა (ყაზ) 7:6(1), 6:3; **აილა ტომლიანოვიჩი (ხორ)**-ტადეია მაიერიჩი (სლოვენ) 3:6, 7:6(1), 6:4; **ოლივია როგოვსკა (ავსტრა)**-მარიანა დუკე-მარინო (კოლ) 6:3, 6:3; **ელინა სვიტოლინა (უკრ)**-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 19) 6:3, 6:3; **ბოიანა იოვანოვსკი (სერ, 33)**-იანა ჩეპელოვა (სლოვაკ) 6:7(1), 6:1, 6:3; **ივონ მოისბურგერი (ავსტრია)**-შანელ სხეპერსი (ს. აფრ) 7:6(3), 6:4; **ბარბორა ზახვალოვა (ჩეხ)**-სუ-ვეი ჰსიე (ტაივ) 6:1, 4:6, 6:1; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 2)**-იოანა ლარსონი (შვედ) 7:6(2), 6:2.

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ბოხუმი-დორტმუნდი | 1:2 |
| ბაზელი-ბრაუნშვაიგი | 0:1 |
| ქაირათი-ჰამბურგი | 0:3 |
| შიროკი ბრიეგი-დინამო (ზ) | 0:1 |
| აიაქსი (ქ)-შტუტგარტი | 2:1 |
| ნიურნბერგი-სტიაუა | 5:1 |
| გროდიგი-ნოიმარკტი | 5:1 |
| **ინგლისი** | |
| **I ლიგა** | |
| სტივენეიჯი-სუინდონი | 2:0 |
| უოლსოლი-ოლდჰემი | 1:0 |
| **კონფერენსი** | |
| ფორესტ გრინი-გრიმსბი | 1:1 |
| გეიტშიდი-ალდერშოტი | 0:0 |
| უელინგი-ჰაიდი | 0:2 |
| ბრენტრი-კემბრიჯი | გადაიდო |
| **ინგლისის თასი** | |
| **II რაუნდი. გადათამაშება** | |
| ჩარლტონი-ოქსფორდი | 2:2 |
| ბირმინგემი-როვერსი | 3:0 |
| ბორნმუთი-ბარტონი | 4:1 |
| უოტფორდი-ბრისტოლი | 2:0 |
| პიტერბრო-კიდერმინსტერი | 2:3 |
| მილტონი-უიგანი | 1:1 დ.დ. 1:3 |
| ფულჰემი-ნორვიჩი | 3:0 |
| უენსდი-მაკლსფილდი | 4:1 |
| პრესტონი-იფსვიჩი | 3:2 |
| პიმუტი-პორტ ვეილი | 2:3 |
| **ინგლისი** | |
| **FA Trophy** | |
| ლუტონი-კემბრიჯი | 0:1 |
| ჩორლი-ტამუორტი | 2:2 პენ. 5:6 |
| **იტალიის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| ლაციო-პარმა | 2:1 |
| **ესპანეთის თასი** | |
| **1/8 ფინალი. II მატჩები** | |
| ალმერია-რასინგი | 0:2 (1:1) |
| ატლეტიკო-ვალენსია | 2:0 (1:1) |
| **საფრანგეთის თასი** | |
| **1/32 ფინალი** | |
| კანი-სტ. ეტიენი | 1:1 პენ. 4:3 |
| **საფრანგეთის ლიგის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| ბორდო-პსჟ | 1:3 |
| **ბელგიის თასი** | |
| **1/4 ფინალი. II მატჩი** | |
| კორტრიიკი-გენტი | 1:0 პენ. 4:5 (0:1) |
| **ჩრ. ირლანდია** | |
| არდსი-კლიფტონვილი | 2:3 |
| კოლრეინი-უორენპოინტი | 3:0 |
| დუნგანონი-ბალიმენა | 2:3 |
| გლენავონი-გლენტორანი | 2:3 |
| ლინფილდი-კრუზეიდერსი | 1:1 |
| პორტდაუნი-ბალინამალარდი | 1:0 |
| **პორტუგალია** | |
| **ლიგის თასი** | |
| სპორტინგი-მარიტიმუ | 3:0 |
| **თურქეთის თასი** | |
| ესქისეჰირი-ახისარი | 0:2 |
| ბურსა-სივასი | 2:1 |
| **უელსი** | |
| კარმარტენი-ტნს | 0:0 |
| ბალა-ბანგორი | 1:0 |
| **ჩილე** | |
| კობრესალი-უნ. დე ჩილე | 2:1 |
| **ავსტრალია** | |
| მელბურნ ჰ-ვ. სიდნეი | 3:1 |
| **აფრიკის თასი** | |
| **შესარჩევი** | |
| კონგო-მავრიტანია | 1:0 |
| გაბონი-ბურუნდი | 0:0 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროთასი** | |
| ბილბაო-პანიონიოსი | 93:62 |
| **ევროჩელენჯი** | |
| კრ. კრილია-ტარტუ | 74:75 (ო) |
| ანტვერპენი-გაზ მეთანი | 97:79 |
| კრკა-შოლე | 80:63 |
| რეჯო ემილია-შოლნოკი | 90:68 |
| გაზიანთეფი-ვენტსპილსი | 72:61 |
| დიჟონი-ტრიუმფი | 66:68 |
| ურალი-ბაკენი | 85:71 |
| **საფრანგეთი** | |
| ლიმოჟი-ვილერბანი | 90:85 |
| **ხელბურთი** | |
| **ევროპის ჩემპიონატი** | |
| **კაცები** | |
| უნგრეთი-ისლანდია | 27:27 |
| მაკედონია-ჩეხეთი | 24:24 |
| ნორვეგია-ესპანეთი | 25:27 |
| დანია-ავსტრია | 33:29 |
| **ჰოკეი** | |
| **ჩეხეთი** | |
| ზლინი-ვიტკოვიცე | 0:3 |
| სლავია-ლიბერეცი | 5:6 (ბ) |
| **დანია** | |
| ჰერლევი-ოდენსე | 3:1 |
| როდოვრე-ფრედრიკშავნი | 5:1 |
| ჰერნინგი-ესბერგი | 6:2 |
| სონდერიისკი-რუნგსტედი | 5:3 |
| **ფინეთი** | |
| ბლუზი-ტაპარა | 1:6 |
| ჰპკ-კაიპა | 4:2 |
| ილვესი-ჰიფკ | 1:5 |
| იუვიასკიულა-საიპა | 1:0 (ო) |
| კერპეტი-ტპს | 3:0 |
| ლუკო-იოკერიტი | 3:1 |
| ესეტი-პელიკანსი | 6:5 (ბ) |
| **გერმანია** | |
| დიუსელდორფი-აუგსბურგი | 5:1 |
| აისბარენი-ვოლფსბურგი | 3:4 |
| ჰამბურგი-მიუნხენი | 4:1 |
| **კჰლ** | |
| ავანგარდი-ზაგრები | 4:3 (ბ) |
| ბარისი-სპარტაკი | 4:2 |
| იუგრა-დინამო (მნ) | 6:0 |
| მეტალურგი (მ)-ს. იულიაევი | 3:4 (ბ) |
| ნეფტეხიმიკი-ტრაქტორი | 3:1 |
| **შვეიცარია** | |
| ციურიხი-ლოზანა | 4:2 |
| **შვედეთი** | |
| ფრიოლუნდა-ლინჩოპინგი | 3:4 (ბ) |

ავტოსპორტი. დაკარი 2014

# დაკარი მოსაწყენი გახდა

დაკარის მერვე ეტაპი საკმაოდ მოსაწყენი აღმოჩნდა: არ ყოფილა სპორტული დრამები, ლიდერებს შორის სერიოზული გარჩევები... სხვათა შორის, ასე გრძელდება ბოლო სამი ეტაპია და შესაბამისად, გენერალურ კლასიფიკაციაშიც არაფერი იცვლება.

მოტომრბოლელებმა მერვე ეტაპის მსვლელობისას 462 კილომეტრი დაფარეს და ბოლივიიდან ჩილეში გადავიდნენ. წინ ნაცნობი სახეები ვიხილეთ: **სირილ დეპრემ** გაიმარჯვა, **ხოან ბარედა ბორტმა** მასთან ორი წუთი წააგო და მხოლოდ ექვსი წამით გაუსწრო საერთო ჩათვლის ლიდერს **მარკ კომას**. ასე რომ, ამ უკანასკნელს გენერალურ კლასიფიკაციაში თავის უახლოეს მდევართან თითქმის არაფერი დაუკარგავს. დეპრეს კი ისლა დარჩენია, რომ სპეცმონაკვეთებზე გაიმარჯვოს და ამით გადაარჩინოს ჩაგდებული დაკარი. კომასა და ბარედა ბორტს შორის სხვაობა 38 წუთია, დეპრე კი მეცხრე ადგილზე იმყოფება და რეალური შანსი აქვს ოთხეულში შესასვლელად.

ავტომრბოლელები არც ისე საინტერესო 302-კილომეტრიან დისტანციაზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. სწორედ ამიტომაც, სხვაობა პილოტებს შორის დიდი არ იყო. გამარჯვება კატარელმა **ნასერ ალ-ატიიამ** მოიპოვა, რომელმაც მხოლოდ წუთი მოუგო **სტეფან პეტერანსელს** და ორნახევარი წუთი - **კარლოს საინსს**. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გენერალური კლასიფიკაციის ლიდერმა **ხოან ნანი რომამ** კატარელთან ცხრა წუთი წააგო (შესაბამისად, პეტერანსელთან - რვა).

ალ-ატიია რომასგან დიდი მანძილით არის დაშორებული, პეტერანსელს კი მოტივაცია მოემატა: ახლა, ლეგენდარული ფრანგი რომასთან 24 წუთს აგებს და თუ ტემპს შეინარჩუნებს, ყველაფერია შესაძლებელი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

# ბორის ბეკერი: ჩელსიც მიყვარს და არსენალიც

**ლეგენდარული გერმანელი ჩოგბურთელი ბორის ბეკერი სათავეში ჩაუდგა მსოფლიოს პირველი ჩოგანის, სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩის გუნდს. შესაბამისად, საქმე მოემატა, მაგრამ მაინც მოიცალა ამ საინტერესო ინტერვიუსთვის...**

## კასპაროვი, ფუნტები, ოლიმპიადა

**- ბოლოს როდის მიიღეთ სიამოვნება ჩოგბურთისგან?**

- სულ ცოტა ხნის წინ. ჩემი ასაკის მიუხედავად, კვლავაც თამაშში ვრჩები. დროდადრო კომენტარს ვუკეთებდი საჩოგბურთო მატჩებს ბრიტანული ტელევიზიით. და როცა ვუყურებ ფინალებს ნოვაკ ჯოკოვიჩისა და რაფაელ ნადალის მონაწილეობით, აუცილებლად სიამოვნებას ვიღებ. საერთოდ, კმაყოფილი ვარ იმით, თუ როგორ ვითარდება ჩემი ცხოვრება და კარიერა მას შემდეგ, რაც ჩოგბურთს თავი დავანებე. ყოველთვის მაქვს საქმე, ჩემ გარშემო ყოველთვის რაღაც ხდება.

**- ბევრი საქველმოქმედო შეხვედრა გაქვთ ჩატარებული. მათგან რომელი დაგამახსოვრდათ?**

- ალბათ ის, რომელშიც ჩვენ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრთან დევიდ კემერონთან ვითამაშეთ. ასევე მითამაშია ვაშინგტონში, თეთრ სახლში – ესეც უჩვეულო ისტორიაა. საერთოდ, ბევრი ქვეყნის მეთაური ატარებს საქველმოქმედო მატჩებს და ისე გამოვიდა, რომ ყოველთვის მიწვევენ.

**- დღეს თქვენი ერთ-ერთი მთავარი გატაცებაა პოკერი. ბოლოს როდის ითამაშეთ და რამდენი მოიგეთ?**

- საერთოდ, საკმაოდ ბევრს ვთამაშობ, ძირითადად, გასართობად, ხანდახან ტურნირებში ვმონაწილეობ. გაზაფხულზე, მაგალითად, ბერლინში ვითამაშე და მეოთხე დღემდე მივაღწიე - კარგი შედეგია. საერთოდ, ბევრ სპორტსმენს უყვარს პოკერი.

**- თქვენ ჭადრაკიც გიყვართ...**

- დიახ. ერთხელ კასპაროვს შევხვდი. ეს დიდი ხნის წინ იყო, როცა ის ჭადრაკზე ვებგვერდს უშვებდა. მე მიუნხენში ვიყავი სტუდიაში, ის - ნიუ იორკში. და ჩვენს პარტიას პირდაპირ ეთერში უჩვენებდა CNN. ერთი საათი ვთამაშობდით, პარალელურად ვპასუხობდით ლარი კინგის კითხვებს. ბოლოს კასპაროვმა შამათი დამისვა. ვფიქრობ, კარგა ხანი გავუძელი.

**- რატომ მიგაჩნიათ ლონდონი ცხოვრებისთვის საუკეთესო ადგილად?**

- სანამ ლონდონში გადავიდოდი, ციურიხში ვცხოვრობდი, მაგრამ ჩემი ოჯახი უფრო კომფორტულად გრძნობს თავს იმ ქვეყანაში, სადაც ინგლისურად ლაპარაკობენ. მათ მკითხეს - რას ვფიქრობდი ლონდონთან დაკავშირებით. რატომაც არა! ასე რომ, ეს ოჯახური გადაწყვეტილება იყო და ამის გამო არც ერთხელ არ მინანია. ლონდონში სპორტი დიდი დონითაა: გაიმართა ოლიმპიური თამაშები, საფეხბურთო ჩემპიონატი - უძლიერესია მსოფლიოში, ძალიან პოპულარულია ჩოგბურთი. მე ეს მომწონს.

**- არანაირი პრობლემა არ არის?**

- ფუნტები. ევროპა ევროთი ცხოვრობს, იქ კი ფუნტებია. რთულია გადანყობა და შეგუება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამდენს მოგზაურობ.

**- ამბობენ, რომ 90-იან წლებში, იდეური მოსაზრებებით მხარი არ დაუჭირეთ ოლიმპიადის ჩატარებაზე ბერლინის კანდიდატურას.**

- ეს არასწორია. საერთოდ, ვცდილობ თავი შორს დავიჭირო ყველაფრისგან, რაც პოლიტიკას უკავშირდება. ყველა კონფლიქტი ჩემი მონაწილეობით, რომელიც ახლა მახსენდება, ჩოგბურთს უკავშირდებოდა. ისინი კორტზე წარმოიშვებოდნენ და იქვე რჩებოდნენ. სერიოზული არაფერი.



## ყვირილი, დოპინგი, მილიონები

**- რა გაღიზიანებთ თანამედროვე ჩოგბურთში ყველაზე მეტად?**

- მინდა უფრო მეტი ისეთი ჩოგბურთელის ხილვა, რომელიც ხშირად გადის მოწოდებისთანავე ბადესთან. უფრო მეტი ბრძოლის ნახვა მსურს. მამაკაცთა ჩოგბურთში, დიდ ტურნირებში ტიტულზე მხოლოდ ორი-სამი ჩოგბურთელი აცხადებს პრეტენზიას. ქალებში კი დომინირებს სერენა უილიამსი. საჭიროა, რომ სხვებიც მივიდნენ ამ დონემდე. ჩოგბურთი საინტერესო უნდა იყოს არა მხოლოდ როგორც თამაში, არამედ, როგორც შეჯიბრება.

**- თქვენ ერთ-ერთი მოწინააღმდეგე ხართ კორტზე ყვირილის. რამდენად გაღიზიანებთ ეს?**

- ზოგიერთები ისე ყვირიან, თითქოს საკუთარ საძინებელში იყვნენ. ეს არ არის ქალური, გოგონები ასე არ უნდა იქცეოდნენ. რისი თქმა სურთ ამით პუბლიკისთვის?!

**- იქნებ, ეს მათი სტილის ნაწილია?**

- რომელი სტილის? ეს მავნე ჩვევაა, რომელიც ბავშვობიდან არის შეძენილი. გოგონებმა ეს უნდა მოიშორონ.

**- ყველაზე ხმაურიანი ჩოგბურთელი, ვისაც კორტზე შეხვედრიხართ?**

- ბრედ გილბერტი. ის, რა თქმა უნდა, არ ყვიროდა, მაგრამ მისი პირი არასოდეს იხურებოდა. მას, უბრალოდ, არ შეეძლო გაჩერება და მუდმივად ლაპარაკობდა - ჩემთან, მსაჯებთან, მაყურებელთან.

**- არ მიანიშნეთ, რომ ეს არ მოგწონდათ?**

- ვუთხარი მას, რომ გაჩუმებულიყო, მაგრამ უფრო მეტად ალაპარაკდა.

**- როგორ უყურებთ პეტკოვიჩის სტილში ცეკვებსა და ჯოკოვიჩის პაროდიებს?**

- ეს შესანიშნავია, რადგან მაყურებელს შეუძლია სხვა კუთხით დაინახოს მოთამაშე. უყურებ და გესმის, რომ ჩოგბურთს საინტერესო ადამიანები თამაშობენ. მე ეს მომწონს, ჩოგბურთელებმა ასეთ რამეებს მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ.

**- მაგრამ, ბოლო დროს, ისინი იძულებულნი არიან უფრო მეტი იფიქრონ დოპინგთან დაკავშირებულ პრობლემებზე.**

- ჩვენ შოუზე ვლაპარაკობდით, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩოგბურთი მაინც იგივე წესებით ცხოვრობს, როგორითაც დიდი სპორტი. და თუ ამ წესებს არღვევ, გაჯარიმებენ - მკაცრად ან არც ისე, გააჩნია გარემოებებს. თუ მარინ ჩილიჩთან დაკავშირებულ სიტუაციაზე ვილაპარაკებთ, ეს, უბრალოდ, შეცდომა იყო და არა შეგნებული საქციელი. როგორც ვხედავთ, ის უკვე დაბრუნდა კორტზე. თუ მთლიანობაში ვილაპარაკებთ, არ მგონია, რომ ჩოგბურთში დოპინგის პრობლემა არსებობდეს. წამყვანი მოთამაშეები სუფთები არიან, რაზეც ლაპარაკობს უამრავი ტესტი, რომელსაც ისინი, პრაქტიკულად ყოველ კვირას აბარებენ. დიახ, ბევრია ისეთი მოთამაშე, რომელიც შორს არის მწვერვალისგან, მაგრამ დოპინგი - ის არ არის, რაც მას თამაშის მომატებას მოუტანს. ვფიქრობ, ისინი ამას თავად ხვდებიან.

**- თანამედროვე ჩოგბურთში საპრიზო თანხები გაცილებით მაღალია, ვიდრე თქვენს დროს იყო. ამის გამო ხომ არ ნანობთ?**

- დიახ, არასწორ დროს ვთამაშობდი! თუ სერიოზულად ვილაპარაკებთ, 20 წლის წინაც საპრიზო თანხები სოლიდური იყო. უბრალოდ, ფულს სხვა ფასი ჰქონდა. მილიონი დოლარი მაშინ ძალიან დიდი ფული იყო. მილიონი დღესაც არ არის ცუდი, მაგრამ თავად გესმით, რომ იმდენად ბევრი არაა, როგორც ადრე.

**- როცა ლაპარაკია ჩოგბურთის ისტორიაში საუკეთესო მოთამაშეზე, ხშირად ასახელებენ ფედერერს, ნადალს ან ჯოკოვიჩს, ამასთან, იშვიათად იხსენებენ მათ, ვინც 20 წლის წინ თამაშობდა.**

- ამის წინააღმდეგ ვერაფერს გავაწყობთ. შეუძლებელია ილაპარაკო თაობაზე, რომელსაც არ მოსწრებიხარ, ამიტომაც საუკეთესოებად ასახელებენ მათ, ვინც დღეს არის უძლიერესი. ყოველ თაობას ჰქონდა საკუთარი სათამაშო ღირსებები. დღეს, ჩოგბურთი უფრო ტექნოლოგიური გახდა, ჩოგანი უფრო სწრაფად თამაშისა და ბურთის კონტროლის საშუალებას გაძლევს. ჩემს დროს მარტივი ჩოგნებით ვთამაშობდით. არავინ იცის, შეძლებდნენ თუ არა დღევანდელი ჩოგბურთელები 80-იანი წლების საუკეთესო მოთამაშეების დამარცხებას.

## ჩელსი, ბიზნესი, ევოლუცია

**- თქვენ „ჩელსის“ გულშემატკივარი ხართ? ბოლოს როდის იყავით სტადიონზე?**

- დიახ, „ჩელსის“ ვგულშემატკივრობ და ამასწინათ, მის საშინაო მატჩს დავესწარი. კიდევ „არსენალი“ მიყვარს.

**- ეს როგორ?**

- ვიცი, რთულია ამის წარმოდგენა, მაგრამ მე ძალიან მომწონს მოურინიო და ასევე, უდიდეს პატივს ვცემ არსენ ვენგერს. ამასთან, ახლა „არსენალში“ თამაშობენ იოზილი, პოდოლსკი და მერტეზაკერი. როგორ შეიძლება ეს გუნდი არ მიყვარდეს?

**- რომან აბრამოვიჩის გადაწყვეტილება, რომელმაც ბოლო დროს ყველაზე მეტად გაგაკვირვათ?**

- ყველაფერი წესრიგშია. „ჩელსის“ სტაბილურობა სჭირდება, მოთამაშეები უნდა დაწყნარდნენ, საკუთარი თავის ირწმუნონ და აჩვენონ ყველაფერი, რაც შეუძლიათ. ვფიქრობ, მოურინიოს გამოცდილება ზუსტად ის არის, რაც ამ შემთხვევაშია საჭირო. იმედია, ის კლუბში დიდი ხანი დარჩება.

**- არ გაგჩენიათ სურვილი, გამხდარიყავით რომელიმე საფეხბურთო პროექტის ნაწილი?**

- ვფიქრობ, ეს ყველას ოცნებაა, ვისაც ფეხბურთი უყვარს. არ არსებობს გულშემატკივარი, რომელსაც არ სურს საფეხბურთო კლუბის მფლობელობა. მე გამონაკლისი არ ვარ, მაგრამ ეს ძვირი სიამოვნებაა. თუმცა ყოველთვის არსებობს ვარიანტები. მაგალითად, შეიძლება გახდე თანამფლობელი, შეიძინო აქციები. და მაინც, ფეხბურთში ძალიან რთულია ფულის კეთება.

**- და იოლი სად არის?**

- ჩემი ერთ-ერთი მოქმედი იდეა ნავთობისა და გაზის ბიზნესს უკავშირდება. როგორ მომივიდა ეს თავში? მე უკვე ასაკოვანი ვარ, მსოფლიო მოვლილი მაქვს და კარგად მესმის - რა არის დღეს ბიზნესში მომგებიანი. საერთოდ, მიყვარს ყველაფერში გარკვევა. მივიღეთ ბუნებრივი ევოლუცია ყოფილი სპორტსმენიდან ბიზნესმენამდე.

**- ბიზნესი, რომელსაც არასოდეს მიჰყოფთ ხელს? თამბაქო, ალკოჰოლი თუ რაიმე კიდევ?**

- მე ხომ ვეწევი სიგარას და დროდადრო, ალკოჰოლსაც ვეტანები, ამიტომაც ასეთ ბიზნესს მშვიდად ვუყურებ. რაც შეეხება იარაღს, ამ საქმეს ნამდვილად არ მოვკიდებდი ხელს.

**გია თვალაბეიშვილი**

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28), გია ტუხაშვილი (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: contact@pallitra.ge; მისამართი: იოსებიძის, 49. ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:50 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ირაკლი თავაძე
ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია